# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი 1998 №185 (720) ფასი 50 თეთრი


ობა ინასარიძე

ათენიდან



# ქართული ჭიდაობა საბერძნეთში

## ვინ ვის? გუცაევი თუ...

— ლაპარაკის ხასიათი საერთოდ დაკარგული მაქვს. არც ახლა ვაპირებდი თქვენთან შეხვედრას, მაგრამ მესმის ჟურნალისტების, თქვენი მეშვეობით ხალხმა უნდა გაიგოს, რას ფიქრობს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი. გისმენთ, რაც გაინტერესებთ, ყველაფერზე გიპასუხებთ — ვლადიმერ გუცაევი ისევ ძალიან განიცდიდა ლატვიასთან წაგებას.

გუშინ გუცაევმა სასტუმრო „კარაველში" ნაშუადღევს დაგვიბარა, ჯერ თითოეულ ფეხბურთელს პირადად ესაუბრა, თბილისიდან ათენს ჩამოფრენილ ფედერაციის ხელმძღვანელობასთანაც გაარჩია საქმეები, მერე კი ჩვენს მაგიდას მოუჯდა.

— ლატვიასთან თამაში ისე წარიმართა, რომ ფეხბურთელებთან პრეტენზია არ მაქვს. ერთადერთი, რაც შაბათს გვაკლდა, აგრესია იყო, ამიტომაც ვერ შევაგდეთ ერთი გოლი მაინც, თუმცა ერთი რომ გაგვეტანა, დარწმუნებული ვარ, მასპინძელთა კარს ამოვავსებდით. გვარამაძე ორჯერ უხეშად კი შეცდა, მაგრამ წინ შეეპაროს ჩვენი მეთოდის სისწორეში, მაგრამ ნელ-ნელა დავამტკიცებ, რომ საკეთებელს საჭიროებისამებრ ვაკეთებ. მე კომპრომისზე არ წავალ, არავის დავუთმობ, მწვრთნელი ვარ და აქეთ დამითმონ. თუ არადა, მუდამ პერსპექტიულ გუნდად დავრჩებით. ნიჭი საქართველოში არასდროს დაილევა.

ლატვიაში თამაშისას ყველაფერი ერთ დარტყმას შეეძლო გადაეწყვიტა, ქეცბაიაც ამიტომ დავტოვე შეუცვლელი, გამოცდილია და ეგებ რაიმე ელონა. ალბანეთთან შეცვლა კი, ეწყინა თუ არა თემურს, ეს ჩემი საქმე არაა. როგორც საჭიროდ ჩავთვალე, ისე მოვიქეცი. გიმეორებთ, სანამ მწვრთნელი ვარ, ჩემსას გავაკეთებ.

შვილი და არჩილ არველაძე ჩამოვიდნენ.

ლატვიასთან წაგებით ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსის დაკარგვაზე ლაპარაკი ნაადრევია. ისეთ ჯგუფში ვართ, კიდევ ბევრი სიურპრიზია მოსალოდნელი. ჩემთვის მთავარი შედეგია, ამიტომაც ვიბოლმები, ლატვიას 90 წუთი რომ ვუტევდით და ვერაფერს გავხდით.

ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი ახლოვდებოდა, საუბარსაც ამით მოვრჩით. თუმცა მეორე ტაიმივით გამოგვივიდა — იქვე ახალ ბერძნულ პრესას რომ გავეცანით, მთავარი ფიგურა გაზეთების ფურცლებზე ისევ ქეცბაია იყო და, რა თქმა უნდა, საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ, რომელიც ისევ ძვე-



ვლადიმერ გუცაევი ნაკრების წვრთნისას დიდად მონდომებულია, მაგრამ წუხს, ჯერ გუნდს ვერ ვხედავო

მთელი მატჩი იყო და უნდა გაგვეტანა. ჩვენების ლატვიასთან შედარებაც უხერხულია, იმდენად მაღლა ვდგავართ ბალტიისპირელებზე, კლასითაც და ნიჭითაც. უბრალოდ, მებრძოლი სული არ გვქონდა. გუნდი ვერ დავინახე ლატვიასთან მატჩში და ყველაზე მეტად ეს მეწყინა. სანამ ნაკრების მწვრთნელი ვარ, გპირდებით, რაც უკვე არაერთხელ მითქვამს — ჩემსას გავაკეთებ!

სამზადისისას ბიჭები კარგ ხასიათზე იყვნენ, ხალისით ვარჯიშობდნენ და ცოტა არ იყოს, ამან დამაეჭვა. მატჩის წინ ნერვიულობა-განცდისა არაფერი ეტყობოდათ. ამ წაგებით შეიძლება ბევრს ეჭვიც ზოგი მეჭიდავება, მაგრამ ვერ წამაქცევენ. ვისაც ჩემი საქმიანობა არ მოსწონს, ძალად არავის ვეპატიჟები, შეუცვლელი არავინაა. მე კარგი გუნდის გაკეთება მინდა. გთხოვთ, დამეხმაროთ, თორემ თავს კარცერში ვგრძნობ.

ბერძნებთან მატჩისას კი მნიშვნელოვანი ცვლილებები შემადგენლობაში არ მოხდება. დიდი-დიდი, ერთი-ორი ფეხბურთელი შეიცვალოს, უპირველესად დაცვა და შუა ხაზი გაძლიერდება. თუ როგორ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

ახალგაზრდული ნაკრებიდან ალექსიძის ჩვენთან გადმოყვანა ფეხბურთელთა ტრავმებმა განაპირობა. ვერც ჯანაშია, იალებურად ამბობს, ძნელი თამაში გველის, მაგრამ აუცილებლად, უეჭველად უნდა მოვიგოთ. ვიცი, ქართველები 4-4-2 ტაქტიკური სქემით თამაშობენ და დაცვაშიც პრობლემები აქვთ. ჩვენ კი სლოვენიასთან დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთო — წერენ გაზეთები.

აქაურმა კოლეგებმა კი გვითხრეს, რომ ნიკოლაიდისს ბერძენთა მეორე ლიდერი აეკ-ის მოთამაშე კაპასისიც მიჰყოლია, დღეს ვერც ის ითამაშებსო.

მატჩი თბილისის დროით შვიდ საათზე დაიწყება და პირდაპირ რეპორტაჟს ESPN გადასცემს ათენის 80-ათასიანი ოლიმპიური სტადიონიდან.

### საბერძნეთი — საქართველო

| საბერძნეთი | საქართველო |
|---|---|
| ატმაციდისი | ტოგონიძე |
| უზუნიდისი | ნემსაძე |
| ზაგორაკისი, გიორგიატოსი | შეყილაძე, კალაძე |
| კალიცაკისი | შელია |
| პურსუნიდისი | კობიაშვილი |
| დაბიზასი, ფრანცესკოსი | ქეცბაია, ჯამარაული, გახოკიძე |
| მარკოსი | ქინქლაძე |
| ლიმპეროპულოსი, მახლასი | შ. არველაძე |



საბერძნეთის ნაკრებისა და ათენის აეკ-ის თავდამსხმელი დემის ნიკოლაიდისი ხვალ საქართველოს ნაკრებს ნამდვილად ვერ გაუტანს. საამისოდ ერთი უბრალო მიზეზი არსებობს — იგი დაშავებულია. ბერძენთა ლიდერის ადგილს შემადგენლობაში ლიმპეროპულოსი დაიჭერს. თუმცა ნიკოლაიდისის ნამდვილ შემცვლელად მასპინძელთა რუმინელ თავკაც ანგელ იორდანესკუს მაინც ნიკოს მახლასი ეგულება. მახლასი ჰოლანდიური „ვიტესის" თავდამსხმელი და წინა ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში ჩვენებურ შოთა არველაძის მჯობნია. ასე რომ, ხვალ შოთას და მახლასის დუელიცაა. იქნებ, ახლა მაინც აჯობოს ჩვენიანმა.

# სამართალი მშიერი დარჩა

## ჯამარაულს ვერც ბელგიელმა ვექილმა უშველა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თურქული „ტრაბზონსფორის" ნახევარმცველი გოჩა ჯამარაული ისევ უგუნდოდაა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ჯამარამ და თბილისის „დინამომ" არაერთხელ სცადეს თურქებთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. კლუბმა არა და არ მისცა გოჩას განთავისუფლების ფურცელი.

ამის შემდგომ ორივე მხარემ ერთმანეთს ფარული ომი გამოუცხადა და სიმართლის დასადგენად უეფას მიმართა. „დინამომ" ჯამარაული ბელგიელ ვექილს დააკავშირა და ფეხბურთელმა ყველა საჭირო საბუთიც მას ჩააბარა.

ჩვენებს გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდათ. იქნებ საქმე დროულად გადაწყდესო და ფეხბურთელიც რომელიმე ნორმალურ გუნდში გადაბარგდესო. გოჩას თავისთან ხილვის სურვილი „ალანიას" მწვრთნელს ვალერი გაზაევს გამოუთქვამს, არის ინგლისურ ან იტალიურ კლუბში მოხვედრის ვარიანტებიც.

სამწუხაროდ, უეფამ არ დააკმაყოფილა ჯამარაულის მოთხოვნა და იგი კვლავ „ტრაბზონსფორის" კუთვნილებად ცნო.

გოჩას თურქულ კლუბთან კონტრაქტით კიდევ ექვსი თვე აკავშირებს. ასე რომ, ჩვენმა მეზობლებმა და უეფამ კიდევ ნახევარი წლით გაწირეს ჩვენებური. უეფამ ხელები დაიბანა და სამართალიც მშიერი დატოვა.

ხვიჩა სანიკიძე

# ყველას, ყველას, ყველას!

კლუბების მეპატრონეების, მწვრთნელების და გუნდებთან დაახლოებული პირების საყურადღებოდ.

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა ტილბურგის ავადმოსაგონარ მატჩში მინდვრიდან გაძევებული დინამოელი ივანე მახარაძის საქმე და ევროსარბიელზე ორი შეხვედრის გამოტოვება მიუსაჯა.

კარგად გაითავისეთ ეს ინფორმაცია თორემ... ხომ გახსოვთ სომხურ „არარატთან" „ბათუმის" და ორგაფრთხილებიანი დავით სოლოღაშვილის დასანანი ისტორია.

თუ რომელიმე გუნდს ევროსაგზურის მოპოვებასთან ერთად ივანე მახარაძის გადაბირების სურვილი გაუჩნდება, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ მახარაძე პირველ ორ მატჩში მხოლოდ გულშემატკივრობას გაუწევს.

ხვიჩა სანიკიძე

# ჭათამაძე შევარდნაძეს დაუბარებია

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ დაგეგმილი ალმასკომის სხდომა, გუშინ, 19 საათზე ცეკავშირში რომ უნდა გამართულიყო, სახვალიოდ გადაიდო. მიზეზი ფედერაციის პრეზიდენტის გიორგი ჭათამაძის მოუცლელობა ყოფილა, რომელიც ამავდროულად ცეკავშირის მმართველია და სწორედ სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით თვით ქვეყნის პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს დაუბარებია.

— ალმასკომის სხდომა 15 ოქტომბერს, 17 საათზე გაიმართება — გვითხრეს ფედერაციაში.

გიორგი გიკაშვილი

# ღმერთების მიწაზე ღმერთი გაგვიწყრა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. მეორე შესარჩევი ჯგუფი. მესამე ტური
13 ოქტომბერი. ათენი. ნიკოს გუმასი. 1 100 მაყურებელი

## საბერძნეთი 3:2 საქართველო

1:0 ლიოლიდისი (29), 1:1 რევაზიშვილი (31), 2:1 კოსტანდინიდისი (40), 2:2 მუჯირი (45), 3:2 კულაკიოტისი (89)



კობა ინასარიძე

ათენიდან

თამაშის წაგება ვისაც ძალად უნდა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს დაეკითხოს ჭკუა. საცოდაობა იყო ათენიდან სამი ქულის წამოუღებლობა. ჩვენებს ეს მატჩი დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ, მაგრამ დავისაჯეთ, ღმერთმა დაგვსაჯა. ღვთის ნაბოძები მომენტები თუ ვერ გამოიყენე, რიცხობრივი უპირატესობა მსაჯს ძალადვე გაათანაბრებინე და სრულიად მარტივ სიტუაციაში შეცდომები დაუშვი, რა გასაკვირია, რომ წააგო.

მატჩის პირველივე წუთზე შეეძლოთ ჩვენებს დაწინაურება — ვერ ივარგეს. მერე სამი-ოთხი მომენტი სტუმრებს შეექმნათ — ესენიც დიდი ბედოვლათები იყვნენ. შემდეგ მსაჯმა მასპინძელთა მცველი გააძევა, ყველანაირი უპირატესობა ჩვენსკენ იყო, თუმცა მოსხოგიანისის უხეშობის წუთშივე გოლი გავუშვით. ოფსაიდს ქმნიდნენ ფეხბურთელები, ლიბერო ჭანკოტაძე კი თავდამსხმელს წინ ედგა. გოლი გოლს მოჰყვა, თანაც ულამაზესი, რევაზიშვილმა ისეთი შეაგდო, მგონი ქართველებს აქამდე არც გაუტანიათ. ჩვენები გამხიარულდნენ, იშტაზე მოვიდნენ, ისედაც ჭკვიანურად მოთამაშენი ლატვიის მატჩთან შედარებით, უფრო გონივრულად ათამაშდნენ, სახიფათო მომენტებიც საკმაოდ შექმნეს, მაგრამ მეტოქემ უყურადღებობისთვის ისევ დაგვსაჯა. ჩხეტიანს არ აპატია ზედმეტობა. წამოიღეს ქართველებმა ბურთი, ბერძნებს შტურმის მაგვარიც კი მოუწყვეს და მუჯირმა რევაზიშვილის არ იყოს, უმშვენიერესი გოლი გაიტანა.



კულაკიოტისმა (№5) სოლოლაშვილის მოგერიებულზე ჭანკოტაძეს დაასწრო

მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი გახლდათ. ტაიმის დარჩენილ დროში მასპინძლები სულ დაიბნენ, ჭკუა დაკარგეს. მეორეშიც იგივეს ველოდით, ასეც მოხდა. კვლავ ჩვენი უპირატესობა, კვლავ სახიფათო მომენტები, კვლავ უზუსტობა, ბერძნებს არაფერი მოეკითხებათ, თანაც მათმა მწვრთნელმა კოლოსმა ყველაზე აქტიური თავდამსხმელი ხუტოსი შეცვალა. ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა. და ამ დროს... ასეთი მხოლოდ ქართველებმა უნდა მოიმოქმედონ. მსაჯი იძულებული გახადო, მინდვრიდან გაგაძევოს. რას ერჩოდა ყიფიანი იმ მცველს, რომ ეტაკა და მისსავე ნახევარზე, ცენტრთან ახლოს უბიძგა? პრაქტიკულად ამის მერე მორჩა ყველაფერი. მასპინძელთა თავკაცმა კიდევ ორი ფეხბურთელი შეცვალა, ბიჭებს ძალა შეაშველა, გიგლა იმნაძემ კი რატომღაც მხოლოდ მელქაძესა და შენგელიას ანდო თამაშის გაგრძელება. არადა, ტრიბუნიდანაც აშკარად ჩანდა, მოედანზე მოთამაშე ქართველთა უმეტესობას სირბილი კი არა, სიარულიც არ შეეძლო. შუა ხაზი მთლიანად მეტოქეს ჩაბარდა. ჩვენები დაღლილობისგან უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს, ასე ვთქვათ, ბერძნებს აგრძნობინებდნენ, მოდით, გოლი გაგვიტანეთო. ამათაც აღარ დააყოვნეს — მატჩის მიწურულს გასამარჯვებლად გაიტანეს. მესამედ გათანაბრება უკვე შეუძლებელი იყო, ქართველები ამისთვის მზად აღარ იყვნენ.

მეტად სამწუხარო და საწყენია, რომ მოსაგები მატჩი წავაგეთ. ბიჭებმა თავი დადეს. რაც შეეძლოთ, იბრძოლეს, იშრომეს, ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალიც ბოლომდე გამოიყენეს, მაგრამ ძალა აღარ ეყოთ. წარმოიდგინეთ, უკვე ვფიქრობდით, სამი ქულა ჯიბეში გვედო. შესვენებაზე თბილისშიც დავრეკე, დამშვიდდით, 99 პროცენტით მატჩი მოგებული გვაქვს-მეთქი. პირიქით კი მოხდა.

იყო მომენტი, როცა მეორე ტაიმის მიწურულს შეცვლაზე შემოსულმა მელქაძემ ტრავმა მიიღო და თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა, ქართველი ფეხბურთელები მოედანზე წამოწვნენ, აღარ შეეძლოთ და იმიტომ. რისი ბრალია? უეჭველად ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონის.

ქართველების გამარჯვება დამსახურებული იქნებოდა, მაგრამ არა ალალი. როცა მეტოქე საშუალებას გაძლევს, უნდა გამოიყენო. არა, ამ თამაშზე მეტის დაწერაც არ შეიძლება. შორს წავალ და იმიტომ. როგორ მოახერხეს ჩვენებმა წაგება, ალბათ კარგა ხანს ვერ მივხვდები.

ბერძენთა ნაკრები ისეთი ჩვეულებრივი გუნდია, ერთ ხანს ისიც ვთქვათ, რომ ქართველების ადგილას ლატვია რომ ყოფილიყო, მასპინძლებს უეჭველად დიდი ანგარიშით დაამარცხებდა. ისედაც ათკაციანი გუნდის დაცვა უშველებელ დერეფანს ჰგავდა, მიდი და ისეირნე, მაგრამ...



ნორვეგიელმა იონ კარეუმ (№11) ოთხ დღეში ორი ჰეთ-თრიქი გაიტანა

### მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე ბერძნებმა ერთხელ კიდევ გაგვაოცეს (დანარჩენებზე თბილისში რომ ჩამოვალ, მაშინ მოგითხრობთ), დარბაზში თარჯიმანი არ დაგვახვედრეს, ბერძნული კი ჩვენგან არავინ იცის. მერე გვთხოვეს, თქვენებური მწვრთნელი მოიყვანეთო. წავედით, ვნახეთ ისინი. იმნაძემ გაბელია გამოუშვა, მაგრამ რა... მერე გვითხრეს, კარგით, გაბელიას თქვენ დაელაპარაკეთ, ჩვენ კი ჩვენებურს დავეკითხებითო. ამიტომაც ბოდიშს გიხდით, იონის კოლიასის ნაუბარს რომ ვერ მოგაწვდით.

*ოთარ გაბელია:* ლოგიკური უფრო ფრე იქნებოდა, რადგანაც მასპინძლებსაც ჰქონდათ მომენტები. ჩვენ მეორე ტაიმში ანგარიშის შენარჩუნებაზე არ ვფიქრობდით, უბრალოდ ბიჭებს დავავალეთ, რომ ბერძენთა სახიფათო თავდამსხმელებისათვის ყურადღება მიექციათ და მეტოქეს პირველი ტაიმის მსგავსად კონტრშეტევაზე აღარ დავეჭირეთ. შეცვლის უფლების არგამოყენებაზე კი ერთს გეტყვით — წინა ხაზში კარგად მოთამაშე ფეხბურთელი სათადარიგოთა შორის არ გვყავდა. თანაც მუჯირის ბოლომდე გვჯეროდა, მას ერთი დარტყმით შეეძლო მესამე გოლის გატანა.

მერე ბერძნებმაც აღარ გვაცალეს, ახლა ჩვენი ჯერია, დარბაზიდან მიბრძანდით, მაინც ვერაფერს გაიგებთო.

**საბერძნეთი**

1. ლიმპეროპულოსი
5. კულაკიოტისი
4. ალექსოპულოსი 6. მოსხოგიანისი
2. პაძიძიდასი 10. კოსტანდინიდისი 3. კაციაროსი
8. პაცაცოღლუ
7. კაფესი
9. ხუტოსი 11. ლიოლიდისი

**საქართველო**

10. აშვეთია 11. წიტაიშვილი
9. დარასელია 8. ყიფიანი
5. მუჯირი
6. ჩხეტიანი 2. რევაზიშვილი
4. წერეთელი 7. კვარაცხელია
3. ჭანკოტაძე
1. სოლოლაშვილი

შეცვლა: **ხუტოსი — 17. გალამელოსი (46), წიტაიშვილი — 17. გ. შენგელია (64), კაციაროსი — 14. ციორციოპულოსი (68), დარასელია — 14. ლ. მელქაძე (69) — 18. დავითნიძე (90), კაფესი — 13. კეფალისი (70)**

გაფრთხილება: **მოსხოგიანისი (15), ყიფიანი (41), მუჯირი (60)**

გაძევება: **მოსხოგიანისი (28), ყიფიანი (58)**

მთავარი მსაჯი: **კ. პლაუცი (ავსტრია)**

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. ყიფიანი მარჯვნიდან მეკარესთან პირისპირ დარჩა, დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. იქვე აშვეთია და დარასელიაც იდგნენ, თუმცა ვერაფერი მოახერხეს.

14. კარიდან ერთ მეტრში მდგომმა ხუტოსმა ბურთს ფეხი ააცილა.

18. კაციაროსმა ჯარიმიდან საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთს პირველად ლიოლიდისი შეეხო თავით, სოლოლაშვილმა ძნელი ბურთი მოიგერია. მოსხოგიანისის ცარიელ კარში დარტყმულს კი კვარაცხელია გადაეფარა.

19. პაძიძიდასის ჩაწოდებულს ლიოლიდისმა თავი შეუშვირა, მაგრამ მარტოდ მდგომმა ვერ იხეირა.

28. ჩხეტიანის ბრწყინვალე რეიდის შემდეგ მოსხოგიანისი უხეშობისთვის მინდვრიდან მიაბრძანეს.

29. ჩვენებმა ჯარიმა გაითამაშეს, მასპინძლებმა პასი ჩაჭრეს და სწრაფი იერიშით ხუტოსი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მერე კი ლიოლიდისს დაუგორა და 1:0.

31. ჩხეტიანმა მარცხენა ფრთაზე დარასელიას მიაწოდა ბურთი, ამან მოზომილად ჩააწოდა რევაზიშვილს და ბრწყინვალე გოლი ვიხილეთ — კარიდან 7-8 მეტრში რევაზიშვილი გაფრინდა და თავით შორეულ კუთხეში შეაგდო.

36. აშვეთია ლიმპეროპულოსთან პირისპირ დარჩა, მაგრამ რატომღაც წიტაიშვილისთვის მოინდომა პასის მიცემა, ისიც არაზუსტად.

40. ჩხეტიანმა საკუთარ მოედანზე იმდენ ხანს ათრია ბურთი, სანამ თავდამსხმელებმა არ წაართვეს. მერე მასპინძლებმა კედელი გაითამაშეს და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კოსტანდინიდისმა ახლოდან შეაგდო.

45. რევაზიშვილმა მუჯირს დაუგორა მეტოქის საჯარიმოს ხაზთან, მან კი 35-40 მეტრიდან რომ დაჰკრა, ტრიბუნები ხელახლა დაადუმა. ჯერ გოლი ეწყინათ, მერე კი მისი სილამაზე გაუკვირდათ. ბურთი ცხრიანში შეფრინდა.

46. დარასელიას დარტყმულმა ძელზე ჩრდილი დატოვა.

47. პაცაცოღლუს დარტყმულს სოლოლაშვილი ადგილზე დაუხვდა.

50. დარასელიამ ამჯერად აშვეთიას ჩააწოდა, მიხომ კი ცარიელ კარში ხუთი მეტრიდან თავით ააცილა.

58. ყიფიანმა მეტოქის ნახევარზე ამათ მცველს უბიძგა და მსაჯს თავი გააგდებინა.

59. აშვეთიამ ისევ წიტაიშვილი დატოვა კარგ პოზიციაში, მაგრამ მან ბურთს ფეხი უხეიროდ მოარტყა. ძალიან რეალური მომენტი გაცუდდა.

89. გალამელოსის ჯარიმიდან დარტყმული სოლოლაშვილმა გაჭირვებით მოიგერია, იქვე უყურადღებოდ დარჩენილმა კულაკიოტისმა კი ბერძნებს მოაგებინა.

EURO 2000
UNDER-21 Championship
ჩვენი ჯგუფი

II ჯგუფი

**ნორვეგია 4:1 ალბანეთი**

1:0 კარეუ (26), 1:1 ა. დურო (42), 2:1, 3:1 კარეუ (47, 76), 4:1 გულერუდი (82)

**საბერძნეთი 3:2 საქართველო**

1:0 ლიოლიდისი (29), 1:1 რევაზიშვილი (31), 2:1 კოსტანდინიდისი (40), 2:2 მუჯირი (45), 3:2 კულაკიოტისი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები. მეორე ტური

**სლოვენია — ლატვია**

დღეს გაიმართება

I ჯგუფი

**შვეიცარია 2:0 დანია**

1:0 იაკინი (51), 2:0 კაბანასი (90პ)

**უელსი 0:0 ბელარუსი**

III ჯგუფი

**მოლდოვა 0:2 გერმანია**

0:1 კეტელაერი (27), 0:2 ფრომერი (56)

**თურქეთი 1:1 ფინეთი**

0:1 ტაინიო (64პ), 1:1 ბელოზოღლუ (87)

IV ჯგუფი

**უკრაინა 8:0 სომხეთი**

1:0 იაშჩუკი (5), 2:0 ზუბოვი (16), 3:0 ვენგლინსკი (42პ), 4:0 ვორობეი (61), 5:0 კოტოვი (71), 6:0 დრანოვი (79), 7:0 ზუბოვი (80), 8:0 ოლეინიკი (87)

VI ჯგუფი

**ისრაელი 0:4 ესპანეთი**

0:1 ხოსე მარი (11), 0:2 ივან ანი (85), 0:3 ამარი (88ს.კ.), 0:4 ალბალდა (90)

VII ჯგუფი

**უნგრეთი 1:2 რუმინეთი**

1:0 ფერენცი (27), 1:1 სტოიჩა (59), 1:2 პანჩუ (67)

**სლოვაკეთი 1:0 პორტუგალია**

1:0 ვისკოჩი (56)

VIII ჯგუფი

**ირლანდია 2:1 მალტა**

0:1 ლიკარი (27), 1:1 კლერი (29), 2:1 უორელი (90)

V ჯგუფი

**ბულგარეთი 2:1 შვედეთი**

1:0 შოპოვი (32), 2:0 ველიკოვი (43), 2:1 ფრიდჰოლმი (81)

**ლუქსემბურგი 0:5 ინგლისი**

0:1 ლი ჰენდრი (28), 0:2 აპსონი (45), 0:3 ლამპარდი (51), 0:4, 0:5 კორტი (65, 86)

IX ჯგუფი

**ლიტვა 4:0 ბოსნია**

1:0 პოშკუსი (16), 2:0 ფუმენკო (45), 3:0 შემბერასი (47), 4:0 კარდზიასკასი (83)

**ჩეხეთი 3:0 ესტონეთი**

1:0 უჟფალუში (14), 2:0 დოსეკი (68), 3:0 იაროსიკი (80)

# ...გზავნით „სარბიელის“ რედაქციას ...საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის დელეგატებს

...საქართველოს რკინიგზელთა და სატრანსპორტო მშენებელთა დამოუკიდებელი ...ოფესიული კავშირი, რომელიც ითვლის 27 ათას წევრს, საქართველოს ფეხბუ...თში შექმნილი მდგომარეობით შეწუხებული და თქვენთვის და ფეხბურთის ყვე...ა გულშემატკივრისთვის გარდატეხის ჟამს, მხარს ვუჭერთ და მოგმართავთ ...ქვენ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიოთ ბატონი რამაზ ...გლიძე.

...ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს და საერთოდ სპორტის მოყვარულებს ...რგად გვახსოვს ბატონი რამაზ გოგლიძის მოღვაწეობა საქართველოს სპორტკო...ტეტის თავმჯდომარის პოსტზე. მისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთი შესანიშ...ვი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა. ბატონი რამაზი არის ენერგიული ...ა გამოცდილი, შემტევი და უნარიანი ხელმძღვანელი. გვჯერა, რომ იგი ღირსეული ...ანდიდატია, რომ გახდეს ქართული ფეხბურთის თავკაცი. მისი პოპულარობის და...დასტურებელია ისიც, რომ ფიფას პრეზიდენტი, იოზეფ ბლატერი მხარს უჭერს ...მაზ გოგლიძის კანდიდატურას, რაც ასევე ფრიად მნიშვნელოვანია.

...დიდ ორკესტრს მართლაც სჭირდება დიდი მაესტრო და ასეთად გვესახება ...ატონი რამაზ გოგლიძე.

...საქართველოს რკინიგზელთა და სატრანსპორტო მშენებელთა პროფესიული კავშირის სახელით და დავალებით, თავმჯდომარე რ. გუგიანიშვილი

# ...ჭაბუკები არ ხუმრობენ

...საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნა...რებს ყოველთვის მცირედი აკლდებოდა ...რმატების მისაღწევად. ამის დასტურად ...იც გამოდგება, რომ ვახტანგ კოპალე...შვილის თავკაცობით ჩვენს ახალგაზრ...ებს არცერთ შესარჩევ მატჩში უწვნევ...თ წაგება. პორტუგალიაში, მსოფლიოს ...ალგაზრდულ თამაშებზე კი სანახევრ...ო ამ გუნდის ფეხბურთელებით დაკომპ...ლექტებულმა ჩვიდმეტწლამდელთა ნაკ...რებმა გამარჯვება მოიპოვა. არც ევროპის ...მპიონატის შესარჩევ ციკლში უასპარე...ათ ურიგოდ. გემახსოვრებათ, შარშან ...ლო შეხვედრაში ჩვენებმა ფრედ ითა...მეს ბერძენ თანატოლებთან, გამარჯვე...ს შემთხვევაში კი ფინალურ ეტაპზე ...მაშის უფლებას მოიპოვებდნენ.

...წლეულს ჩვენი ჭაბუკები ევროპის ჩე...მპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ...ებნენ, რომელიც უნგრეთში ტარდება. ...ოთხგუნდიან ჯგუფში, სადაც ქართველე...ბთან ერთად მასპინძლები და ბულგარე...ლები მონაწილეობენ, პირველი შეხვედ...რები გაიმართა. როგორც გუშინ ვიუწყე...ბდით, ჩვენებმა ბულგარელები დაამარც...ხეს. გუშინვე უნგრეთში ნაკრების მთა...ვარ მწვრთნელს ვახტანგ კოპალეიშვილს ...დავუკავშირდით.

...— უნგრეთში უძლიერესი შემადგენლო...ბით ჩამოვედით. მართალია, ჯაკობიას ...მცირე ტრავმა გარკვეულ პრობლემებს ...გვიქმნიდა, მაგრამ ლაშამ შეძლო მატ...ჩისთვის მობილიზება და ჩვენს გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. ბულგარეთის ნაკრები ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის, მაგრამ პირველივე ტაიმში მოვახერხეთ უპირატესობის მოპოვება და მატჩიც ჩვენი კარნახით წარიმართა. თავიდან ორი გოლი გავიტანეთ, შემდეგ შეგნებულად დავთმეთ პოზიციები და მეტოქემ ერთი ბურთი გაქვითა, თუმცა მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ გაგვჭირვებია — გვითხრა კოპალეიშვილმა.

დღეს ჩვენი ნაკრები მეორე შეხვედრას გამართავს უნგრელ თანატოლებთან. უნგრელებს საკმაოდ ტექნიკური გუნდი ჰყოლიათ, ბულგარელებთან მატჩშიც კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებიათ და ის, რომ თამაში ფრედ დაუმთავრებიათ, მხოლოდ უიღბლობის ბრალი ყოფილა. დღევანდელი მატჩის წინ მცირე ტრავმები აწუხებთ ჯაკობიას და მიქაძეს, თუმცა ისინი უნგრელებთან მაინც ითამაშებენ.

მოკლედ, დღეს კოპალეიშვილის ბიჭები მასპინძლებს დაუპირისპირდებიან და თუ წარმატებას მიაღწიეს (ჩვენებს ფრეც აძლევთ ხელს), ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ერთი ნაბიჯის გადადგმალა დასჭირდებათ — ქართველი ჭაბუკები საკვალიფიკაციო ტურნირის მეთერთმეტე ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდებიან, რომელშიც ჩეხეთის, უკრაინისა და სომხეთის თვრამეტწლამდელები ასპარეზობენ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ...ტორპედო ...გაიფიცა

...საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ლო...ნითა და ცრუ დაპირებებით გადაღლი...ლმა ტორპედოელებმა გუშინ გაფიცვა ...გამოაცხადეს. ჯემალ ხერხაძეს მოუბო...რეს, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მა...გრამ სანამ კუთვნილ ფულს არ გაგვი...სტუმრებენ, არც სავარჯიშოდ და არც ...თამაშოდ აღარ გავალთო.

...„ტორპედოში“ რომ კატასტროფული ...მდგომარეობაა, ამაზე მრავალჯერ ვაცნო...ბეთ მკითხველს, მაგრამ ერთი ბოლოდ...როინდელი და რატომღაც გასაიდუმლო...ებული ინფორმაცია გვაიმედებდა. ქუთა...ისელთა კლუბს ახალი სოლიდური სპონ...სორი გამოუჩნდა და ყოველგვარი ფინა...ნსური პრობლემაც უმალ გადაწყდებაო. ...ჩვენც დუმილი ვარჩიეთ იმ მოტივით, ...რომ საქმისთვის ხელი არ შეგვეშალა. ...ფეხბურთელებიც ჩვეულად ვარჯიშო...ბდნენ და მერიის მიერ მოგვარებული ...ფებიის პრობლემის გამო ზედმეტად აღარ ...წუხდნებდნენ, იმედით ელოდნენ 12 ოქ...ტომბერს, დღეს, როცა კლუბში ახალი ...პატრონი უნდა მისულიყო...

...თუმცა თბილისელებმა — ვაშაკიძემ, ყი...ფიანმა და ჯინჭარაძემ მანამდე დატოვეს ...„ტორპედო“ და როგორც ჩვენთვის ცნო...ბილია, მათი მენეჯერი „დინამოსთან“ აწა...რმოებს მოლაპარაკებას.

...12 ოქტომბერს 13 ოქტომბერიც მიჰყვა. ...სიკეთო კი არაფერი მომხდარა.

...17 ოქტომბერს კი ჩემპიონატის ლი...დერს გორში მეათე ტურის პრინციპული ...მატჩი ელის.

**ხვიჩა სანიკიძე**

## საქართველოს თასი

### 1/16 ფინალი

**საპასუხო მატჩები**

12 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| *ივერია* | 0:2 | *ლოკომოტივი* |
| *ხაშური* | 0:4 | *თბილისი* |

13 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| *ენგური* | 0:3 | *ოდიში* |
| *განმუხური* | 1:1 | *ზუგდიდი* |
| *სამეგრელო* | 2:5 | *იბერია* |
| *ჩხოროწყუ* | 1:1 | *სამტრედია* |
| *იბერია 2* | 0:7 | *სამგურალი* |
| *სამტრედია* | 0:1 | *წყალტუბო* |
| *რიონი* | 2:1 | *დილა* |
| *ქუთაისი* | 0:4 | *გორი* |
| *მარგვეთი* | 2:0 | *ვიტ ჯორჯია* |
| *ზესტაფონი* | 0:4 | *თბილისი* |
| *იბერია* | 0:1 | *არსენალი* |
| *ქრელი* | 0:4 | *თბილისი* |
| *ზოოვეტი* | 1:2 | *მერანი* |
| *თბილისი* | 1:8 | *თბილისი* |
| *ყვარელი* | 0:1 | *გორდა* |
| *ყვარელი* | 0:1 | *რუსთავი* |
| *აკადემია* | 0:1 | *სიონი* |
| *თბილისი* | 1:3 | *ბოლნისი* |
| *საუ* | - | *თსუ* |
| *თბილისი* | | *თბილისი* |

*გადაიდო*

| | | |
|---|---|---|
| *კოლეჯი* | 3:0 | *გურია* |
| *ბათუმი* | 3:0 | *ლანჩხუთი* |

პირველ მატჩზე გამოუცხადებლობის გამო „გურია“ გათამაშებიდან მოიხსნა.

„სარბიელი“ წუხს წარსულში თბ...ილისის „დინამოსა“ და საბჭოთა ...კავშირის ნაკრების ფეხბურთელის

**გურამ ცხოვრებოვის**

გარდაცვალების გამო და თანაუგ...რძნობს განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ფეხბურთელის

**გურამ ცხოვრებოვის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

# შნაყოფო ხე უნდა მოიკვეთოს!

— რა საჭიროა თქვენი დაზვერვა, ყველანი ჩემს ხელში გაიზარდეთ, მოხარშულებს გიცნობთო — ეს სიტყვები ლატვიის ნაკრების ქართველ ხელმძღვანელს, რევაზ ძოძუაშვილს ეკუთვნის.

მიხიჩა არ ტყუოდა. მისი სიმართლე „დაუგავას“ სტადიონის ტაბლომაც დაადასტურა. ლატვია — საქართველო 1:0. შედეგი ყველაფერზე მეტყველებს.

ახლა ბერძენთა რუმინელ თავკაცს მოვუსმინოთ, საქართველოს სახით ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ ნაკლიც შევნიშნე — ისინი დაცვაში ვერ გამოიყურებიან სათანადოდ, ძალიან დიდხანს იჭერენ ბურთს, ინდივიდუალიზმის ხარჯზე ცდილობენ ხიფათის შექმნასო.

იორდანესკუს სიტყვებიც ბევრ რამეზე მეტყველებს. გენერალმა უკვე იცის, როგორ მოუგოს საქართველოს „ძლიერ“ გუნდს.

ასეა ყველა. ვისაც ჩვენი ნაკრების ერთი ოფიციალური მატჩი მაინც უნახავს, ის აუცილებლად გაგვაკრავს ბეჭებზე. ასე ყოფილა აქამდე. ასე იქნება კიდევ კარგა ხანს. ჩვენ მხოლოდ კარის გაჯახუნება გვეხერხება და ისიც არ გამოგვდის ხეირიანად.

საქართველოს ეროვნული გუნდი თავისი არსებობის მეცხრე წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ნაკრებს სამი სრულუფლებიანი მწვრთნელი შეეცვალა. მეოთხე ახლაც წვალობს, მაგრამ რაც გამოდის ამ საქმიდან, ყველა თვალნათლივ ვხედავთ.



AJAX MAGAZINE

„აიაქსის“ მეგოლე შოთა არველაძეს ნაკრებში ვეღარ გააქვს

მესამე შესარჩევ ციკლს შესჭიდებია ეროვნული გუნდი. ნაკრების ძირითადი ბირთვი მეექვსე წელია, უცვლელია. არ შეცვლილა სათამაშო სტილიც. ნელი, მოსაბეზრებელი ბურთაობა, მიზნის უქონლობა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა. ეს არის ჩვენი ფეხბურთელების მოურჩენელი სენი.

ჯერჯერობით ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ მოახერხა ამათი მორჯულება. მუდამ ერთსა და იმავეს ვხედავთ, მიზეზი არ ელევათ, ხან წვიმს, ხანაც უსაშველოდ ცხელა, ზოგჯერ მინდორი არ ვარგა და ზოგჯერაც ბურთია მრგვალი.

რამდენი მწვრთნელი გვინახავს, ხმამაღლა განუცხადებია, ნაკრებში ახალი სისხლია საჭირო, ძირეულ ცვლილებებს უნდა მივმართოთო. საქმით არაფერი დამტკიცებულა. ძველი თუ ახალი ისევ ტკბილ სიტყვას ამჯობინებს. გველსა ხვრელით ამოიყვანსო, კი თქმულა, მაგრამ ბრძენ კაცს ეს ანდაზა ყველაზე და ყველაფერზე როდი უთქვამს.

ტკბილმა სიტყვებმა და დღემუდამ თავზე ხელის გადასმამაც მიგვიყვანა ლატვიურ ფიასკომდე. დიახ, ფიასკომდე, და თუ ვინმე ფიქრობს, რომ რიგაში არ გაგვიმართლა, ბედმა გვიმუხთლა და წინა შაბათს ჩვენი დღე არ იყო, ძლიერაც შემცდარა.

ეროვნული ნაკრების დღევანდელმა ბიჭებმა საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ამოწურა. ამათგან მეტს ნუღარ მოველით, რადგან 25-26-27 და 28 წლის ამომავალი ვარსკვლავი არავის უნახავს და გაუგონია.

ამის თქმას აქამდე რატომღაც ვერიდებოდით. აქამდე გვჯეროდა მათი შესაძლებლობების, ნიჭისა თუ ჯიგრის. კი, იყვნენ ნიჭიერებიც, დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ყველა მონაცემიც გააჩნდათ, მაგრამ ჯიგრისა რა მოგახსენოთ. ეს ჩვენს სათაყვანებელ ბიჭებს ჯერ არ დაუმტკიცებიათ.

ფეხბურთელი რომ ფორმაში არა ხარ და თამაშის ნაცვლად ცოდვილობ, კი უნდა გეყოს ვაჟკაცობა, მწვრთნელს პირდაპირ უთხრა, კონკრეტული მატჩისთვის არ გამოგადგებიო.

მწვრთნელსაც უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, რომელი ფეხბურთელია საუკეთესო ფორმაში და ვინ მოუტანს სარგებელს. რომ დაუჩემებია ვლადიმერ გუცაევს, გამოცდილ და ბრძოლანანახ მოთამაშეებს ვენდობიო, ის გამოცდილი თუ არ ვარგა, სჯობს, შანსი ახალგაზრდას მივცეთ.

გუცაევსაც შეეშინდა. რადიკალურ ცვლილებებს თავი აარიდა. ისევ ძველ გვარდიას ენდო, მათ, ვინც ფეხბურთში თავიანთი შესაძლებლობები ამოწურეს.

არსად, მსოფლიოს არცერთი ქვეყნის ნაკრებში არ მოხვდება უგუნდო და უთამაშებელი ფეხბურთელი. ავია თუ კარგია, ყველა სათამაშო პრაქტიკის მქონე მოთამაშეს ირჩევს. ეს ჩვენშია ყველაფერი უკუღმა.

როცა ფეხბურთელმა იცის, რომ ფორმადაკარგულს თუ უთამაშებელს მაინც უპირველესი გუნდის ძირითად შემადგენლობაში აქვს ადგილი დაჯავშნული, რა თავდადებაზე და მომატებაზეა საუბარი.

სანამ ამ მავნე სენს არ ვუმკურნალებთ, მანამ წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების მარაქაშიც არაფერი გვესაქმება. თუმცა, ჩვენთვის დიდი ფეხბურთის კარი ისეა დახურული, მის მიღმა ვერანაირად მოვხვდებით.

ობიექტურობის გრძნობა ეკარგებათ ჩვენს მწვრთნელებს. ზოგი ფეხბურთელი „ლუბიმჩიკია“, ნაწილი თვალში არ მოსდით, ერთეულები ჭირვეულები და უხასიათოები გამოდიან, ის იმის ძმაკაცის შვილია, ამას შესახედაობა დაეწუნება, ბევრმა კი, მათი აზრით, თამაში არ იცის.

ქვეყნის ნაღებმა მობურთალეებმა კი ლატვიაში თავი მოგვჭრეს.

გუცაევმა აღიარა, წაგება ჩვენი ბრალიაო. თან დასძინა, ფეხბურთელებმა დავალებები ვერ შეასრულეს, რომ შეესრულებინათ, მოვიგებდითო. კი, მაგრამ, ვის რაში სჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ვერავის ვერცერთ დავალებას ასრულებს?

ან რაღაც არარეალურს ვავალებთ, ანაც, უბრალოდ, მოისუსტებენ. სხვა ვარიანტი არ არსებობს. ხშირად მოგვდის ასე, თამაში გასახდელშია ხოლმე წაგებული. რატომ? იმიტომ, რომ ხან წვიმს, ხანაც მზეა და ბურთიც დღემდე მრგვალია. ვერავინ მოიფიქრა, სამკუთხა ანაც კვადრატული გამოეშვა. ეგებ მაშინ მოგვეგო.

ჩვენს ნაკრებს ერთი რამეც ღუპავს. კერძოდ, მწვრთნელი თავისას ამბობს, რომელსაც ყურს არავინ უგდებს. ფეხბურთელი თავისას გაიძახის, მინდორზე თავისას ცდილობს, საერთო მონახაზისგან განსხვავებულს. ამიტომაც გამოდის საბოლოო ჯამში დომხალი.

უყურებ ჩვენს ნაკრებს და ხვდები, რომ მას შეკრული გუნდის არაფერი სცხია. ოღონდ კონკურენტი მოიშორონ, ოღონდ ძირითადში ადგილი ჰქონდეთ და ნაკრები როგორ გაირჯება, არავის აინტერესებს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ურემი შუა გზაზე კი არ ყირავდება, არამედ გზის დასწყისშივე კლდეზე გადაიჩეხება ხოლმე. ურმის ბოლომდე მისაყვანად კი ჩვენთვის ამქვეყნად არც ერთი გზა არ არსებობს.

რა ხასიათის პატრონიცაა ზაზა ჯანაშია, კარგად ვიცით, მაგრამ იგი, როგორც ფეხბურთელი, ეროვნულ გუნდს რომ სჭირდება, საკამათო არც უნდა იყოს.

ზაზა კი არც ერთ მიზეზს ხელიდან არ უშვებს, რათა სათამაშოდ არ ჩამოვიდეს. ბევრი პრობლემას იოლად გადაჭრის ხოლმე, გუცაევს და ჯანაშიას ერთმანეთში კონფლიქტი აქვთ და მიზეზიც ეგ არისო. ყიფიანთანაც კონფლიქტი ჰქონდა, პოლონეთში რომ არ ჩავიდა?!

პრობლემა სხვაგანაა საძიებელი. ჯანაშიამ გუნდში ვერავის გაუგო. მხოლოდ ქეცბაიასთან იპოვა საერთო ენა, დანარჩენებმა კი მასთან დასაახლოებლად არაფერი გააკეთეს. ამასაც თავი დავანებოთ, მინდორზე პასს არ აძლევენ. ამის დასტურად საქართველო-რუსეთის ამხანაგური მატჩიც გამოდგება. ჯანაშია ინდივიდუალურად ცდილობდა თავისას. ერთხელ იყო, ჟორიკა კიკნაძემ პასი გადაუგდო და ისიც ზოგიერთებმა შერისხეს.

როცა გუნდში ამდენი პრობლემა, ამდენი დაპირისპირებაა და ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, იმ გუნდს სიკეთე არ მოელის.

ფეხბურთელს, რომელიც სამარცხვინოდ წააგებს, მერე ორიოდ საათში სიცილის გუნებაზე დადგება, ბევრიც არაფერი უნდა მოსთხოვო.

როცა ფეხბურთელი მწვრთნელს შეჰბედავს, გარეთ გაბრძანდით, სათქმელს ჩვენ ვეტყვით ერთმანეთსო, ამას ნაკრები არ ეთქმის. სათქმელი ერთმანეთისთვის მანამდე ეთქვათ, სანამ რიგაში შერცხვებოდნენ.

ღმერთმა ინებოს და დღეს ათენში ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მოიგოს, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად სავარაუდოა. მაინც, ნაკრების წლობით ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია ერთი დღის განმავლობაში ძნელი შესაცვლელია. ის კი არა, რა გინდა მოუხერხო თავდასხმას, რომელსაც გოლი ვერ გაუტანია. როგორ უშველი ისეთ ნახევარდაცვას, რომელსაც 90 წუთი ბოლომდე ჯერ არ უშრომია. დაცვის და მეკარის საიმედო თამაში ეპიზოდურად თუ გვინახავს, მაგრამ ახლა მათი გარჯა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ნაკრების ათამაშება თავის დროზე ვერ შეძლეს ვერც ჩივაძემ და ვერც ყიფიანმა. გუცაევმაც ვერ გააკეთა ის, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა. გადაჰყვება ამათ ბატონი ვოვა. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, განტევების ვაცად ადრინდელივით მწვრთნელი იქცევა.

მერე გადადგება გუცაევი და მოვა სხვა, რომელსაც მცირე ხანში ინფარქტიო გულგაგლეჯილს გააქანებენ საავადმყოფოში და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ გამოსაშვებ სისხლს არ გამოვუშვებთ.

მანამ არაფერი გამოვა, სანამ ძირეულ ცვლილებებს არ განვახორციელებთ, არაპატრიოტ, უამბიციო ფეხბურთელებზე უარს არ ვიტყვით და მწვრნელებს თავიანთი ნათქვამის შესრულებაზეც ათასგვარი ხერხით ხელს ავალებინებთ.

მწვრთნელიც „სუსტხერხემლიანი“ არ უნდა იყოს. მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს. ფეხბურთელი რიდით და მოწიწებით უნდა გეპყრობოდეს. როცა ამას მოვახერხებთ, მაშინ არ წავაგებთ ლატვიასთან, შინ ალბანეთთან საჭოჭმანოც არაფერი გვექნება და ნორვეგიას თუ საბერძნეთსაც წამოვაქცევთ.

ახლა კი რა გითხრათ, რით გაგახაროთ, საშველი სად ვეძებოთ. იქნებ ისევ ღმერთმა გადმოგვხედოს მოწყალე თვალით და ათენიდან მთლად დამწუხრებულები არ გამოგვიშვას. მაგრამ, არა გვგონია, მამაზეციერი ზარმაცებსა და უქნარებს წყალობდეს.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ახლა აშვეთიას ჯერია!

ლატვიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ ერთი აზრი აგვეკვიატა და ვფიქრობთ, მისი უთქმელობა არას გვარგებს, ისევე როგორც მისი თქმით არაფერი დაშავდება. აი, ეს აზრიც — საქართველოს ნაკრები უთავდამსხმელო, უკეთეს შემთხვევაში კი ერთი თავდამსხმელის გუნდია. ეს ჩვენი სუბიექტურია მოსაზრებაა, რომელსაც, ეჭვგარეშეა, ოპონენტები არ დაელევა — აქაოდა, შოთა და არჩილ არველაძეების, ჯანაშიას, ყაველაშვილის, იაშვილის, დემეტრაძის (ამ ბოლო დროს ქეცბაიას) პატრონებმა უთავდამსხელობა როგორ დავიჩემოთო. მაგრამ ფაქტია — საქართველოს ნაკრების თავდასხმა, შეიძლება ითქვას, გუნდის ერთ-ერთი სუსტი რგოლია.

არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელის კლასში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ „აიაქსის“, „ბრედას“, „ლოკომოტივის“, „ფრაიბურგის“ და „ალანიას“ ლიდერ-გოლეადორები ვერ შეიქნენ საქართველოს ნაკრების გოლეადორებად (არას ვამბობთ ლიდერობაზე).

ნამდვილად საწყენი დასკვნა გამოვიტანეთ. საწყენი თვით ნახსენები ფეხბურთელებისთვის, მაგრამ ფაქტი ფაქტია, სტატისტიკა — სტატისტიკა — დღემდე ევროპისა თუ მსოფლიოს შესარჩევ ტურნირებზე ჩატარებული 20 მატჩიდან ჩვენებმა რვა შეხვედრაში მოედანი უგოლოდ დატოვეს — (გერმანიასთან, ბულგარეთთან, მოლდოვასთან, ლატვიასთან თითოჯერ, ინგლისთან და იტალიასთან ორორჯერ), ექვსჯერ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა მოახერხეს — გერმანიასთან, უელსთან, პოლონეთთან, მოლდოვასთან თითოჯერ და ალბანეთთან ორჯერ, ორი ან მეტი ბურთის გატანა კი ოციდან მხოლოდ ექვს შემთხვევაში შეძლეს.

და ეს მაშინ, როცა ჩვენი მეტოქეები ალბანეთი, მოლდოვა, ლატვია იყვნენ. 20-დან 9 შეხვედრა ამ გუნდებთან ჩაატარეს ქართველებმა.

როცა კრიტიკული სიტყვის უფლებას ვაძლევთ თავს, შოთა არველაძის ღვაწლის დავიწყებაც არ ეგების — იყო პერიოდი, როცა მას მართლა გაჰქონდა ბურთები და უხვადაც, მაგრამ შოთაც ფეხბურთელია. ფეხბურთელის კარიერამ კი იღბალიც იცის და უიღბლობაც, ალმასვლაც და ჩავარდნაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ამჟამად „აიაქსის“ შარშანდელი პირველი მეგოლე ვერ იმყოფება ფორმაში და აკი ვერც გააქვს ძველებურად.

არჩილ არველაძეს რაც შეეხება, მან ორიოდ მატჩი თუ ითამაშა ქვეყნის პირველ გუნდში, ორი გოლიც გაიტანა, მაგრამ ტყუპისცალის ჩრდილს ვერ გასცდა. აქედან გამომდინარე, სხვებისოდენა შანსიც არ მისცემია და რაც არ ყოფილა, იმაზე ვერც ვიმსჯელებთ. ისე კი, მარგი ქმედების კოეფიციენტი არჩილს სხვებზე მაღალი აქვს.

უნიჭიერესი ფორვარდია ზაზა ჯანაშია, მაგრამ იმ ყაიდისა, უფრო მეგოლეებს კი არა, მუშა-ფორვარდებს რომ ეძახიან. მისი სტილი გოლეადორობაზე მეტად მეგოლისთვის საგოლე სიტუაციების შექმნაა, აკი ასეც ირჯებოდა და ირჯება ყველგან, სადაც კი უთამაშია. ამგვარი ფორვარდები ახლა მოდაშია — მაგალითად, შირერის გვერდით „ნიუკასლში“ ყოველთვის დარბის ხოლმე ერთი თანაამპლუელი, რომლის ძირითადი ფუნქციაც შირერისთვის საგოლე პასის მიწოდება, ანაც საგოლე სიტუაციის გაკეთებაა, ოუენს ფაულერი სჭირდება „ირგვლივ სარბენად“, ბირჰოფს ვეა ანაც განცი, ბატისტუტას ოლივეირა, რონალდოს სამორანო და სხვა მრავალი გაგვახსენდება მსგავსი სოლისტ-ასისტენტები. ამიტომაც თუკი ჯანაშიას ხუშტურებმა თამაშის საშუალება მისცეს, მას აუცილებლად დასჭირდება ერთი მეგოლე პარტნიორი და ეჭვიც არ გვეპარება, ზაზა თავის საქმეს შეასრულებს — პასს მისცემს და გაატანინებს პარტნიორს. ეს საქმე იცის, ამას ვერავინ წაართმევს.

იაშვილზე, დემეტრაძეზე, ყაველაშვილზე და ამ ბოლო ხანს გათავდამსხმელებულ ქეცბაიაზე კი იმას ვიტყვით, რომ მეტად ცოტა ითამაშეს პირველ ნაკრებში ამ ფეხბურთელებმა თავდასხმის ხაზში და არა გვაქვს საფუძველი, რაიმე დასკვნა გამოვიტანოთ.

აქამდე თუკი რაიმე შედეგიანი უკეთებია ჩვენს ნაკრებს, ისიც ძირითადად ნახევარდაცვის ხარჯზე და ერთადერთი იტალიასთან თბილისური თამაშილა იყო, როცა ქართული დაცვა და მეკარე კედლივით დადგნენ და ქულა გაუყვეს აპენინელებს. ყველა სხვა შემთხვევაში გამარჯვებულის გვირგვინი უცილოდ ნახევარდაცვას ეკუთვნოდა. აი, თავდასხმის მოგებული თამაში კი არ გვახსენდება — არ მოუგიათ ჩვენს ფორვარდებს ოციდან არც ერთი შეხვედრა, არცერთხელ „გაუგიჟებიათ თავი“ და იმიტომ.

არადა, მიუხედავად უამრავი საყვედურისა, ხომ მრავალჯერ გვინახავს, რა ლამაზი, ოსტატური პასებით დაუტოვებიათ ერთი ერთზე თუ არა, აშკარად საგოლე სიტუაციაში მაინც, ჩვენს შუახაზელებს ქართველი ფორვარდები, ხან ჯამარაულს, ხან ქინქლაძეს გამოზომილად გაჰყავდათ დასარტყმელ პოზიციაზე — ისინი კი... მუდამ რაღაც უშლიდათ ხელს, ხან მიზანი უმტყუნებდათ, ხან ალღო, ხან მეკარეს ურტყამდნენ... და ასე შემდეგ და სხვა მრავალი. სულ დალეჭილ პასს კი მარადონა ვერ აძლევდა პარტნიორებს. მით უმეტეს, დღევანდელმა ფეხბურთმა და ჩვენი ნაკრების მანერამ ისე მოიტანა, სისწრაფეში და ფიზიკურ მომზადებაში თითქმის მუდამ გვჯაბნიან სხვები და როცა სხვა გასწრებს და გერევა, შეიძლება აშკარად საგოლე მომენტი ორიოდეღა თუ ჩაგივარდეს მატჩში.

[illegible] ფოტო



„დინამოს“ და ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია აგრერიგად გახარებული არაერთხელ გვინახავს

ეს წერილი ლატვია—საქართველოს შეხვედრის რადიორეპორტაჟის შთაბეჭდილების ქვეშ იწერება. ისე ჩანდა, ვეებერთელა ტერიტორიული უპირატესობა გვქონია, მომენტთა სიმწვავეზე კი რა მოგახსენოთ... კი ყვიროდა ჩვენებური კომენტატორი ჯამარაულის დიდებული პასი, ქინქლაძის ოსტატური რეიდიო, მაგრამ როცა საქმე ჩვენს წინახაზზე მიდგებოდა და საქმეში ყაველაშვილის, არველაძის, მერე დემეტრაძის გვარი ჩაერეოდა, მეტწილ სინანული ძლევდა ხოლმე მატჩის წამყვანს — სცადა მოტყუება, მაგრამ... სცადა დარტყმა, მაგრამ... თამაშგარეში აღმოჩნდა და ა.შ. და ეს ლატვიასთან, რომელიც, რა თქმა უნდა, შინ გვეთამაშებოდა, რომელმაც ისწავლა თამაში, რომელმაც მართალია ნორვეგია დაამარცხა, მაგრამ მაინც სუსტი გუნდია, არაფრით არის გრანდი და მას თავისუფლად უნდა მოვუგოთ — შინაც, სტუმრადაც, ცალი ფეხითაც კი...

ის კი, მცველს რომ ვერ გასცდა არველაძე, ანაც შემობრუნებით რომ არაზუსტად დაარტყა ოთხჯერ, ყაველაშვილი რომ ოთხჯერ აღმოჩნდა თამაშგარეში და თუ დაარტყა, ისიც სუსტად და სულ რომ მეკარეს მიუგორა ხელებში — ყველაზე ნაკლებადაა ჩვენი, ანაც გულშემატკივრის ბრალი. დღევანდელ ფეხბურთში საქმე ისეა, არც შემობრუნებას გაცლის ვინმე, ათიდან ათივე შემთხვევაში ჩაგიწვება მცველი და თამაშგარეშიც ოსტატურად დაგტოვებენ, ყველამ ისწავლა ფეხბურთი და იმიტომ.

ასე რომ, თანაგუნდელებს ნუ დაემდურებიან ჩვენი თავდამსხმელები. პასებსაც საკმარისს აწვდიან მათ და ერთიორ საგოლე მომენტსაც მუდამ უქმნიან ხოლმე ნებისმიერ თამაშში. და თუ მაინც ვერ გადის გოლი მეტოქის კარში, ეს ჩვენმა ფორვარდებმა უმალ თავის თავს უნდა დააბრალონ.

კრიტიკა კრიტიკად, მაგრამ ახლა ისიც ვთქვათ, რაში უნდა ვეძებოთ გამოსავალი, რითი შეიძლება მსგავს უხერხულობას და უნიათობას ვუწამლოთ, მაინც რა უნდა გაკეთდეს და როგორ. ბოლოს და ბოლოს როდის იქნება, რომ ქართველი ფორვარდები ტრადიციისამებრ შიშის ზარს დასცემენ მეტოქე მცველებს. შევეცდებით, ჩვენეული მოსაზრება გაგიზიაროთ, ვინძლო ერიოს შიგ სიმართლის მარცვალი და იქნებ გენიშნოთ კიდეც ზოგი რამ.

პირველ ყოვლისა, ჩვენი ნაკრების არსენალიდან შეძლებისდაგვარად უნდა გამოირიცხოს მაღალი ბურთების ჩაკიდება საჯარიმოში. ქართველი მეკარეები ლამისაა ერთადერთნი არიან, გამოსვლაზე თამაში რომ ვერ ისწავლეს, თორემ ნებისმიერი კლუბის და ნებისმიერი ქვეყნის ნაკრების კარს ამჟამად გამოსვლაზე კარგად მოთამაშე მეკარე იცავს. მეორე მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვერც ერთი ქართველი თავდამსხმელი ვერ თამაშობს მეორე სართულზე საშუალო დონეზე მაინც და მცველები ყოველთვის აჯობებენ მათ (ერთიცაა, მეტწილად საშუალო სიმაღლის ფორვარდები გვყავნან).

ვინც დაკვირვებია, შეამჩნევდა, რომ ქართველი ფორვარდები დაეჩვივნენ კარისკენ ზურგით მდგომებმა მიიღონ ბურთი, ეს კი სწრაფი შეტევის პირველი ხელშემშლელი მიზეზია — მანამ თავდამსხმელი მობრუნდება, მომხდარში გაერკვევა, ისედაც ფეხზე მიწებებული მცველი აუცილებლად გაუკეთებს ავადსახსენებელ „პადკატს“ (რომელსაც ახლაღა ვსწავლობთ) და ბურთსაც აცლის.

ქართველი ფორვარდებიდან ერთადერთი ჯანაშიაა, რომელიც მოტყუებისას პირდაპირ მიდის მეტოქე მცველზე და არ გაურბის მას, სხვები კი არ ატყუებენ — გაურბიან, გვერდს უვლიან, უკან აწვდიან და ა.შ. ესეც, რა თქმა უნდა, აგდებს ტემპს თამაშისას და ისიც სათქმელია, რომ როდესაც ცდილობ მცველს გაექცე, გვერდი აუარო, იგი მხარს ჩაგიდგამს, კორპუსით გაგეთამაშება, სირბილში გაგასწრებს (სწრაფია და იმიტომ) და ბურთს აგართმევს. ზოგჯერ მაინც ახერხებენ ორიოდ მეტოქის მშრალზე დატოვებას ჩვენები, მაგრამ მესამე ფეხბურთელი აზღვევს ხოლმე თანაგუნდელებს და ბურთიც იკარგება.

ახლა კი უმთავრესზე: დღევანდელ ფეხბურთში მოედნის ცენტრშიც კი აღარავინ ატყუებს ორზე მეტ მეტოქეს — ამას დრო მიაქვს. იკარგება სივრცე, დროგის ცხენებივით მორბენალი, ათასგვარ კრეატინ-იზოსტარებით გაჭყეპირი მეტოქეებიც ასწრებენ დამცველი ბასტიონების აგებას და მერე ორი კი არა, ათი თავდამსხმელიც ვერას გააწყობს მათთან. ამიტომ ბურთის ტარებას, ცენტრში ფაფხურს და მოედნის განდაგან სერვას ისევ პასი სჯობს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბურთი მუდამ ფეხბურთელზე სწრაფად აღწევს სასურველ ადგილს. აქედან გამომდინარე, ჩვენმა ფეხბურთელებმა როგორმე უნდა დასძლიონ ბურთთან ერთ ადგილზე ფლობით გამოწვეული სიამოვნების შეგრძნება და ორი, მაქსიმუმ სამი შეხებით უნდა დაამთავრონ მასთან კონტაქტი. სხვანაირად ჯგუფური პრესინგით მათ სულ მოახრჩობს მეტოქე.

ორიოდე სიტყვით ტექნიკას და რაციონალიზმისაც შევეხებით. ამ ორი კომპონენტის შერწყმას ფეხბურთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გვახსენდება ერთი ეპიზოდი რუმენიგეს შესახებ. ერთხელ „ინტერის“ ბაზაზე კაუზიოს მარადონას მიერ გაკეთებული ახალი უძნელესი ფინტის შესახებ მიუტანია ამბავი და თითქმის ყველა მილანელს იქვე უცდია ფინტის გაკეთება, მაგრამ უშედეგოდ. „კალეს“ აუღია ბურთი და უშეცდომოდ გაუმეორებია მარადონას ილეთი. მაშინ „ინტერში“ ალტობელი და სხვა ვარსკვლავებიც გამოდიოდნენ — მათ გაცილებით ტექნიკური ფეხბურთელების იმიჯი ჰქონდათ, ვიდრე რუმენიგეს, მაგრამ როგორც ეს შემთხვევა გვიჩვენებს, მას მეტი თუ არა, სხვაზე ნაკლები არ შეეძლო. მაგრამ რუმენიგე იმიტომაც იყო დიდი, რომ მას უზადო ტექნიკის დროულად დემონსტრირება შეეძლო და ბევრიც მოიგო ამით (მანაც და მისმა გუნდმაც).

აი, სწორედ ეს უნდა ისწავლონ ჩვენმა დასტურ ტექნიკურმა თავდამსხმელებმა და არა მარტო თავდამსხმელებმა. არავითარი ბურთის თრევა, არავითარი ზედმეტი ფაფხური — დროული პასი, დროული დარტყმა, და ... გამიზნული, აზრდატანებული თამაში — აი, თ...
ნამედროვე ფეხბურთის და მაღალი შედ...
გის მიღწევის უეჭველი გასაღები.

მოვლენები იმგვარად განვითარდა, რ...
ჩვენ არც „საჯარიმოს ფორვარდი“ შ...
გვრჩა. ყველა ზემონახსენებ თავდამს...
მელს თავის გამოსაჩენად, რაიმეს გას...
კეთებლად სივრცე სჭირდება. ისინი ჩვ...
ულებრივ ძნელად ახერხებენ ერთი, მა...
სიმუმ ორი შეხებით კარისკენ გადაგზა...
ნონ ბურთი, არადა, ნებისმიერ თანამე...
როვე გრანდ-გუნდში ყოველთვის არი...
ხოლმე ერთი მაინც ასეთი ყაიდის მოთ...
მაშე. ბირჰოფი, ვიერი, ინძაგი, ბატისტ...
ტა, იორკი, სინიორი, კაზირაგი, მარშალ...
ვინკლერი — სწორედ საჯარიმოში მო...
მედ „ერთი შეხების“ ფორვარდებად გვ...
სახებიან. გახსოვთ ალბათ, ადრეც ძალი...
ბევრს ნიშნავდა მსგავსი მობურთალი —
მიულერი, როშტო, პაპენი, კარეკა, ფიშ...
რი, კლინსმანი, შენგელია — ეს ხალხ...
ხომ სწორედ ალღოს და ადგილის შ...
რჩევის ხარჯზე გადიოდა ფონს, გოლ...
ბიც უამრავი გაჰქონდათ და კარიერ...
მანძილზე ორიოდ რეიდი თუ შეუსრ...
ლებიათ (ამით სრულიადაც არ ვაკნინებ...
მათ ოსტატობას). არადა, მათი ყაიდი...
თავდამსხმელი ძალიანაც გვჭირდება, გ...
ჭირდება მეტი რომ არ შეიძლება ის...
ბევრი კი არა, ორიოდე თუ მოიძებნე...
მთელს საქართველოში „საჯარიმოს ფო...
რვარდი“ და აქედან ორივე ამჟამინდე...
თბილისის „დინამოში“ გამოდის, ესე...
ლევან ხომერიკი და მიხეილ აშვეთია...
პირველი ეგრეთ წოდებული შექმნილ...
მწვრთნელთა მიერ გაკეთებულია — ლ...
ვან ხომერიკი „ბათუმში“ თამაშისას ა...
იყო „საჯარიმოს ფორვარდი“, იგი მ...
ჭუტაძის ასისტენტი უფრო იყო. აი, მ...
ხო აშვეთია კი სწორედ ის კაცია, ...
მობურთალი, რომელიც აგრერიგ სჭი...
დება საქართველოს პირველ ნაკრებს. ნ...
რავინ ჩაგვითვლის ამას ხმამაღალ, უს...
ფუძვლო განცხადებად. აშვეთია ყვე...
მონაცემებით აკმაყოფილებს „საჯარიმ...
ფორვარდის“ მოთხოვნებს და ამას მთ...
ლი მისი კარიერა ამტკიცებს. აშვეთ...
ნიჭიერი კაცია, ახალგაზრდა კი გახლავ...
მაგრამ უკვე დაიგდო გამორჩეული მ...
გოლის სახელი და ერთიცაა, მან ყველ...
დონეზე შეძლო ბურთის გატანა, სად...
კი თამაშმა მოუწია.

„რწმენა“, „ტორპედო“, „ალანია“, „დ...
ნამო“, ახალგაზრდული ნაკრები — მ...
ხომ ყველა გუნდში შეძლო გოლეადორ...
ბა. უკვე ხუთიოდ წელია, ამ ბიჭის თამ...
შს თვალ-ყურს ვადევნებთ და სულ უ...
რო გვესახება იგი რამაზ შენგელიას მს...
ავს და მემკვიდრე მობურთალად. ი...
სწრაფია, აქვს ზუსტი, ძლიერი დარტყმ...
კარგად თამაშობს თავით, ალღოც შე...
შური გააჩნია, კარზეც დაგეშილია და არ...
იღბალი აქვს თავის დიდ წინამორბედ...
ნაკლები. აი, საგოლე მომენტების გამ...
ყენების პროცენტი კი ბარე ორისთვ...
შესაშური გააჩნია.

და დღეს, როცა ჩვენს ფორვარდებ...
ასე უჭირთ გოლის გატანა — აშვეთია...
საც უნდა მიეცეს შანსი. თუ მის გამო...
ცდელობას მოგვაჩრჩებენ, უნდა ვთქვა...
რომ ოცდაერთი წელი არ არის ცოტ...
იაშვილი და დემეტრაძე მასთან შედარ...
ბით ბებრები არიან და უკვე ითამაშ...
პირველ ნაკრებში. აშვეთიას აქვს ორ...
ძვირფასი უპირატესობა — ალღო დ...
იღბალი, რასაც გამოყენება უნდა. და...
წმუნებული ვართ, მიხოს რომ ალბან...
თთან და ლატვიასთან ეთამაშა ჩვენ...
ეროვნული ნაკრები უპრობლემოდ მო...
გებდა ორივე მატჩს. არც ქინქლაძის ორ...
ზუსტი პასი გაცუდდებოდა ალბანელ...
ბთან და ვერც ლატვიელები დაუდგებ...
დნენ ჯამარაულ — აშვეთიას ტანდე...
წინ. და თუ ვისმე მიაჩნია, რომ ვაჭარ...
ბებთ, ცდა ხომ მაინც შეიძლება. ვცად...
და ჩვენს სიმართლეს დრო, ეროვნულ...
ნაკრების მომავალი თამაშები და თვით...
აშვეთია დაამტკიცებენ. ახლა არავის მ...
რიდების, მოწიწების ან ხათრის დრ...
არ არის, ფეხბურთს თავისი კანონები გ...
აჩნია და ამ კანონის თანამხად, ეროვნუ...
ნაკრებს სჭირდება „საჯარიმოს ფორვ...
რდი“, კაცი, ვინც ქინქლაძის, ჯამარაუ...
ლის ან სხვათა პასს ერთი, მაქსიმუ...
ორი შეხებით გადაგზავნის კარისკენ.

დასკვნის სახით კი ამას ვიტყვით —
დიდ პატივს ვცემთ არველაძეებსაც, ჯან...
შიასაც, ყაველაშვილსაც, იაშვილსაც, დე...
მეტრაძესაც, თუნდაც მათ მიერ მონიჭ...
ბული რამდენიმე სიხარულის გამო, მაგრ...
ამ ახლა ნაღდად მიხეილ აშვეთიას ჯერი...

**კონსტანტინე გოგიშვილ...**


ჟაკესგან განსხვავებით ლემერმა ანელკა ნაკრებში გამოიძახა და შედეგსაც იმკის

# პროგრამა მაქსიმუმი — რონალდო

თინეიჯერი ნიკოლა ანელკა, რომელიც რამდენიმე თვის წინ საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ემე ჟაკემ დაიწუნა და სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადში არ შეიყვანა, ახლა ფრანგთა შეტევების მთავარ დამაგვირგვინებლად იქცა. ამას წინათ 19 წლის ფორვარდმა ჟურნალისტებს განუცხადა, ჟაკემ უარი რომ მითხრა, მას შემდეგ ნაკრებისადმი ყოველგვარი ინტერესი დამეკარგა, თამაშებს არც კი ვუყურებდიო.

თუმცა, გამოხდა ხანი, ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ჟაკე თანამდებობიდან გადადგა და, ბუნებრივია, მას შემცვლელი გამოუჩნდა — როჟე ლემერი, ვინც ჟაკესგან განსხვავებით, ანელკას ხელი არ ჰკრა და ეროვნულ გუნდში გამოიძახა. ახალგაზრდა თავდამსხმელმაც გაამართლა გაცემული ავანსები — სუსხიან მოსკოვში რუსებს პირველი გოლი თავად გაუტანა, ხოლო შემდეგ რობერ პირესსაც საგოლე გადცემა გაუკეთა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი ჯერ ოცისაც არ არის და ნაკრებშიც მხოლოდ ორი მატჩი აქვს გამართული, ეს შედეგი ურიგო ნამდვილად არ არის. სწორედ ამიტომ, საფრანგეთში უკვე დაიწყო საუბრები — ჟან პიერ პაპენს, როგორც იქნა, შემცვლელი გამოუჩნდაო.

პაპენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თავად ანეკლა თურმე ბრაზილიელ რონალდოს ალმერთებს და, მისივე თქმით, სულ იმის ცდაშია, მასავით იბურთაოს და აჯობოს კიდეც.

— ჩემი მთავარი მიზანია, რონალდოსავით ძლიერი ფორვარდი გავხდე, რადგან იგი საუკეთესოდ მიმაჩნია. მისით აღფრთოვანებული ვარ. არ ვიცი, გავხდები თუ არა მომავალში მასავით მაღალი დონის თავდამსხმელი, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯო. მართალია, რონალდო ერთადერთია, მაგრამ მისებრ კარგად თამაში მეც შემიძლია. ჯერ ხომ სულ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ კიდევ უნდა ვისწავლო — არ იხევს უკან ანელკა.

ამ ორი ფეხბურთელის თაობაზე აზრი ლონდონის „არსენალის“ (ანელკას კლუბი) ფრანგმა თავკაცმა, არსენ ვენგერმაც გამოთქვა. იგი თურმე ორგზის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს არად დაგიდევთ და თავის შეგირდს ანიჭებს უპირატესობას:

— ჩემს სამუშაო გეგმაში უკეთესად ნიკოლა ჯდება. თავისი უფრო აგრესიული და ფეთქებადი ხასიათის გამო, რაც რონალდოს ნაკლებად ახასიათებს.

ახლა საფრანგეთი 98-ის მსვლელობისას ანელკას მიერ ჩადენილ ულირს საქციელს (ფრანგების თქმით) დავუბრუნდეთ. იგი, თურმე საერთოდ არ უყურებდა თანამემამულეების თამაშებს, ამბობდა, არ მაინტერესებსო და მეტიც, 12 ივლისს, როდესაც ზიდანი და კომპანია „ფეხბურთის ჯადოქრებს“ ანადგურებდნენ, იგი მატარებლით ლონდონს მიემგზავრებოდა. მართლაც უცნაურია, თუმცა...

— საშინლად გულდაწყვეტილი ვიყავი ჟაკეს საქციელით და ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატისადმი ყოველგვარი ინტერესი დამეკარგა. მატჩების უმეტესობა არც მინახავს. რაც შეეხება ფინალს, ამ დროს მატარებელში ვიმყოფებოდი. სამწუხაროდ, თან რადიო არ მქონდა, რომ მისი მსვლელობისთვის მესმინა, მაგრამ გამცილებელმა საბოლოო ანგარიში მაცნობა. მეც ძლიერ გამიხარდა, ის მომენტი ცხოვრებაში არასდროს დამავიწყდება — გულახდილად ყვება ნიკოლა.

დღესდღეობით კი ანელკა ფრანგთა ძირითად შემადგენლობაშია, თანაც არცთუ უკანასკნელ როლს ასრულებს. ეს რუსებთან შეხვედრამაც დაადასტურა. აი, რას ამბობს თავად ფეხბურთელი ამის შესახებ:

— ნაკრებიდან მოკვეთის შემდეგ, არდადეგებზე ვიმყოფებოდი და შანსს ველოდი. მანაც არ დაიგვიანა. ლემერმა გონიერება გამოიჩინა და გამომიძახა. რუსების კარში გატანილი გოლი ჟაკეს მინდა მივუძღვნა, რათა კარგად დაინახოს სამი თვის წინანდელი შეცდომა. საერთოდ კი განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — ჩვეულად ვითამაშე, ჩემი საქმე გავაკეთე და გოლიც გავიდა. ჩემი მთავარი ამოცანაც სწორედ ეს გახლავთ — კარგად თამაში და გოლების გატანა.

დღეს საფრანგეთის ეროვნული გუნდი, „სტად დე ფრანსზე“ თავის ჩია მეზობელს ანდორის ნაკრებს ხვდება და ნიკოლა ანელკას კიდევ ერთი მშვენიერი შესაძლებლობა აქვს, მეტოქის კარი დალაშქროს და საბოლოოდ დაიმკვიდროს ადგილი ძირითადში. ამ შეხვედრას ფეხბურთელი თურმე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, თუ რატომ, ამას მისი სიტყვებიდან გაიგებთ.

— „სტად დე ფრანსზე“, სტადიონზე, სადაც ფრანგებმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს, არასდროს მითამაშია, რაც ერთიორად მიღვივებს კარგად ბურთაობისა და გოლების გატანის სურვილს. ყველაზე დიდი სარბიელი კი, სადაც მე მომიწია ასპარეზობა, „უემბლია“. სწორედ იქ შევიტყვე პირველად, რას ნიშნავს გრანდიოზულ სტადიონზე, უდიდესი აუდიტორიის წინაშე ბურთის გორება. ეს მშვენიერი იყო!

**დავით ძოწზირიძე**

## მოსკოვში კი ანტიკოლოსკოვური კამპანია დაიწყო

რუსეთის ნაკრები, რომელიც 14-ში ისლანდიის გუნდთან ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩს ატარებს, ოთხ ფეხბურთელს მოისაკლისებს. ესენი არიან: მეკარე სერგეი ოვჩინნიკოვი (ბენფიკა), მცველი სერგეი ხლესტოვი (სპარტაკი), ნახევარმცველი სერგეი სემაკი (ცსკა) და თავდამსხმელი ოლეგ ტერიოხინი (დინამო მოსკოვი).

როგორც რუსეთის ნაკრების პრეს-ატაშემ, ვიქტორ გუსევმა ჟურნალისტებს აცნობა, სერგეი ოვჩინნიკოვმა საფრანგეთთან მატჩისას საკმაოდ სერიოზულად დაიზიანა ხერხემალი. გაცივებულია სერგეი სემაკი. მას ტემპერატურამ 39 გრადუსამდე აუწია. ვარჯიშისას საზარდულის ტკივილმა შეაწუხა ხლესტოვი, ხოლო ტერიოხინი ბიშოვეცს ოჯახური პირობების გამო გაეთავისუფლა.

გარდა ამისა, სხვადასხვა ხარისხის ტრავმები აწუხებთ იური ნიკიფოროვს (ეინდჰოვენი), ვალერი კარპინს (სელტა) და იგორ ტიტოვს (სპარტაკი). მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვებთან ერთად გაემგზავრნენ ისლანდიის დედაქალაქში, მათი მოედანზე გასვლა მაინც სათუოა, თუმცა არაა გამორიცხული.

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ანატოლი ბიშოვეცის განცხადებით მსგავს რთულ სიტუაციაში არ არის გამორიცხული, რომ პირველ ნაკრებში ახალგაზრდული გუნდის წევრებმაც ითამაშონ და ეს იქ, რეიკიავიკში გადაწყდება.

— მიუხედავად იმისა, რომ ეხლა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის მხოლოდ მიზერული შანსიღა დაგვრჩა, ნაკრები მაინც ეცდება, ყველა დარჩენილი მატჩი ღირსეულად ჩაატაროს და მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისათვის ბრძოლისუნარიანი, შეკრული კოლექტივი შექმნას, — აღნიშნა ანატოლი ბიშოვეცმა.

და კიდევ ერთი. როგორც ჩანს, რუსეთში უკვე ყელში ამოუვიდათ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის, ვიაჩესლავ კოლოსკოვის ჰეგემონია. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ შესარჩევი ციკლის დაწყებამდე კოლოსკოვმა თავად განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ნაკრები ქვეჯგუფში პირველ ორ მატჩს წააგებდა, ის გადადგებოდა. მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩა და ბატონი კოლოსკოვი სულაც არ აპირებს წასვლას. პირიქით, მისი თქმით რუსულ ფეხბურთს ვერავინ უხელმძღვანელებს მისებრ უნარიანად და ეფექტურად, ხოლო თანამდებობის დატოვება ყოველთვის მოესწრება. სხვათაშორის, რუსეთის ნაკრების პირველ ორ მარცხს გარკვეულწილად კოლოსკოვსაც აბრალებენ, რადგან ნაკრების შეხვედრათა გრაფიკი სწორედ მისი ხელმძღვანელობით შედგა და რუსეთის ეროვნულ გუნდს ფსიქოლოგიურად ძალზედ მნიშვნელოვან პირველ ორ მატჩში ძლიერი მეტოქეები შეხვდა— უკრაინისა და საფრანგეთი. სავარაუდოა, რომ ისლანდიასთან თამაშის შემდეგ ეს საკითხი უფრო ნათელი გახდება.

**იური ციბანიოვი მოსკოვიდან**

# პატარები

ესპანეთსა და საფრანგეთს შორის მომწყვდეული ანდორა ფიფაში 1994 წელს გაერთიანდა. ეს ის ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც „სტად დე ფრანსის“ ტევადობაზე ნაკლებია — 66 ათასი. ჰოდა, ანდორელები დღეს მსოფლიოს ჩემპიონებს უნდა დაუპირისპირდნენ. პლანეტის უძლიერეს გუნდს ისინი ადრეც შეხვედრიან — შარშან, ივნისში, ბრაზილიელებთან დამარცხდნენ 0:3, ასე რომ, გრანდებთან თამაშის გამოცდილება გააჩნიათ და მათ მაინცდამაინც აღარ უფრთხიან. ამ პატარა ქვეყნის პატარა საფეხბურთო ისტორიაში ერთადერთი მიღწევა ესტონელების დამარცხებაა.

იმის შესახებ, თუ მოთამაშეთა როგორი არჩევანი აქვს ფრანგებთან შეხვედრაში ანდორის ნაკრების ბრაზილიელ თავკაც მანოელ მილუირს, მისი სიტყვებიც კარგად მოწმობს: „ქვეყანაში რამდენიმე ასეული მოქმედი ფეხბურთელია. მათგან მხოლოდ 32-ია სპორტის ამ სახეობაში ასე თუ ისე გათვითცნობიერებული, საიდანაც მხოლოდ 18-ის გამორჩევა თუ შეიძლება.“ ანდორის ეროვნული გუნდის წევრებიდან პროფესიონალი ექვსია, დანარჩენები კი სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან. მაგალითად, ნაკრების უძლიერესი ფორვარდი ემილიანო გონსალეს-არკესი ფოსტალიონია, ხოლო კაპიტანი ხესუს ლუსედო-ერედიო თამბაქოთი ვაჭრობს. როგორია ამ გუნდის შანსები საფრანგეთის ნარკებთან შეხვედრაში? მოვუსმინოთ ანდორელ მცველ რიკარდ იმბერნონს: „ჩვენ საკმაოდ ძლიერი დაცვა გვყავს, ფრანგებს ნუ ეგონებათ, რომ შეტევაში გალაღების საშუალებას მივცემთ. დარწმუნებული ვარ, ისინი მთელი გუნდით შემოგვიტევენ და ვინ იცის, შეიძლება გოლიც კი გაუშვან.“

ამაზეა ნათქვამი დღეს ფეხბურთის თამაში ყველამ ისწავლაო.

# დღეს რიბეკის ბედი წყდება

დღეს კიშინიოვში გერმანიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ერიხ რიბეკის ბედი წყდება. მას თურქეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ გერმანული პრესის კრიტიკა დაატყდა თავს. პოპულარული ყოველდღიური გაზეთი „ბილდი“ წერს: „ნაკრებმა მართალია ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა, მაგრამ მოგებისა და გატანილი ბურთების გრაფაში ნული უწერია, ჯგუფშიც ბოლო ადგილზეა, ეს კი სამარცხვინოა. თუ ასე გაგრძელდა, რიბეკი გერმანიას დაღუპავს.“ დღევანდელ შეხვედრაში მოლდოვის ნაკრების წინააღმდეგ ყველა გერმანელთა გამარჯვებას ითხოვს. „ბილდში“ გამოქვეყნებული წერილის სათაურიც ამას მოწმობს — „გამარჯვება და არაფერი გამარჯვების გარდა“.


დღეს თუ გერმანიამ ვერ მოიგო ერიხ რიბეკი ამ სკამიდან სამუდამოდ ადგება

რიბეკთან ერთად კრიტიკის ქარცეცხლში ნაკრების მეკარე ოლივერ კანიც მოჰყვა. მიზეზი ნათელია, გოლის გაშვება ხომ მისი უდიდესი „დამსახურებაა“. „ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ცუდი მომენტი იყო, როცა ვიხსენებ, საშინელ ხასიათზე ვდგები. ასეთ განცდას არავის ვუსურვებდი“ — კანი გუნებაწამხდარი ჩანდა.

თუმცა ამ მარცხში მარტო კანის დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან მთლიანად გუნდმა ითამაშა საშინლად, ეს განსაკუთრებით ნახევარმცველებზე ითქმის, რომლებიც თავდამსხმელთა პასებით მომარაგებას ხშირად ვერ ახერხებდნენ.

„უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. თამაშის წინ ბიჭებს აგრესიული თამაში მოვთხოვე, მაგრამ მოედანზე უფრო პასიურად გამოიყურებოდნენ. მოლდოვასთან იგივე არ უნდა გამეორდეს. გარდა ამისა, მეტად უნდა ვიბრძოლოთ და სწრაფი კომბინაციები გავათამაშოთ, ასეთია თანამედროვე ფეხბურთი და ჩვენ მას არ უნდა ჩამოვრჩეთ“ — ასე შეაფასა გუნდის თამაში რიბეკმა.

აზრი გამოთქვა ნაკრების წამყვანმა მცველმა მარკუს ბაბელმაც: „თურქეთთან მარცხის გამო ცხვირი არ უნდა ჩამოვუშვათ. მოლდოვასთან მხოლოდ მოგებაზე უნდა ვიფიქროთ, რათა ცხრილში ავიწიოთ. ეს მეტ სტიმულს მოგვცემს და ფსიქოლოგიურადაც წაგვადგება.“

ფრანც ბეკენბაუერმა და კარლ-ჰაინც რუმინიგემ, როგორც ბევრმა სხვამ, რიბეკს დასდეს ბრალი. „ოლივერ ბირჰოფისა და ულფ კირსტენის ერთად თამაში მცდარი მგონია. ისინი ზუსტად ერთი ტიპის თავდამსხმელები არიან — ძლიერნი საჰაერო დუელებში, ტექნიკურად კი ცოტა მოიკოჭლებენ. ამიტომ უკეთესი იქნებოდა, რიბეკს რომელიმესთვის ოლივერ ნოივილი შეეწყვილებინა, რადგან იგი ძალიან სწრაფია, კარგი დრიბლინგი აქვს და ბევრს მოძრაობს. ამით მცველთა ყურადღება გადააქვს და პარტნიორს მეტ თავისუფლებას აძლევს“ — ასეთია „კაიზერ ფრანცის“ აზრი, რომელსაც რუმენიგეც სავსებით ეთანხმება.

ამასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვა ულფ კირსტენმაც თქვა: „იმ მომენტებიდან, რაც ჩვენ შევქმენით, ერთი რომ გაგვეტანა, ხმას არავინ ამოიღებდა, ამის თაობაზე საუბარიც უმალ შეწყდებოდა. მე და ოლის ცოტა დრო გვჭირდება, რათა საბოლოოდ შევეწყოთ ერთმანეთს, ერთად ხომ სულ რამდენიმე მატჩი გვაქვს ნათამაშევი.“

არ ვიცით, გაითვალისწინებს თუ არა რიბეკი ბეკენბაუერისა და რუმენიგეს აზრს, მაგრამ ორ ცვლილებას რომ მოახდენს, უკვე ცნობილია. კერძოდ, თურქეთის ნაკრებთან მატჩისგან განსხვავებით, რიბეკი იტალიის „ფიორენტინას“ ნახევარმცველ იორგ ჰაინრიხს მიუნხენის „ბაიერნის“ 28 წლის ნახევარმცველით მიხაელ ტარნატით შეცვლის, ხოლო „ბაიერნისავე“ იენს იერემისს დორტმუნდელი კრისტიან ნერლინგერით, რომელიც „ბორუსიაში“ სეზონის წინ სწორედ მიუნხენური კლუბიდან გადავიდა. ნერლინგერისთვის ეს მეორე სანაკრებო შეხვედრა იქნება. პირველად ნაკრების მაისური 21 წლის ნახევარმცველმა 5 სექტემბერს მალტაზე რუმინეთის წინააღმდეგ მოირგო.

მიუხედავად ბურსაში სუსტი თამაშისა, ძირითად შემადგენლობაში კვლავ იქნებიან ლარს რიკენი და შტეფან ბაინლიხი. ეს უკანასკნელი რიბეკს ეფენბერგის შემცვლელად ჰყავდა შეგულებული, მაგრამ თურქეთთან მან იმედები აშკარად ვერ გაამართლა. დაცვაში ისევ ვიხილავთ რემერს, რომლის თამაშმაც ბევრი დატოვა უკმაყოფილო.

**ვანო ოქროპირიძე**

ეროვნული ...



# ცხოვრება პოლ გესქოინისა

### ტრაგედია

იგი საავადმყოფოში წაიყვანეს.

ინგლისელთა სათაყვანებელი ფეხბურთელი გალოთდა. ალკოჰოლმა გაზას ცხოვრება აურია, ოჯახი დაუნგრია და სავსებით შესაძლებელი გახლდათ ნიჭიერი, მაგრამ თავისსავე უნიათობის გამო დალუპული მოთამაშე თვითმკვლელობამდე მიეყვანა, მაგრამ გაზა ერთ უბედურებას გადაურჩა, აი, მეორეს კი — ვერა.

ბოლო დროს გესქოინის ცხოვრება სასურველად ვერ აეწყო. ლოთობდა, განუზომლად ეტანებოდა ლუდს და ვერც კი ხვდებოდა, რომ უფსკრულისკენ მიექანებოდა, იქითკენ საიდანაც უკან დასაბრუნებელ გზას იშვიათად პოულობენ. გაზამ თავი დაკარგა, მას ცხოვრებისადმი ინტერესი გაუქრა — შვებას სმაში და ლამისთევაში ჰპოვებდა. ასე ცხოვრობდა გესქოინი მინიმუმ ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

ორიოდ კვირის წინ, ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ, გაზა შინ წასულა და გემრიელად გამოუძინია. საღამოჟამს კი საყვარელ პაბში მისულა და ლუდით გალეშილა. პირველად სასწრაფო დახმარება სწორედ მაშინ გამოიძახეს.

ჰიპოკრატესთან წილნაყარმა ხალხმა ფეხბურთელი სიკვდილს გამოსტაცა ხელიდან — გაზას უცაბედი სტრესი მოსვლია და გული რამდენიმე წამით გასჩერებია. ახლა კი, სანამ იგივე განმეორდება, არჩიეს, ჰოსპიტალში მოეთავსებინათ.

მეორე დღეა, გესქოინს თავს ექიმები დასტრიალებენ. თავზეხელაღებული ფეხბურთელიც შეცვლილია, არაფრის თავი არ აქვს. წევს ხმაამოუღებლად.

მან ჯერ კიდევ არ იცის თავი სად ამოყო.

### სად?

— ოჰ! ეს საშინელებაა! — თქვა პოლ მერსონმა და ცრემლი ველარ შეიკავა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას გამოსწორებული ნარკომანი და ლოთი ცრემლად დაიღვარა.

რამ გამოიწვია მერსონის აღელვება? ექსარსენალელს ის გზა გაახსენდა, რომელიც მან სარეაბილიტაციო პერიოდისას გაიარა და რომელსაც ახლა პოლ გესქოინი, უბრალოდ, გაზა შეუდგა.

მერსონი მაშინ კაცს არ ჰგავდა. მისი ფასი პენსიც არ იყო. ის არაადამიანი გახლდათ, რომელიც თვითკმაყოფილებების სანაცვლოდ ყველაფერს გაიღებდა. მაშინ პოლს (გესქოინის სეხნიაა!) არავინ უნდოდა, მხოლოდ — ნარკოტიკები, ლუდი, ლუდი, ნარკოტიკები...

ცხოვრება თავისთვის მიდიოდა და ხალხის მიერ ცაში აყვანილი ფეხბურთელი ნელ-ნელა ქვემოთ ეშვებოდა. ვერც კი მოასწრო დაბლა დახედვა, რომ ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. მერსონი ხმელეთსაც გასცილებოდა და იქ, სადაც ქვესკნელში ჩაკარგულიყო.

„მაშინ ცხოვრება ლამაზად მეჩვენებოდა და თურმე ვკვდებოდი. სხეულში სული მიქრებოდა და ეშმა მეპატრონებოდა. ეს საშინელება იყო, თუმც სანამ ამას მივხვდებოდი, თავი ანგელოზი მეგონა“ — იხსენებდა მერსონი იმდროინდელ გრძნობებს და რცხვენოდა. იგი სარკეშიც ვერ იხედებოდა, რადგან იცოდა, რომ იმ კაცის თვალებს დაინახავდა, რომელიც მეუღლეს და ბავშვებს უმოწყალოდ სცემდა.

ოჯახი ოჯახად აღარ ვარგოდა. მერსონის მეუღლემ ბევრი ითმინა, თუ ცოტა, მოჰკიდა ბავშვებს ხელი და წავიდა. ქმარი ბედის ანაბარა არ მიუტოვებია — საავადმყოფოში დააწვინა.

„მკურნალობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰოსპიტალში რამდენიმე კვირა დავყავი, რომლის განმავლობაშიც თავის მოკვლის სურვილი ბარე ათჯერ გამიჩნდა. ჩემი თავი მეზიზღებოდა. და იცით რატომ? ადრინდელი საქციელის გამო. იმ ხანებში იმდენად ვიყავი ნარკოტიკით და სასმელით გაბრუებული და დაავადებული, რომ თავი მე არ მეკუთვნოდა. ჩემს საყვარელ მეუღლეს ვცემდი, ვურტყამდი, ვიგინებოდი, ერთთავად ვჩხუბობდი და ვჩხუბობდი. მადლობა ღმერთს, გამოვსწორდი“ — მერსონის კიდევ ერთი გულახდილი აღიარება.

მერსონისთვის ტრაგიკულ წლებში, ინგლისში მისი ცხოვრება საკმაოდ გახმაურებული გახლდათ. სენსაციაზე მონადირე გაზეთები და ჟურნალისტები ყოველდღე სხვადასხვა ამბებს წერდნენ. ხალხსაც ეცოდებოდა მერსონი, ზოგს კი გალოთებული კერპის ბედ-იღბალი სულაც არ აინტერესებდა.

იმ დრომ ჩაიარა. მას შემდეგ მერსონი გამოსწორდა, ოჯახს დაუბრუნდა, ფეხბურთსაც. მეტიც, ქვეყნის ნაკრებშიც მიიწვიეს, თუმცა უდიდესმა შეცდომამ მას მოუშუშებელი კვალი დააჩნია.

დღესდღეობით პოლ გესქოინიც დაახლოებით ამგვარ დღეშია.

ზემოთ აცრემლებული მერსონი ვახსენეთ. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, გაზაზე რას ფიქრობო და რესპონდენტისგან პასუხად ცრემლები მიიღო.

ეტყობა, გაზას თავს მართლაც ვერაა კარგი ამბავი.

### იქ, მიდლსბროში

შარშან გესქოინი მშობლიურ ფეხბურთში დაბრუნდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ნიჭიერ მოთამაშეზე მონადირე იტალიურმა კლუბებმა რომ გადაიბირეს.. ქეიფის და დროსტარების მოყვარულმა გაზამ აპენინებზე დიდხანს ვერ გაძლო — იტალიაში კუდის მოქიცინე ძაღლად ვგრძნობდი თავსო, უთქვამს ერთხელ მას. სერია A-ს კლუბებში სმა მიუღებელია, მითუმეტეს რამდენიმე კათხა ლუდის დალევა. გესქოინს თავისუფლება სწყუროდა და ისიც იტალიიდან მალე აიბარგა — „გლაზგო რეინჯერსში“, სქოთთა მხარეში გასწია.

შოტლანდიაში გატარებული წლები ერთ რამედ ულირდა — „გლაზგო რეინჯერსი“ ქვეყნის პირველობაში უცილობელი ლიდერი გახლდათ, თასიც ხშირად მას რჩებოდა. ამდენ წარმატებას აღნიშვნა ხომ სჭირდებოდა? სხვა რა გზა იყო. გლაზგოელებს ქეიფისთვის და გართობისთვის დრო საკმაოზე მეტი ქონდათ, თან ცუდადაც არ უხდიდნენ. ევროტურნირებზე გუნდს პრეტენზია არ ჰქონდა — ითამაშებდნენ ერთ-ორ მატჩს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

ეგებ გესქოინს კარიერის ბოლომდე გაეგრძელებინა გლაზგოური დროსტარება, მაგრამ სიზმარი და უდიდესი ფეხბურთელობა პოლმა კვლავ თავისსავე მოურჯულებლობის გამო დაასრულა — ბოლო ხანებში კლუბის ხელმძღვანელებს აუხირდა, ერთხელაც მსაჯი შეურაცხყო. მერე ჟურნალისტებთან გუდას პირი მოხსნა და განხეთქილებაც მოხდა.

პოლ გესქოინი, ონავარი ინგლისელი ბიჭი, „მიდლსბროში“ გადაბარგდა.

სიტუაცია არც იქ შეცვლილა — ბრაიან რობსონი, გუნდის მწვრთნელი მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა იმას, თუ ვინ როგორ ცხოვრებას ეწეოდა. არადა, მწვრთნელმა ამას დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. თავისუფლებანაგრძობი მოთამაშეებიც (ცხადია ყველა არა) ყოველი ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე კათხა ლუდს გეახლებოდნენ, ღამეს ხომ მუდამ რესტორნებსა და ბარებში ატარებდნენ. გამარჯვების შემთხვევაში კი საერთოდ ჯიგრიანად გამოთვრებოდნენ.

„მიდლსბრო“ მიტომ არ ვარგოდა გუნდად. კლუბში საფეხბურთოს გარდა ყველანაირი სიტუაცია იყო შექმნილი, ფეხბურთელებიც და ცხადია, გესქოინიც თავის გემოზე ცხოვრობდნენ. როგორც თევზი წყალში, ისე იყო გაზა „მიდლსბროში“.

„რომ შევატყე ძლივს მოშორებული ჭირის ხელახლა გადატანა მემუქრებოდა, იქაურობას გავშორდი. ეტყობა, გაზამ ეს ვერ გაათვითცნობიერა, თუმცა საიდან უნდა ეგუმანა საფრთხე? მას ხომ სწორედ ახლა მოუწევს ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა“ — ეს სიტყვებიც პოლ მერსონს ეკუთვნის.

გარდა იმისა, რომ „მიდლსბროს“ ფეხბურთელები სხვა მოთამაშეთაგან განსხვავებით ალკოჰოლისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდნენ, იყო სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც ხელი შეუწყეს გესქოინის დაღუპვას. დიახ, დიახ დაღუპვას, რადგან სავარაუდოდ, გამორიცხულია გაზა მოჭკვიანდეს და ფეხბურთს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი. ის, რაც მან ტრაგედიამდე ვერ შეძლო, ძალიან საეჭვოა, სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ მოახერხოს.



1996 წლის ნოემბერი. თბილისი. პოლ გესქოინს მაშინ პირადი მცველი ედგა გვერდით, ახლა კი გარშემო ექიმები ახვევია

[illegible] ფოტო

მაინც რამ განაპირობა ის, რომ გესქოინმა თავი დაკარგა?

### შერილი, ნაკრები და მეგობარი

ეს სამი რამ გესქოინმა დროის მცირე მონაკვეთში დაკარგა, ამან კი ფეხბურთელზე დამთრგუნველად იმოქმედა. ზაფხულში პოლის მდგომარეობა კრიტიკული გახლდათ, ფსიქოლოგიური ზეწოლა ძალიან დიდი იყო. თითქოს ყველა პრობლემა ერთად დაატყდა თავს. გაზა ბედმა გაწირა, თუმც ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. ალბათ ის, გესქოინი რომ ასეთ დღეში ჩავარდა, კანონზომიერება გახლდათ.

გაზას ოჯახი. თუ ინგლისში ჟურნალისტებს, ბულვარულ პრესას რამე აინტერესებდა და აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა ალბათ ესეც. მეგაზეთეებისთვის სენსაციები მეტად ნოყიერი ლუკმაა, პოლის და შერილის ურთიერთობისას კი, რომელსაც შეხმატკბილებულს ნამდვილად ვერ დაარქმევდი, სკანდალები და განხეთქილებები მრავლად იყო.

...1996 წლის ნოემბერში ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნდა ეთამაშა თბილისში, საქართველოსთან. შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე, როცა გლენ ჰოდლს გუნდის შემადგენლობა უნდა დაესახელებინა, გაზამ მეუღლე გვარიანად მიბეგვა. ეს მათ ურთიერთობაში პირველი შემთხვევა არ გახლდათ — მეუღლეებს მანამდეც უჩხუბიათ, მაგრამ ქმრისგან ნაგვემი ქალი ამჯერად ისე საშინლად გამოიყურებოდა, აღშფოთებულმა ინგლისელებმა გაზას ნაკრებიდან გაგდება მოითხოვეს. უამრავი დავიდარაბის შემდეგ ჰოდლმა გესქოინი მაინც იახლა თბილისში, მაგრამ თან მცველიც დაუქირავა, ემანდ ჟურნალისტებთან პრობლემა არ შეექმნასო.

თბილისში გაზა თვინიერად იქცეოდა, სამშობლოში დაბრუნებულსაც არა უშავდა, მეუღლეს პატიება სთხოვა და ერთგულება შეჰფიცა, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა — რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ წაიჩხუბნენ, მერე ისევ შერიგდნენ. წლეულს კი, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შერილი გაზას დაშორდა. სამუდამოდ, თუ არა, ეს ძნელი სათქმელია, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ქალი მშობლებთან გადაბარგდა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდებოდა. ჰოდლს რჩეული ინგლისელი ფეხბურთელები თავისთან შეეკრიბა. სასაფრანგეთოდ ამზადებდა. მათ შორის ერთი შეხედვით გამოსწორებული გესქოინიც ერია, თუმცა არავინ უწყოდა, ცოტა არ იყოს შესუქებული მოთამაშის სხეულში ვინ იმალებოდა.

ნაწყვეტი წიგნიდან „ტედი შერინგემი. ავტობიოგრაფია“: „იმ დღეს ყველანი ერთად ვიყავით. რამდენიმე კათხა ლუდი დავლიეთ და სასტუმროს სასადილოში შევიკრიბეთ. ჰოდლს მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა სია უნდა ამოეკითხა. ნაკრებში მოხვედრა ყველას სურდა, მაგრამ ბოლო მომენტამდე არავინ იცოდა, ვის ერგებოდა ეს პატივი. გაზა საკმაოზე მეტად შემთვრალიყო, ის ძალიან ნერვიულობდა. რამდენიმე წუთში ყველაფერს ნათელი მოეფინა — ბევრმა გაიხარა, ზოგსაც გული დაწყდა.

გაზა ჰოდლის სიაში ვერ მოხვდა. ძალიან მინდოდა მისი ნახვა და ბიჭებს რომ ვკითხე, სად არის-მეთქი, ნომერშიო მიპასუხეს. ის-ის იყო უნდა მივსულიყავი, საშინელი გინება და შუშების მტვრევის ხმა რომ შემომესმა. უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. აბობოქრებულ გესქოინთან შესვლა ვერავის გადაეწყვიტა. ბოლოს პოლ ინსმა გაბედა, თუმც შესული არ იყო, რომ უკან გამობრუნდა — გაზას გაგიჟებას არაფერი უკლდა — იგი თავს ველარ აკონტროლებდა. ინსს შეაგინა, მერე არც ჩვენ დაგვინდო, ყველას გვაგინებდა. ძალიან გვწყინდა, მაგრამ რა უნდა გვექნა?

იმ ღამით გაზა ინგლისს გაფრინდა“.

შერინგემის ნაამბობიდან ნათლად ჩანს, თუ რამხელა ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა ფეხბურთელს ნაკრების მიღმა დარჩენამ. ის დღე იყო და ის დღე — გაზამ სასმელს ერთგულება შეჰფიცა. იფიქრა, დარდს ლუდით გავიქარვებო, მაგრამ ასე რომ არ იქნებოდა, ცხადზე ცხადი გახლდათ. ბევრს უცდია დარდის და ნაღველის სასმელით გაქარვება, მაგრამ ამით ვერაფერს გამხდარა, მხოლოდ ალკოჰოლიკად ქცეულა.

ოჯახი დაენგრა, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ოცნება თვალსა და ხელს შუა გაუქრა. თითქოს რა უნდა ყოფილიყო გესქოინისთვის ამაზე თავზარდამცემი? ალბათ აღარაფერი. მაგრამ ის, რაც პოლმა სულ ბოლოს გადაიტანა, მისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა — ერთ ჩვეულებრივ საღამოს, ბავშვობის მეგობარ ჩედ რივერსთან პაბში ლუდს სვამდა, ამხანაგი ცუდად რომ გაუხდა. რამდენიმე წუთში გაზას ხელებზე მმაკაცი უსულო სხეული ესვენა — რივერსი სასმელის მოყვარული გახლდათ, მაგრამ ალკოჰოლს მისთვის კარგი არაფერი მოუტანია.

მეგობრის სიკვდილმა გაზა გაანადგურა. გუნდში კი დაბრუნდა, მაგრამ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა.

პოლ გესქოინი თავსდატეხილ პრობლემებთან საბრძოლველად მზად არ აღმოჩნდა. სასმელი — აი, ის, რაშიც გაზა შვების მოპოვებას შეეცადა. მან დარდი ვერა და ვერ გაიქარვა, სამაგიეროდ, საავადმყოფოში ამოყო თავი.

### და განა მარტო გაზა?

სწორედ იმ დღეს, როცა პოლ გესქოინი საავადმყოფოში მოათავსეს, BBC-მ ინგლისელი ქომაგებისთვის არანაკლებ უსიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა — საავადმყოფოში გადაუყვანიათ ალკოჰოლიზმით დაავადებული მალკოლმ მაკდონალდი, კაცი, რომელმაც ხუთივე გოლი გაიტანა, როცა 1975 წელს, უემბლიზე ინგლისმა თურქეთი გაანადგურა — 5:0.

ძნელია გულშემატკივართათვის, საყვარელ მოთამაშეებზე ამგვარი სამწუხარო ამბები რომ ესმით, მაგრამ ამით ქვეყანა არასდროს დაქცეულა.

გესქოინის გალოთება, რაოდენ ტრაგიკულადაც არ უნდა გვეჩვენოს იგი, არაფერია იმასთან შედარებით, რაც ფეხბურთის ბრაზილიელ ჯადოქარს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ერთადერთ და განუმეორებელ გარინჩას დაატყდა თავს — მანე სწორედ სასმელის სიყვარულმა შეიწირა.

**ლაშა გოდუაძე**

# რომიდან 12
# თვის შემდეგ

თორმეტი თვის წინ რომის ოლიმპ...
ური სტადიონის ცენტრში ამაყად მდ...
გარი გლენ ჰოდლი ტრიბუნაზე მოხმ...
ურე ფანებს ხელს უქნევდა — ის გმ...
რი იყო.

მაშინ მისმა გუნდმა იტალიის ნაკ...
რებთან 0:0-ით მსოფლიოს ჩემპიონ...
ტის ფინალურ ეტაპზე დაიჯავშნა ად...
გილი, „სკუადრა ატურას“ კი პლეი-ოფი...
ლატარეა ერგო.

დაახლოებით 10 ათასი ქომაგი, ორ...
საათის განმავლობაში მღეროდა ჰო...
დლის სადიდებელს. ინგლისელთა ახ...
ლი მწვრთნელი თანამდებობაზე ყოფნ...
წარმატებულ 14 თვეს ზეიმობდა.

მშვიდი, საკუთარ ძალებში დარწმ...
ნებული მწვრთნელის თავზე საავდრ...
ღრუბელი არსაიდან ჩანდა.

მაგრამ გავიდა წელიწადი და ინ...
ლისის ნაკრები ლუქსემბურგში ევრ...
2000-ის ორი შესარჩევი მატჩის მერ...
ერთი ქულით ჩადის. ჰოდლი იმედს ვე...
ამართლებს.

დღეს მეტოქე უმაღლესი დონის გუ...
ნდი, იტალია აღარ არის. ბოლო ბუ...
გარეთი იყო, გუნდი რომელიც 47 წ...
თში პოლონეთთან შინ 0:3 აგებდა, მსო...
ფლიოს ჩემპიონატზე კი ესპანეთთან ...
დამარცხდა.

„უემბლის“ მიწაზე ნათამაშევმა უნ...
პერწკლო, მშრალმა თამაშმა, ბოლო ხუ...
შეხვედრაში მიღწეულმა ერთადერთმ...
გამარჯვებამ ფანებს ათქმევინა ნაგვ...
დატენილა ყველაფერიო.

ინგლისელთა პირველი შესარჩევი შ...
ხვედრა შვედეთში 1:2 მარცხით დას...
რულდა, შაბათის თამაშმა კი საბოლო...
ოდ ცხადყო, რომ გუნდს საკუთარი თა...
ვისა აღარ სწამს და იდეები დაეშრ...
ტა.

დღეს, სუსტი ლუქსემბურგის გან...
დგურებაც ვერ უშველის ჰოდლს, ინგ...
ლისურ გაზეთთა უმეტესობამ მისი თა...
ნამდებობიდან გადადგომა მოითხოვა.

შაბათის ულიმღამობამ დიდ ეჭვქვე...
დააყენა ჰოდლის თამაშისწინა მზად...
ბის მეთოდების გონივრულობა — ვ...
ტამინის ნემსები და მკითხავი ქალი ე...
ლინ დრიუერი.

ბოლო 12 თვე ჰოდლისთვის წინააღ...
მდეგობებით აღსავსე გამოდგა. მან, ფ...
ნების მოთხოვნის მიუხედავად ძირ...
თად შემადგენლობაში არ ათამაშა ყმ...
წვილი — სენსაცია მაიკლ ოუენი, მსო...
ფლიოს ჩემპიონატის დღეებში კი აღ...
არა, რომ ოუენი სულაც არაა ამოწუ...
რული.

და ოუენმა ორჯერ შემცვლელა...
ერთხელ, კოლუმბიასთან კი სასტარტ...
შემადგენლობაში ითამაშა. შემდეგ მ...
არგენტინის კარში, როგორც ამბობ...
ჩემპიონატის ულამაზესი გოლი გაიტ...
ნა.

ჰოდლმა ერთხელაც აღიარა რო...
ცდებოდა.

10 მოთამაშით არგენტინელებთან ვ...
ჟკაცური თამაში და საქმის პენალტ...
ბამდე მიყვანა ერმა დააფასა. მართ...
ლია ზიზღისა და კრიტიკის ობიექტ...
იმ მატჩში გაძევებული დევიდ ბექჰ...
იქცა, მაგრამ როდესაც გუნდი ჰითრო...
უს აეროპორტში „კონკორდიდან“ გად...
მოვიდა, ჰოდლმა ივაჟკაცა და ვნებათა...
ღელვა ჩააცხრო.

მაგრამ სულ მალე მწვრთნელს ჭ...
რიშხალი დაატყდა თავს, რადგან გ...
მოსცა თავისი დღიური, სადაც დაწ...
რილებით იყო აღწერილი როგორ გ...
გიჟდა პოლ გესქოინი, როდესაც შე...
ტყო, რომ ჰოდლს მსოფლიოს ჩემპიო...
ნატზე არ მიჰყავს.

მწვრთნელი გუნდში ატმოსფეროს დ...
მანგრევლად გამოაცხადეს.

სულ მალე გამოვიდა ტონი ადამს...
წიგნიც, რომელშიც ფეხბურთელმა ი...
სასტიკად გააკრიტიკა.

მაგრამ მთავარი ბრალდება მაინც ს...
ვაა: იმ, რომაული მატჩის შემდეგ ჰო...
დლის გუნდმა 13 შეხვედრიდან მხ...
ლოდ ხუთში გაიმარჯვა.

გულშემატკივრები თვლიან, რომ ჰო...
დლს მდგომარეობის გამოსასწორებლ...
არაფერი ულონია და თუ ინგლისის ნ...
კრები ლუქსემბურგშიც ვერ აჩვენე...
იმას, რასაც ითხოვენ, ალბათ მწვრთ...
ნელიც იძულებული გახდება დაემ...
ნზმოს.

**ოსიან შაინი, როიტ...**



იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი მარიო პესკანტე

# გამოძიება იტალიურად ამბავი სრულდება

იტალიური დოპინგ-სკანდალი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. წლეულს, ივლისში, „რომას" ჩეხი მწვრთნელის ზდენეკ ზემანის წამოწყებულ ვაი-უშველებელს, ეტყობა, მალე ბოლო მოეღება. მოვლენები შემდეგნაირად, შეიძლება ითქვას სუფთა იტალიურად ვითარდება — დაკავებული თანამდებობიდან გადადგა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე უგო ლონგო, ხოლო ორიოდ კვირის წინ ასევე თავისი პოსტიდან გადამდგარი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მარიო პესკანტე სამართალდამცავთა კლანჭებში მოექცა. ოლიმპიური კომიტეტისადმი (CONI) სასამართლოდან გაგზავნილ ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ ეჭვები პესკანტეს პიროვნების მიმართ ადრეც არსებობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი თანამდებობიდან გადადგა, ცხადი გახდა — ეს კაცი უმწიკვლო არ არის. იტალიური პრესის ცნობით, სასამართლო პროცესი 27 ოქტომბერს დაიწყება.

ყველაფერი ორი კვირის წინ მოხდა. პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ CONI-ს ლაბორატორიებში რაღაც შავბნელი საქმეები იჩარხებოდა. ამას მოჰყვა ერთ-ერთი ყველაზე დიდი, რომის ლაბორატორიის უფროს ემილიო გასბარონეს დაკავება და პესკანტეს გადადგომა. სამართალდამცავი ორგანოები, ბუნებრივია, გააქტიურდნენ და რამდენიმე ფართომასშტაბიანი რეიდი მოაწყვეს, ძირითადად ლაბორატორიებში, სადაც ადრეც და ზემანის მიერ ატეხილი სკანდალის შემდეგაც დოპინგ-ტესტები ტარდებოდა და მათი გამოკვლევა ხდებოდა. აღმოჩნდა რამდენიმე სერიოზული დარღვევა, მათ შორის ძველი, ჯერ კიდევ 1990 წელს ჩატარებული დოპინგ-ტესტების შედეგების მიჩქმალვა, რომელთაგან უმეტესობა დადებით რეზულტატს იძლეოდა და სხვა მრავალი უკანონო ქმედებანი.

მრავალი საბუთი და ოქმი, რომელთა გამომზეურებაც, ეტყობა, CONI-ს ხელმძღვანელობას (და სხვებსაც) არ აწყობდათ, იტალიის სახელმწიფო ტელერადიო კომპანია RAI-ს ცნობით, რეიდის მონაწილეებმა ლაბორატორიის საკონდიციონერო სისტემაში აღმოაჩინეს გადამალული.

იმავე დღეს, როდესაც პესკანტეს ხელებზე ბორკილი დაადეს, ანუ ორშაბათს, იტალიის ფეხბურთელთა გაერთიანების (AIC) თავმჯდომარემ სერჯო კამპანამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ საყოველთაო გაფიცვა აღარ შედგება. პროტესტის აღნიშნული ფორმის გამოყენება ამ ორგანიზაციის წევრებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც „ზემანის საქმე" სულ უფრო ღრმად შეიჭრა მათ პირად ცხოვრებაში და მოთმინების ფიალაც აევსოთ — ასე როგორ შეიძლება, ფეხბურთზე ველარ ვფიქრობთ, საქმე ნუ გაგვიჭირეთო.

კამპანამ აღნიშნული განცხადება სერია A-ს და სერია B-ს კლუბების კაპიტანთა შეხვედრის შემდეგ გააკეთა:

— ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ საყოველთაო გაფიცვას არ მივმართოთ. ხალხი თანდათან ხვდება, რომ ფეხბურთელები არანაირ კანონებს არ არღვევენ და მხოლოდ თავიანთ საქმეზე, ფეხბურთის თამაშზე არიან კონცენტრირებულნი. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დღემდე, დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებულ გამოძიებაში აშკარა გახდა — წესებს არა ფეხბურთელები, არამედ სპორტის ჩინოვნიკები არღვევდნენ. ჩვენ იმ დასკვნამდეც მივედით, რომ კვლავ უნდა ვითანამშრომლოთ სამედიცინო და სხვა სისტემების წარმომადგენლებთან, საერთო საქმის კეთილდღეობისთვის — აღნიშნა კამპანამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას და დაამატა — ჩვენი დიდი სურვილია, ამ საქმეს ნათელი მოეფინოს. ამიტომ ვიღაც-ვიღაცეებმა ძველი შეცდომები აღარ უნდა გაიმეორონ და ყველაფერი მოთამაშეებს არ უნდა დაბრალდეს, როგორც აქამდე ხდებოდა, როცა ლაბორატორიების ხელმძღვანელთა და მომსახურეთა მიერ დაშვებული შეცდომებისა თუ კანონის დარღვევისთვის პასუხს ფეხბურთელებს სთხოვდნენ.

მოკლედ, მსოფლიო ფეხბურთის ცხოვრების პულსი კვლავ იტალიაში იგრძნობა ყველაზე მეტად. სკანდალი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ბოლო არ უჩანდა, წესით მალე უნდა დასრულდეს. ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა — ვიღაც დაიჭირეს, ვიღაც გადადგა, ვიღაც საერთოდ გაიქცა — რაც ყოველთვის იმას ნიშნავს, რომ ამბავი სრულდება.

ნოდარ ძასრაძე

# დაგვიბრუნდი, დავიდ!

დავიდ ჟინოლა — აი, ვისი დაბრუნება სურს „პარი სენ ჟერმენში" ახალ, პორტუგალიელ მწვრთნელს არტურ ჟორჟეს. ჟინოლა დღეს ინგლისშია, კერძოდ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში" თამაშობს და ჩინებულ ფიორმაშია.

— ამ კვირაში კლუბის ხელმძღვანელებს მოვეთათბირები. ვიცი, ჟინოლა სიამოვნებით დაბრუნდებოდა თავის ყოფილ გუნდში, მაგრამ რაგინდ უცნაურად გეჩვენოთ, პირადად მას ჯერ არ დავლაპარაკებივარ — უთხრა ჟორჟემ პარიზელ ჟურნალისტებს.

ჟორჟე კარგად იცნობს ფრანგ გარემარბს. მან 1994 წელს გახადა „პარი სენ ჟერმენი" ქვეყნის ჩემპიონი (სხვათა შორის, მას მერე პარიზელებს ტიტული აღარ მოუპოვებიათ) და მაშინ დავიდი გუნდში ჰყავდა.

მერე ჟინოლამ ინგლისს მიაშურა. ორი წელიწადი „ნიუკასლ იუნაიტედში" გაატარა, გასულ სეზონში კი ლონდონში გადაბარგდა და „ტოტენჰემში" დაიწყო თამაში.

„ტოტენჰემი" პრემიერლიგიდან გავარდნას რომ გადაურჩა, მნიშვნელოვანწილად ჟინოლას დამსახურება გახლდათ, ახალ სეზონში კი მას მართალია, ჯერ გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობს.

მაშ რად ჰგონია ჟორჟეს, რომ ლონდონელები გარემარბს შეელევიან? რად და იმად, რომ „სპურზს" ახლახან ჯორჯ გრემი ჩაუდგა სათავეში, გრემი კი საოცრად პრაგმატული კაცია და ფრანგის გუნდიდან გაშვება, მისგან ლოგიკური საქციელი იქნება.

თუმცა, აქ საქმეში დიპლომატიური მომენტები ერევა. გრემი მართალია, თავისებური მსოფლმხედველობით გამოირჩევა, მაგრამ „ტოტენჰემის" გულშემატკივართა დიდი ნაწილის აზრით, ერთი დიდი, გამოუსწორებელი მინუსიც აქვს — მთელი ცხოვრება საძაგელ „არსენალთან" იყო დაკავშირებული. რაც შეეხება ჟინოლს, დღეს იგი „უაით ჰართ ლეინზე" ყველაზე პოპულარულია. ასე რომ, ვიღაც არსენალელი „სპურზის" ფანთა საყვარელ მოთამაშეს ერთი ხელის მოსმით ვერსად გააგდებს.

ჟორჟეც ვერ გარდაქმნის „პარი სენ ჟერმენს" მუშტის ერთი დაკვრით და ამიტომ ჯერჯერობით წინამორბედის, ალენ ჟირესის შეკრებილი ფეხბურთელებით აპირებს უკადრისი მე-12 ადგილიდან დაძვრას.

მალე პორტუგალიელს „ლე ავრიდან" ასისტენტი, დენის ტროში ჩამოუვა.

გუშინ „პარი სენ ჟერმენი" მთელი შემადგენლობით გაეშურა ქალაქგარეთ, იმ სოფელში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ბრაზილიის ნაკრები ცხოვრობდა.

— იქ, სოფლად ჩვენ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს და მეც გამოვნახავ დროს გუნდის ბოლო შეხვედრების ვიდეოჩანაწერთა სანახავად — თქვა ჟორჟემ.

პარასკევს „პარი სენ ჟერმენი" ლიონში თამაშობს.



ორნელა მუტი, დავიდ ჟინოლა და კატრინ დენევი

## ფეხბურთის რუკასთან



**პარაგვაისა** და მსოფლიო ფეხბურთის კოლორიტული ფიგურა, მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, როგორც ამბობენ, ლივერპულის გზას ადგას. 33 წლის ფეხბურთელმა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ეროვნულ გუნდს რომ კაპიტნობდა, ყოველდღიურად კი არგენტინის „ველეს სარსფილდში" თამაშობს, ტოკიოში განაცხადა, რომ პრემიერლიგის ცნობილი გუნდის წინადადებას დაყაბულდა. ჩილავერტს ისიც უთქვამს, ინგლისელები მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დამიკავშირდნენ და მათთან გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ ჩემმა არგენტინულმა კლუბმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო. მოკლედ, ბოლომდე მაინც არაა ნათელი, მიაშურებს თუ არა პენალტებისა და ჯარიმების დარტყმით სახელგანთქმული მეკარე ალბიონს. იაპონიაში კი ჩილავერტი საჩვენებელ შეხვედრაში მონაწილეობისთვის გახლდათ ჩასული და სამი გოლი გაუშვა. ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე 47020 გულშემატკივარი დაესწრო მსოფლიოსა და ამომავალი მზის ქვეყნის იმპროვიზებულ ნაკრებთა შეხვედრას, რომლის პირველ ტაიმშიც ბურთს არც ერთი კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, მეორეში კი სამჯერ შევარდა პლანეტის კარის მცველის, ჩილავერტის ბადეში. სამივე გოლი 21 წლის აცუში იანაგისავამ გაიტანა. საინტერესოა, რომ „კაშიმა ანთლერზის" ეს ფორვარდი საქმეში მხოლოდ შესვენების მერე ჩაერთო.

**ინგლისში** ტელეკომპანიები საფეხბურთო კლუბების ყიდვაზე რომ გადაირივნენ ამ ორიოდ დღის წინაც დადასტურდა, როდესაც მედიის ფირმებმა 256,7 მილიონი დოლარი შესთავაზეს „ნიუკასლ იუნაიტედს". გაზეთ „მეილის" ცნობით, მოლაპარაკებანი ჯერ საწყის სტადიაზეა. „ნიუკასლის" ყიდვის მსურველები ყოფილან CableWireless Communications და TeleWest Communications. ოთხი კვირის წინ ამბობდნენ იაპონური „სონიც" ნიუკასლელებს უტრიალებსო, მაგრამ ტოკიოდან ეს ცნობა უარჰყვეს.

**ესპანეთის** ნაკრების მოთამაშე ალფონსო მარჯვენა მუხლს მკურნალობს და ამიტომ „რეალ ბეტისის" შემადგენლობაში სულ მცირე, კიდევ ერთი თვის განმავლობაში ვერ ვიხილავთ. 5 სექტემბერს კვიპროსთან თამაშის დროს დაშავებულ მცველს იმედი ჰქონდა, რომ ამ დღეებში განაახლებდა ვარჯიშს, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ მისი მუხლი ჯერ სამკურნალოა.

**ბოსნია** ევროპის საფეხბურთო ოჯახს სრულყოფილად რომ დაუბრუნდეს, 1992-95 წლების ომის გამო ერთმანეთს გადაკიდებულმა იქაურმა სერბებმა, მუსლიმებმა და ხორვატებმა ერთიანი ლიგა უნდა შექმნან და ერთიანი ჩემპიონატი მოაწყონ — ასე ფიქრობს უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, რომელიც თვლის, რომ საამისოდ დროა საჭირო. ეს სიტყვები იუჰანსონმა ბოსნიისა და ჩეხების შესარჩევი შეხვედრის შემდეგ წარმოთქვა. ის შეხვედრა ბოსნიის ნაკრების სახელით ძირითადად სულ მუსლიმმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს და შინ 1:3 წააგეს. პირველ შეხვედრაში მათ ესტონეთთან ითამაშეს 0:0.

**გერმანული** გაზეთი „დე ველტი" აცხადებს, რომ ლევერკუზენის გუნდი „ბაიერი" საფონდო ბირჟაზე გასვლასა და აქციათა გაყიდვას აპირებს. ცნობის თანახმად, ამ ნაბიჯს ლევერკუზენელები 1999-2000 წლების სეზონისთვის გადადგამენ.

**აფრიკის** ჩემპიონთა ლიგა. მეოთხე ტური. A ჯგუფი: ეტოილ საჰელი (ტუნისი) — დინამოს (ზიმბაბვე) 1:0, ჰართს ოფ ოუკი (განა) — იგლ სემენტი (ნიგერია) 1:0. ლიდერობს 7-ქულიანი „დინამოსი", 6-6 აქვთ „ეტოილ საჰელსა" და „იგლ სემენტს", „ჰართს ოფ ოუკი" კი ოთხქულიანია. B ჯგუფი: მენინ რეინჯერსი (სამხრეთ აფრიკა) — აბიჯანი (კოტ დიუვარი) 1:0, იანგ აფრიკანზი (ტანზანია) — რაჯა კასაბლანკა (მაროკო) 3:3. 9 ქულით „აბიჯანი" ლიდერობს, 7 ქულა აქვს „მენინგ რეინჯერსს", 4 „რაჯა კასაბლანკას" და 2 „იანგ აფრიკანზს".

**ინგლისური** „ვესტ ჰემის" თავდამსხმელი, უელსელი ჯონ ჰართსონი თანაგუნდელს, ისრაელელ ეიალ ბერკოვიჩს წიხლით რომ დაესხა თავს, მთელმა ქვეყანამ გაიგო და ნახა კიდეც, რამეთუ ორი კვირის წინ მომხდარ ამბავს ვიდეოკამერაც ესწრებოდა. ბუნებრივია, ამ დანაშაულს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის მხრივ სასჯელიც მოჰყვა — ჰართსონმა ორი კვირის ხელფასი, 17110 დოლარი, ასოციაციას უნდა ჩაუთვალოს. გასაჩივრებისთვის უელსელს ორი კვირა აქვს. სხვათა შორის, მას 70 გირვანქაც აქვს გადასახდელი. მართალია, 70 გირვანქა 17 ათას დოლართან ზღვაში წვეთია, მაგრამ მიზეზი, თუ რატომ დააჯარიმა უელსის ერთი პატარა ქალაქის მაგისტრატურამ ჰართსონი, ფეხბურთელის პიროვნებაზე კარგად მეტყველებს. ჰართსონმა ერთ მშვენიერ ღამეს, ქუჩაში, დეკორატიულ, ყვავილებიან კალათსაც წიხლი ჰკრა და ეს ამბავიც უსაფრთხოებისთვის დაკიდებულმა კამერამ გადაიღო.

**რუმინელ** ვასილი იანულს ბუქარესტის „დინამოში" მუშაობის დროს ჩადენილ სიყალბეთათვის საქმე სასამართლოსთან აქვს, მაგრამ ახლა იგი მეორე დივიზიონის „პოლიტექნიკა იასის" პრეზიდენტი გახდა. იანული პოლიციის ყოფილი პოლკოვნიკი, 1990-93 წლებში დედაქალაქის „დინამოს" პრეზიდენტობდა და ბრალდებათა თანახმად, 2,6 მილიონი დოლარი სადღაც გააქრო. თავად ნაპოლკოვნიკარი ცხადია, ბრალდებებს უარჰყოფს, მაგრამ თუ დანაშაული დაუმტკიცეს, ხუთი წლის ციხეში გატარება არ ასცდება.

**ფრანგი** ნახევარმცველი, აბდერ რამდანე მისმა გერმანულმა კლუბმა „ჰანზამ" 6100 დოლარით დააჯარიმა. რამდანეს დანაშაული მეტოქისთვის ყბაში იდაყვის მირტყმა გახლავთ. ეს ამბავი 25 სექტემბერს მოხდა, როდესაც „ჰანზასა" და „ჰამბურგის" შეხვედრაში ფრანგი მოედნიდან გააძევეს, „ჰანზამ" კი 0:1 წააგო. თავის მხრივ, გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც დასაჯა თავგასული მოთამაშე — მას რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. „ჰანზას" ასეთი სიმკაცრე გადამეტებულად ეჩვენა და სადაც ჯერ არს, აპელაცია შეიტანა. „რვა მატჩი ნამეტანია — განაცხადა „ჰანზას" მწვრთნელმა, ელანდ ლაინენმა — რამდანეს დაზარალებულმა პოლერბახმა პროვოკაცია მოუწყო.

**ნიგერიის** ნაკრების მწვრთნელად, როგორც იქნა, დანიშნეს ჰოლანდიელი ტიის ლიბრეგტსი. „ჩვენი აზრით, ლიბრეგტსი საუკეთესო კანდიდატურაა და ამიტომაც დავნიშნეთ" — განაცხადა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ, აბდულმუმინი ამინუმ. გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ლიბრეგტსი თვეში 30 ათას დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, საკონტრაქტო თანხა ანუ ფული, რომელსაც ხელფასისგან დამოუკიდებლად გარდა, ახლავე მისცემენ ჰოლანდიელს, 150 ათასის ტოლფასია. პლუს, ლიბრეგტსი შინ, ჰოლანდიაში ნიგერიელთა ხარჯით გაემგზავრება ხოლმე და არც ბინის ქირას გადაიხდის. ხელშეკრულება ორი წლის მანძილზე იქნება ძალაში. ამრიგად, ლიბრეგტსი ექვსი წლის განმავლობაში მეექვსე უცხოელია „სუპერარწივებს" რომ ჩაუდგა სათავეში. მისი უახლოესი ამოცანა გახლავთ გუნდის აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე გაყვანა.

**შოტლანდიის** ნაკრებში თამაშს თავი დაანება მეკარე ჯიმ ლეიტონმა, რომელსაც თანამემამულეთა შორის, ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი, 91 თამაში აქვს ჩატარებული. შოტლანდიელთა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა თქვა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების საბაბი ლეიტონისთვის მას არ მიუცია, მაგრამ ფაქტია, რომ შაბათს, ევრო 2000-ის შესარჩევში ესტონეთთან 3:2 გამარჯვების მერე ლეიტონი გვარიანად გაკრიტიკებული დარჩა. „აბერდინის" 40 წლის გოლკიპერი პირველი სქოთი გახლავთ, რომელმაც მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატზე ითამაშა (იგულისხმება ფინალური ეტაპები).

**კოტ დიუვარელმა** იბრაჰიმ ბაკაიოკომ განაცხადა, რომ მისი „ევერტონში" გადასვლა პრემიერლიგისკენ გზას გაუხსნის სხვა სპილოს ძვლის ნაპირელებს, თუმცა ლივერპულელ ფანებს უფრო ის აინტერესებთ, რით დაეხმარება გუნდს თავად ბაკაიოკო. 21 წლის ფეხბურთელი ორშაბათს პირველად მივიდა ახალი გუნდის ვარჯიშზე, რომელმაც იგი ფრანგული „მონპელიესგან" 6,77 მილიონ დოლარად იყიდა.

**ინგლისური** „მიდლსბრო" ლისაბონის „ბენფიკას" 900 მილიონ ესკუდოდ ანუ 5,4 მილიონ დოლარად გაურიგდა. ვაჭრობის ობიექტი გახლდათ 30 წლის თავდამსხმელი ბრაიან დინი, რომელიც იანვარში „ბენფიკამ" სამჯერ ნაკლებად იყიდა „შეფილდ იუნაიტედისგან". კომბინაცია ჩახლართულია, რადგან დინის „მიდლსბროში" გადასვლით რატომღაც, ისრაელელ ეიალ ბერკოვიჩს „ვესტ ჰემიდან" „ბენფიკაში" გადასვლისთვის გაეხსნა ხელ-ფეხი.

## ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1968

ჯორჯ ბესტი

# ჯორჯი ბიჭი

*გიო ახვლედიანი*

მესამე კვირაა, ერთი კლუბის ფეხბურთელთა გამო ვწერთ. 60-იანი წლების „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელთაგან სამმა, წელიწადის გამოტოვებით, მოიპოვა ევროპის ოქროს ბურთი. სქოთმა დენის ლოუმ, ინგლისელმა ბობი ჩარლტონმა და ჩრდილოირლანდიელმა ჯორჯ ბესტმა. და კვლავ ნაცნობი შეკითხვით უნდა დავიწყოთ. იმ შეკითხვით, მანჩესტერელთა თავკაცის, მატ ბასბის სკაუტები რომ უსვამდნენ გამორჩეულ ბიჭუნებს:

— შვილო, გინდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაში?

თხუთმეტი წლის გამწლაკულ ბელფასტელ ოროსანს ცივმა ოფლმა დაასხა. ის ხომ ადგილობრივი „გლენტორანის“ მესამე გუნდში არ მიიღეს სიგამხდრისა და დაბალი ტანის გამო. არადა, პატარა ჯორჯ ბესტის ცხოვრება, ბავშვობა და ყრმობა ფეხბურთი იყო. მხოლოდ ფეხბურთი და მეტი არაფერი. სხვა მოგონება არცა ჰქონია. ეს მერე იყო, რომ ვისკი და ქალები და ნაირგვარი კოსტუმები და მაზიანზე, ბოთლიდან დალეული სმირნოვის არაყი...

მანამდე კი, ხელმოკლე მშობლებმა კარგ სკოლაში მიიყვანეს. კარგ სკოლაში სავალდებულო საგნად რაგბი იყო და ბესტს დაემართა ის, რაც არაერთ ბრიტანელ საფეხბურთო ვარსკვლავს. მას რაგბი შესძულდა. მერე დაწერა კიდეც თავის ცნობილ წიგნში: „განა სამართლიანია, რომ სკოლის დირექტორები თავს გახვევენ რაგბის, საშუალო კლასების თამაშს, მაშინ, როცა შენ მუშათა ოჯახის შვილი ხარ, ოჯახისა, რომლის გულიც საუკუნოდ ეკუთვნის ფეხბურთს?“

დაიბადა 1946 წლის მაისში, 1963 წლის აპრილში პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“. 1974 წლიდან, გალოთებული და პატივაყრილი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა და იქ არაერთი კლუბი გამოიცვალა. დიდხანს აღვირახსნილობდა, მექალთანეობდა, უკანმოუხედავად ცხოვრობდა. ხულიგნის სახელი ჰქონდა.

ერთხელ, დედამისი ქუჩაში გააჩერა უცნობმა:

— თქვენ მისის ბესტი ხართ?

— დიახ.

— მინდა გითხრათ, რომ თქვენი შვილი ირლანდიის სირცხვილია — ასეთი იყო დასასრული.

...მანჩესტერში ჩასული და „ოლდ ტრეფორდელ“ ახალბედათათვის ცნობილი დედილო ფილეუეის სახლში დააბინავეს. ის მორიდებული, უსიტყვო ბიჭი იყო. მონდომებით სწავლობდა დიდ ფეხბურთს, ბასბი კი ალტაცებაში მოჰყავდა მის ჩოგბურთის ბურთით ქუჩაში ნასწავლ ფინტებს და მოულოდნელ დარტყმებს.

მალე ჯორჯმა ბრიტანეთი დაიპყრო. ის არა მხოლოდ საფეხბურთო, არამედ საზოგადო კერპიც შეიქნა. „ბითლზის“ დრო, სამოციანი წლები... მოედნის მეუფე. პაბებისა და რესტორნების ხშირი სტუმარი, ჭეშმარიტი გენიოსი. უნიკალური მიღწევები — ათწლეულის შუახანების ნამდვილი მეფე, უნახავი სილამაზის გოლები, სიტყვით რომ ვერ აღწერ, ისეთი. დიდი სახლი მანჩესტერში, ბინა ლონდონში, ხელფასი, პრემია, რეკლამის ფული. სხვა ვინ არის მეფე? ქალები და ისევ ქალები.

მაგრამ იმხანად, ჯორჯი ბრწყინვალედ თამაშობდა.

მაგრამ ამას თან ერთვოდა ტრავმები. ბესტზე ნადირობდნენ. ნადირობდნენ და ისვენებდა. მისი დასვენება ქეიფი იყო, მაგრამ სანამ ბასბი ფეხზე იდგა, ჯორჯს მისი დიდი რიდი ჰქონდა.

ფლანგის მოთამაშისთვის უნიკალური მიღწევები ჰქონდა — 1967-68 წლების სეზონში 50 მატჩი ითამაშა და 31 გოლი გაიტანა. ჩემპიონთა თასიც მოიგო კლუბთან ერთად. ნამდვილი გამარჯვებული იყო, ნამდვილი.

...1968 წლის ზამთარში ავტოკატასტროფაში მოჰყვა, ზაფხულშიც რაღაც ამის მსგავსი შეემთხვა, ოქტომბერში პირველად გააძევეს მინდვრიდან მუშტების ქნევისთვის. სწორედ ამ დროს გაჩნდა ტერმინი „ვარსკვლავური“ ავადმყოფობა.

...1969 წელს ტანსაცმლის პატარა მაღაზია გახსნა ჩელსიში. ფული ბევრი მოდიოდა, მაგრამ გასავალიც დიდი იყო. მორიდებული ირლანდიელი საბოლოოდ შეცვალა თავზეხელაღებულმა, მედიდურმა კაცმა.

1970 წლის ზამთარში მსაჯს ეტაკა და ოთხი კვირით დასაჯეს. ამ დროს კაბარეში გამოდიოდა და ათასი ფუნტიც ჩაიჯიბა. დაბრუნდა და პირველივე სათასო თამაშში ექვსი გოლი გაიტანა! აბა, რათ არ იყო გენიოსი?

იმავე წლის მარტში პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ უილსონს შეხვდა. მერე კვლავ გააძევეს. მერე დააჯარიმეს იმ დროისთვის სარეკორდო თანხით — 250 ფუნტით. ექვსი კვირით მოკვეთეს თამაშს. შემდეგ კიდევ ერთით. არად აგდებდა, ვარჯიშებს აცდენდა, სვამდა, ჩხუბობდა, იგინებოდა. ერთხელ, ერთხელაც არ დაურეკავს ბელფასტში, მშობლებთან. სამ წელიწადს მიდიოდა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“, მიდიოდა სასამართლოთი, აპელაციით, ომით. მიდიოდა და არც მიდიოდა. გიჟი იყო. თავის სასახლეში ორგიებს მართავდა. ფეხბურთი რაღად უნდოდა? ერთი პაბი ამოიჩემა, სულ იქ იყო, იქვე ეძინა, თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა. ბასბი აღარ იყო მწვრთნელი. ფრენკ ოფარელს, ახალ მენეჯერს არაფერს უჯერებდა.

მერე ქუდი დაიხურა და ამერიკული ოდისეა გასწია. ოთხ წელიწადს ითამაშა. ნაღდი ალკოჰოლიკი იყო, მაგრამ ამერიკას კი ჰყოფნიდა. არავინ გახსენებია. არც არაფერი შეჰყვარებია. წვერმოშვებული დაძუნძულებდა მინდორზე. არც არაფერი იცოდა. არ იცოდა, რომ მამა გაფიცვაში ჩაერთო სხვა მუშებთან ერთად და შინ ფული არ იყო. არ იცოდე, რომ დედა სვამდა და ტიროდა.

...1978 წლის შემოდგომაზე შეიტყო დედის სიკვდილი. იკადრა ბელფასტში ჩასვლა. მერე კვლავ ლოთობა. ცოლი გაექცა და დაბრუნდა. 1981 წელს ვაჟი შეეძინა და თითქოს ამ დროს გამოცოცხლდა. კლინიკაში დაწვა, ლოთობა მოირჩინა, მაგრამ ის ხომ ფეხბურთელი აღარ იყო?

ის ბესტი, ოქროს ბურთი რომ აიღო, აღარ არსებობდა. შემდგომშიაც არაერთხელ გალოთდა და არაერთხელ იმკურნალა. დღესაც გაიელვებს ხოლმე გაზეთების ფურცლებზე — სამოცდაათიანი წლებიდან გამოყოლილი გრძელი თმით და ჭაღარა წვერით. კეთილი თვალები აქვს. რატომ დაემართა ასე?

საოცარი წიგნი დაწერა — გულმართლად მოგვითხრო თავისი აწეწილი ცხოვრების შესახებ.

საოცარი ფეხბურთი ითამაშა — თამაში პირადად ჯორჯ ბესტისა, განუმეორებელი, ტექნიკური, სრულყოფილი.

„ათ წელიწადს დასისხლიანებული ფეხებით ვთამაშობდი. მსაჯებს არასოდეს უთქვამთ, გეტრი ჩაიწიე და ჭრილობა მიჩვენეო“ — ერთგვარი სევდით წერს თავის წიგნში. ბევრი რამ შემატა ჩვენს საყვარელ თამაშს. მისი სისწრაფე სანიმუშოდ იქცა. მისი დრიბლინგი სამაგალითოდ. მისი მახვილგონიერი დარტყმები სახელმძღვანელო ფილმებშია შესული.

მან ფერადოვნება შესძინა თავის რთულ ეპოქას, მაგრამ ვერ გაუძლო. ძალიან შორიდან იყო და ძალიან წესიერი. ჰოდა, გაგიჟდა. დაიბნა, აირია, ეგონა, ყველაფერი ამ ათ წელიწადში უნდა მოესწრო.



**ჯორჯ ბესტი**

დაიბადა 1946 წლის 22 მაისს ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ კრეგეგში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,72
წონა: 64კგ
კლუბები: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი, 1963-75); „დანსტეიბლ თაუნი“ (ინგლისი, 1975); „კორკ ატლეტიკი“ (ინგლისი, 1976); „სტოკპორტი“ (ინგლისი, 1976); „ფულემი“ (ინგლისი, 1976-77); „ლოს ანჯელეს აცტეკსი“ (აშშ 1877-78); „ფორტ ლორდერდეილ სტრაიკერსი“ (აშშ 1978-79); „ჰიბერნიანი“ (შოტლანდია 1979-81); „სან ხოსე ერსქუიკსი“ (აშშ 1981-82); „გოლდენ ბეი“ (1982-83); „ბორნმუტი“ (ინგლისი 1983);
ტიტულები: ინგლისის ჩემპიონი — 1965, 67; ინგლისის თასი — 1963; ჩემპიონთა თასი — 1968
ნაკრებში 37 მატჩში 9 გოლი (1964-78)

გოგოებს ძალიან ლამაზი ფეხები ჰქონდათ.

ყველაზე სწორად კი მისმა ბრძენმა და ჯენტლმენმა თანაგუნდელმა ბობი ჩარლტონმა თქვა:

„ჯორჯ ბესტი დიადი ფეხბურთელია. მაგრამ მისი ტრაგედია ის არის, რომ სპრინტერია და მარათონში მონაწილეობს“.

აი ასე — მაგრამ ჯორჯი ბიჭის ფეხბურთი უკვდავია, ისევე როგორც ისტორია გენიალური, მაგრამ ქაჯი ბიჭისა, მსოფლიოს რომ იპყრობდა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

14 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| უელსი — ბელარუსი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| შვეიცარია — დანია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ნორვეგია — ალბანეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| საბერძნეთი — საქართველო | ანგარიში — 5,0 | | |
| სლოვენია — ლატვია | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მოლდოვა — გერმანია | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 3,6 | 1,4 |
| თურქეთი — ფინეთი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| უკრაინა — სომხეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| საფრანგეთი — ანდორა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| 0:4 | 1,6 | 5,0 | 2,6 |
| ისლანდია — რუსეთი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ლუქსემბურგი — ინგლისი | 12,0 | 6,0 | 1,1 |
| 2:0 | 2,8 | 3,6 | 1,7 |
| ბულგარეთი — შვედეთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| სან მარინო — ავსტრია | 14,0 | 8,0 | 1,05 |
| 2:0 | 2,8 | 4,7 | 1,6 |
| ისრაელი — ესპანეთი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| უნგრეთი — რუმინეთი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სლოვაკეთი — პორტუგალია | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ირლანდია — მალტა | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:2 | 1,7 | 3,6 | 2,8 |
| ხორვატია — მაკედონია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,0 |
| ლიტვა — ბოსნია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შოტლანდია — ფარერები | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,7 |
| ჩეხეთი — ესტონეთი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „რიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები

**331. ზუბერ ქელიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ვიაჩესლავ სოლოვიოვი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, 3. შოთა იამანიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: დავით გოგია, თენგიზ სულაქველიძე, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით მუჯირი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**332. გიორგი ოლაძე.** თბილისი. მათემატიკოსი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ვიაჩესლავ სოლოვიოვი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. გაიოზ ჯეჯელავა, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ვლადიმერ ბარქაია
გუნდი: რამაზ ურუშაძე, გოჩა გავაშელი, მურთაზ ხურცილავა, ფირუზ კანთელაძე, გოჩა მაჩაიძე, სერგო კოტრიკაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, ილია დათუნაშვილი

**333. მაია ქელიძე.** თბილისი. ინჟინერი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. ვიაჩესლავ სოლოვიოვი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. შოთა იამანიძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ვლადიმერ ბარქაია
გუნდი: დავით გოგია, თენგიზ სულაქველიძე, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გოჩა მაჩაიძე, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**334. ვალერი ქუსრაშვილი.** თბილისი. მოდელიორი. 45 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. ილია დათუნაშვილი, 3. გავირლ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. შოთა იამანიძე, 4. ილია დათუნაშვილი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: რამაზ ურუშაძე, თენგიზ სულაქველიძე, ფირუზ კანთელაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, დავით მუჯირი, სერგო კუტივაძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია

**335. ლევან ლაბაძე.** ქობულეთი. ბუღალტერი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. ილია დათუნაშვილი, 3. რევაზ ჩელებაძე, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ ბარქაია, არჩილ არველაძე, გიორგი ქინქლაძე, ილია დათუნაშვილი, რევაზ ჩელებაძე, მიხეილ მესხი

**336. გია ბაზლაძე.** თბილისი. ინჟინერი. 34 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**337. პაატა ჭელიძე.** თბილისი. უმუშევარი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**338. სევერიან თურქია.** თბილისი. ინჟინერი. 35 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. დავით ყიფიანი, 4. ვიტალი დარასელია, 5. გიორგი სიჭინავა
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**339. ნიკა მამეიშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. თემურ ქეცბაია, 2. მიხეილ მესხი, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. შოთა არველაძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი:. ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, კახი ცხადაძე, ვიტალი დარასელია, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი

**340. რევაზ შენგელია.** თბილისი. ჟურნალისტი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**341. დავით რუხაძე.** თბილისი. გარემოს დაცვის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი. 25 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**342. ილია ვეკუა.** სოხუმი. მოსწავლე. 10 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ალექსანდრე ჩივაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ვიტალი დარასელია, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თემურ ქეცბაია, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**343. ირაკლი ჩილაჩავა.** სოხუმი. პედაგოგი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**344. დავით ჩილაჩავა.** სოხუმი. მოსწავლე. 8 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ვიტალი დარასელია, 4. სლავა მეტრეველი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**345. გიორგი ჩილაჩავა.** სოხუმი. მოსწავლე. 7 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. თემურ ქეცბაია, 5. შოთა არველაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ შელია, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, ვლადიმერ გუცაევი, შოთა არველაძე, მიხეილ მესხი

**346. ნუგზარ მოქია.** ლანჩხუთი. ინჟინერი. 51 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**347. დავით გოჩიაშვილი.** ცხინვალი. მშენებელი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**348. გია ბერუაშვილი.** ცხინვალი. ინჟინერ-მშენებელი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**349. ვეზარ ბერუაშვილი.** ცხინვალი. ინჟინერ-მშენებელი. 32 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავირლ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ვიტალი დარასელია, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**350. იოსებ ჯოხაძე.** გორი. მშენებელი. 36 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. თემურ მახარაძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. ბორის სიჭინავა
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**351. თეიმურაზ რომელაშვილი.** ცხინვალი. მძღოლი. 52 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**352. გიორგი გიდოდაშვილი.** ცხინვალი. მძღოლი. 33 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. თემურ მახარაძე, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის სიჭინავა, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**353. ალიკა ქაბულოვი.** გორი. პედაგოგი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. ვიტალი დარასელია, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. სლავა მეტრეველი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**354. ნუგზარ ოდილავაძე.** თბილისი. ინჟინერ-ეკონომისტი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**355. გიორგი ქუთალაძე.** თბილისი. მძღოლი. 69 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ზაურ კალოევი
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვიქტორ პანიუკოვი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**356. ტარიელ მამისაშვილი.** თბილისი. კულინარი. 47 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. თემურ მახარაძე, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ილია დათუნაშვილი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**357. გიორგი ბაბაკიშვილი.** თბილისი. მძღოლი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვლადიმერ ბარქაია
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი

**358. ნუკრი ხახუტაიშვილი.** ქობულეთი. უმუშევარი. 31 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა, გიორგი ქინქლაძე, ბორის პაიჭაძე, კახი ასათიანი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**359. ნინო თხელიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 36 წლის. მწვრთნელი: 1. მიხეილ იაკუშინი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. გაიოზ ჯეჯელავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ხოჭოლავა, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, გაიოზ ჯეჯელავა

**360. ნიკა მამუკაძე.** თბილისი. ინჟინერი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. რევაზ ძოძუაშვილი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. დავით ყიფიანი, 4. რევაზ ჩელებაძე, 5. გიორგი ქინქლაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, თამაზ კოსტავა, ილია რუხაძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, არჩილ არველაძე, შოთა არველაძე

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები „სარბიელის" მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**
**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი - - - - - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - - - -

მშვილდოსნობა

# ნატო ნასარიძემ თურქები შეაშინა

ამ დღეებში ნატო ნასარიძე თავის მწვრთნელთან ვლადიმერ ლეკვეიშვილთან ერთად თბილისში იმყოფებოდა რამდენიმე დღით. ნატოს თურქეთშიც არაერთხელ შევხმიანებივართ ჩვენთვის საინტერესო ცნობების გასაგებად და, აბა, ასეთ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდით. შეხვედრაზე უარი არც ნატოს უთქვამს, ოღონდ გვთხოვა, დიდი ხნის უნახავი ახლობლების მოსანახულებლად ერთი-ორი დღე მაცალეთო. ამაზე უარს როგორ ვეტყოდით და მალე მწვრთნელმა და შეგირდმა ჩვეული გულღიაობითა და სტუმართმოყვარეობით გვიმასპინძლეს.

**— ნატო, მოდით, საუბარი თქვენი ამჟამინდელი კლუბით დავიწყოთ...**

— ამჟამად ანკარის კლუბის წევრი ვარ. ეს არაა მხოლოდ მშვილდოსანთა კლუბი,იგი ჩვენებური სპორტსაზოგადოების მსგავსად 16 სპორტის სახეობას აერთიანებს. მშვილდოსანი მხოლოდ მე ვარ და ეს სახეობა მეჩვიდმეტედ ჩემს გადასაყვანად დაიმატეს. ჩვენ გუნდი არა გვყავს და თურქეთის ჩემპიონატში ვერ გამოვდივართ, თუმცა მომავალ სეზონიდან ამასაც აპირებენ. ამ კლუბს თითქმის ყველა სახეობაში უძლიერესი სპორტსმენები ჰყავს, რადგან მისი სპონსორია ერთი დიდი ბანკი, რომელიც ყველაფრით უზრუნველყოფს კლუბის წევრებს, განსაკუთრებით წარმატების შემთხვევაში.

პირადად მე ბინით დაწყებული, ინვენტარით დამთავრებული, ყველაფრით უზრუნველმყვეს. ვარჯიშის საუკეთესო პირობები შემიქმნეს. ჩემს განკარგულებაშია მთელი სტადიონი, ხოლო ზამთრობით გადახურული სასროლეთი. ნოემბერში კონტრაქტი მიმთავრდება, მაგრამ რომ ჩავალ, მოვილაპარაკებთ და დავრჩები, რადგან ეს ჩემი სურვილიცაა და ხელმძღვანელებისაც.

**— ასეთ პირობებში სამომავლო გეგმებიც, იცოცხლეთ, დაწყობილი გექნებათ.**

— ახლა, ოქტომბერში, თურქეთის ჩემპიონატი გველის, რომელზეც სომხები და ქართველებიც არიან მოწვეულნი. მერე გაისად, გაზაფხულზე კუბაზე ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატია. ამას ემატება არაერთი საერთაშორისო ტურნირი, დიდი პრიზის 4 დიდი ტურნირიც და მეც ვემზადები, არ მინდა, თავი შევირცხვინო.

**— ალბათ უკვე ოლიმპიადაზეც ფიქრობთ...**

— ასეთ პირობებში შეუძლებელია, ოლიმპიადაზე და იქ წარმატებაზე არ იფიქრო. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ამისი დიდი იმედი მაქვს.

**— საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლობა რისი ბრალი იყო?**

— პირველ რიგში, ძლიერმა ქარმა შემიშალა ხელი. ქარი, რა თქმა უნდა, სხვებისთვისაც იყო, მაგრამ მე განსაკუთრებით ვერ ვგუობ ასეთ ამინდში ასპარეზობას. ამასთან, იარაღის სამიზნემაც მიმტყუნა, როცა ალლო ავუღე, მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო აღარ დამრჩა, რადგან ჩვენ ძალიან ცოტა — მხოლოდ 18 გასროლის უფლება გვაქვს. საერთაშორისო ფედერაციაც მიხვდა, რომ ეს უაზრო წესია და ალბათ მომავალ ოლიმპიადიდან შეცვლის მას.

*ვლადიმერ ლეკვეიშვილი.* ნატოს არც სუსტი მეტოქე შეხვდა შვედ პეტრა ერიქსონის სახით. მართალია, იგი პლეი ოფში ბოლო ადგილით შევიდა, მაგრამ ის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და ლამის ყველა რეკორდის მფლობელია. ორი წელი მშვილდოსნობის სხვა სახეობაში გამოდიოდა და ახლა ისევ დაბრუნდა, გუნდსაც ძალიან დაატყო ხელი.

*ნატო ნასარიძე.* ერიქსონი აქამდე მშვილდოსნობის არაოლიმპიურ სახეობაში გამოდიოდა. იქ აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო და ახლა ისევ ჩვენთან დაბრუნდა, იქ ყველაფერი მოვიგე და ჩემთვის საინტერესო აღარაფერიაო. ბედი არ გინდა, ახლადაბრუნებული მე დამეჯახა. თან, ოლიმპიადაც ამოუჩრია გულში.

**— ამერიკაში წასულ ხათუნა ქვრივიშვილს ამერიკელები ნაკრებში არ იღებენ. უცხოობის პრობლემა თქვენთვისაც ხომ არ იქცა წინაღობად?**

— ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თურქებისთვის ჩემი ერთი სიტყვაც საკმარისია. რომ ვთქვა, რაღაც არ მომწონს და მივდივარ-მეთქი, ერთი ამბავი ატყდება.

**— თქვენ რეიტინგშიც პირველი ხართ. როგორ ატყობთ, კიდევ დიდხანს იქნებით პირველი?**

— ჯერჯერობით ვიქნები, რადგან უახლოეს კონკურენტს 40 ქულით ვუსწრებ, რაც მშვილდოსნობაში საკმაოდ დიდი სხვაობაა. ისე, ყველაფერი უმთავრესად ახალი სეზონის სტარტზე იქნება დამოკიდებული.

**— საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ხათუნა ფუტკარაძე ლამის ლოცულობდა, ნეტავი ისევ ნატოს არ შევხვდე პლეი ოფშიო, რაც თურმე ადრე რამდენჯერმე მომხდარა. ალბათ ძალიან გეძნელებათ სხვათა სახელით თვისტომის წინააღმდეგ ბრძოლა.**

— ეს მართლაც ძალიან ძნელი, გულისმომკვლელი, სულ სხვანაირი გრძნობაა. ყველაზე ცუდი კი ისაა, ყველა დიდ ტურნირზე თითქმის ყოველთვის ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს რომ ვხვდები.

**— ესე იგი, თქვენი სპორტული ქიშპი დღესაც გრძელდება.**

— გრძელდება და მერე როგორ! ერთი ხანობა მე და იტალიაში გათხოვილი მოლდოველი ვალიევა ყველა ტურნირზე ვხვდებოდით ერთმანეთს და უფრო საკვირველი ის იყო, რომ მორიგეობით ვუგებდით ერთმანეთს.

**— საქართველოს ნაკრებში დაბრუნების იმედი თუ არის?**

— სურვილის მიუხედავად, სიდნეის ოლიმპიადისთვის ეს არ მოხერხდება. აი, ოლიმპიადის შემდეგ კი ვნახოთ. გააჩნია, როგორ წარიმართება ჩემი პირადი ცხოვრება, არის სხვა ისეთი ფაქტორებიც, რომლებზეც ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ისე, ცოტა ხნით დასვენებასაც ვაპირებ. 15 წელია, სპორტში ვარ და განა იოლია ამდენი ხანი აქტიური სპორტული ცხოვრება?! ცოტა არ იყოს, დავიღალე კიდეც. სეზონის ბოლოს ისე ვარ, მშვილდისკენ გახედვაც აღარ მინდა.

**— მაგრამ გამარჯვებაც ხომ ტკბილია?**

— ეს კი ასეა და, რომ ვამბობ, დასვენება მინდა-მეთქი, შეიძლება უმშვილდოდ ვერც გავძლო. ახლა ვამბობ ასე, თორემ 1-2 თვის შემდეგ ალბათ ისევ დავბრუნდე.

*ვლადიმერ ლეკვეიშვილი.* გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნატოს ყოველწლიურად 16-მდე სტარტი აქვს, ამდენი კი საქართველოს ნაკრებს რამდენიმე წელია, არ ჰქონია.

**— იქაურ ქართველებთან გაქვთ ურთიერთობა?**

*ნატო ნასარიძე.* ქართველებთან ურთიერთობა ნამდვილად არ გვაკლია. ჩვენი კლუბის გენერალური დირექტორიც ქართველი იყო. იგი ახლახან გადადგა პოლიტიკური მოსაზრებების გამო. ფედერაციაშიც არიან ქართველები, რომელთაგან ერთ-ერთს ეკუთვნის ჩვენი სპონსორი ბანკი. გარდა ამისა, ვხვდებით საქართველოდან წამოსულ სპორტსმენებს — ფალიანს, ენდელაძეს, უზნაძეს.

**— ბატონო ვლადიმერ, ალბათ დადგა დრო, თქვენზეც ვისაუბროთ.**

— მე ნატოს მწვრთნელიც ვარ და თურქეთის ნაკრების მეორე მწვრთნელიც. ნატოს გარდა სხვა მშვილდოსნებთან საქმე მხოლოდ შეკრებებზე მაქვს. თურქებმა, ფაქტობრივად, მე დამაკისრეს შეჯიბრებებზე მედლების მოპოვება.

რაც შეეხება ნატოს, ჩვენ ჩვენი პროგრამით ვმუშაობთ. ადრე ამისი საშუალება არ გვქონდა, შებოჭილები ვიყავით, რადგან ბევრ ფაქტორზე ვიყავით დამოკიდებულები. ახლა კი ნატო მათ ნაკრებში ელმავალია, რომელიც მთელ გუნდს მიათრევს.

**— მოდით, თურქების ნაკრებს შევეშვათ და საქართველოსაზე ვთქვათ.**

— თუ სათანადო ყურადღება იქნა, ჩვენი ქალთა და ვაჟთა ნაკრებები თავისუფლად შესწვდებიან ევროპულ დონეს. ხათუნა ქვრივიშვილი დიდი ძალაა, ხათუნა ფუტკარაძესაც ბევრი შეუძლია, იგივე შეიძლება ითქვას სერგო ბერიძესა და სერგო გათიკაევზე. მათ ჯერ კიდევ ჩემი მწვრთნელობისას დიდი მომავალი ჰქონდათ იმ შედეგების გათვალისწინებით, რასაც 10 წლის წინ აღწევდნენ. მაშინდელ სსრკ-ს ახალგაზრდული ნაკრების მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებდნენ და კიდეც იწვევდნენ ნაკრებში. ასმათ დიასამიძე 10-11 წლის წინანდელი შედეგებით დღეს მედლებს თუ ვერ მოიპოვებდა, ფინალებში გასასვლელად ნამდვილად ეყოფოდა. ამათ გარდა, უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა იყო. ჩვენს მშვილდოსნებს ტექნიკა იდეალური აქვთ, მაგრამ პირობები არა აქვთ. საფრანგეთში სერგო ბერიძეს რომ ვუყურებდი, გული მწყდებოდა, ყველა მონაცემი აქვს, შესანიშნავი დგომი, ტექნიკა, მაგრამ რად გინდა — უვარგისი ისრებით ისროდა. როცა პირობებზე ვსაუბრობ, უპირველესად სწორედ იარაღს ვგულისხმობ. ერთსაც გეტყვით — ჩვენს ქალთა ნაკრებს ერთადერთი კორეასთან მოუწევდა დიდი ჭიდილი. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ტექნიკა და ყველაფერი მათ გადაიღეს ჩვენგან და არა პირიქით.

*ნატო ნასარიძე.* ჩვენ ჯერაც ბავშვები ვიყავით, როცა საბჭოთა კავშირში ვყოჩაღობდით. არადა, მაშინდელ საკავშირო ნაკრებზე ძლიერი გუნდი ევროპაში არ იყო, დღეს კი უკრაინელები უგებენ ყველას. არადა, მათ საკმაოდ იოლად ვუგებდით. მაშინ ჩვენზე ამბობდნენ, ბავშვები რომ ამას აღწევენ, რომ გაიზრდებიან, მერე რა იქნებიანო...

საუბარი აქ არ დამთავრებულა. აბა, ევროპის ორგზის ჩემპიონთან და მსოფლიოს პირველობების არაერთგზის პრიზიორთან სასაუბროს რა გამოლევდა. მენიშნა და ალბათ თქვენც მიაქციეთ ყურადღება ნატოს სიტყვებს, თურქები ყველა სურვილს მისრულებენ, ოღონდ კი შემინარჩუნონო. სხვათა შორის, ნატოს ხელში ის „სარბიელიც" ჩავარდნია, მასთან ამასწინანდელი ინტერვიუ რომ იყო დაბეჭდილი. მერე თურმე ის და ბატონი ვოვა თურქებს გახუმრებიან, აი, ნახეთ, ქართველები ნაკრებში გვეპატიჟებიანო. თან იქვე რაღაც რიცხვებზეც მიუთითებიათ, ამდენის გადახდას გვპირდებიანო. მასპინძლები ისე შეშფოთებულან, კლუბის პრეზიდენტი საგანგებოდ შეხვედრიათ მათ, თუ მართლა გადაწყვიტეთ გურჯისტანში დაბრუნებას, ნუ გაგვეპარებითო. ხუმრობა ხუმრობად, მე კი გული იმაზე მწყდება, თურქები რომ ჩვენზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ. მათ ჩვენზე უკეთ შეაფასეს ნასარიძის ნიჭი და მისგან ოლიმპიურ მედალსაც ელიან. ნატო ნასარიძე და ვლადიმერ ლეკვეიშვილი კი საქართველოს ბრჩავ ნაკრებსაც უანგაროდ ეხმარებიან იმით, რომ თავიანთი ავტორიტეტის მოშველიებით თურქებს იქაურ ტურნირზე აპატიჟებინებენ ჩვენებს და იმ საშეჯიბრო გამოცდილებას სძენენ, ასე ძალიან რომ აკლიათ.

**ირაკლი თავაძე**



ნატო ნასარიძე



ნატო ნასარიძე სიდნეის ოლიმპიადის მედალს უმიზნებს

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

დღეს ექვსეულის მეხუთე ტურის ორი მატჩი გაიმართება — ავლაბარში ასკ ბათუმელ „დათვებს" უმასპინძლებს, ვაკეში „ყოჩები" — „ექსპრესს".

# ქულები მუქთადაც რიგდება

ტურის მესამე მატჩი „დინამოსა" და „გუმარს" შორის ამთავითვე ცნობილია, არ შედგება ამ უკანასკნელთა გამოუცხადებლობის გამო. წამყვან მოთამაშეთა საფრანგეთში გადაბარგებით ისედაც „სისხლადწრეტილი" „გუმარისთვის" ნაკრების ფრანგული ტურნე ალმართში მოწეული ქვა აღმოჩნდა, რადგან მან მოთამაშეთა ახალ ნაკადთან ერთად მწვრთნელიც წაჰგვარა. ჰოდა, უმწვრთნელ-უმოთამაშებოდ დარჩენილი გუნდი უკვე მეორე ტურია, არ თამაშობს, რისთვისაც მას წაგება, ხოლო მის მეტოქეებს გამარჯვება ეწერებათ ცხრილში. ხვალ სწორედ ასეთ მუქთ ორ ქულას მიითვლის დღეს მაჩანჩალა „დინამო". დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 18 | 17 | 1 | 0 | 792:174 | 113:16 | 35 |
| ექსპრესი | 18 | 12 | 0 | 6 | 542:224 | 81:26 | 24 |
| დათვები | 18 | 11 | 1 | 6 | 498:176 | 68:18 | 23 |
| ასკ | 18 | 11 | 0 | 7 | 398:309 | 59:42 | 22 |
| გუმარი | 18 | 10 | 0 | 6 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 18 | 2 | 0 | 16 | 105:775 | 7:121 | 4 |

ცხრილიდანაც ჩანს, რომ „გუმარის" „განდგომამ", ფაქტობრივად, გამოკვეთა საპლეიოფო ოთხეული, რადგან „დინამო" იმდენად ჩამორჩა სხვებს, არათუ დაწევა, თვალის მიწვდენაც კი უჭირს. ცხრილიდანვე ირკვევა დღევანდელი ტურის დიდი მნიშვნელობაც, ტურისა, რომლის უპრინციპულესი შეხვედრაც ავლაბარში გაიმართება და რომელმაც შეიძლება ცხრილიც არივ-დარიოს. ყველაზე ცუდ დღეში „ექსპრესია", რომლის მრისხანე მეტოქე დღეს უეჭველად მოგებას გეგმავს. გამორიცხული არ არის, ასკ — „დათვების" წყვილიდან ერთ-ერთმა მას ის მეორე ადგილიც დააკარგვინოს, რომელსაც ძველი მონაგარის წყალობით ჯერ კიდევ ინარჩუნებს. საერთოდ, თუ „ექსპრესმა" ექვსეულში მოხვედრის შემდეგ მოკლებულ ტემპს არ უმატა, მეოთხე ადგილზე გასვლა ანუ ნახევარფინალში „ყოჩებთან" შეხვედრა, რაც მისთვის „ნაადრევი სიკვდილის" ტოლფასი იქნება, არ ასცდება.

**ირაკლი თავაძე**
**პაატა თოთაძე**

კალათბურთი

წერილი „სარბიელს"

# დავიბრუნოთ სტილი!

## პირველი ლიგა აუცილებელია!

ახლა ბევრს მსჯელობენ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის პირველ ლიგაზე, რაც სადღეისოდ, აუცილებლობას წარმოადგენს.

ჩემი აზრით, კალათბურთის განვითარების დონე თბილისში (ამაზე საგანგებოდ ვამახვილებ ყურადღებას) უკვე აღარ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომელიც წაყენებული აქვს ქვეყნის ნაკრებს საერთაშორისო სარბიელზე. ნაკრებში მოთამაშეთა კლასი აშკარად აღემატება იმ გუნდების კლასს, რომლებშიც ეს კალათბურთელები თამაშობენ. ამჟამად ნაკრები, ფაქტობრივად, ერთი ქალაქის გუნდების მოთამაშეთაგან ყალიბდება, მართალია, სხვებთან შედარებით დიდი ქალაქის გუნდებისგან, მაგრამ მაინც ერთი ქალაქისა. უნდა ვაღიაროთ, რომ რეგიონების გუნდების მოთამაშეთა კლასი ჩამოუვარდება უმაღლეს ლიგაში, უფრო ზუსტად კი — თბილისის ლიგაში მოთამაშეთა კლასს.

ამასთან, თუ გადავხედავთ ჩვენი კალათბურთის არცთუ შორეულ წარსულს და გავიხსენებთ 60-70-იანი წლების შესანიშნავ თბილისის „დინამოს", მივხვდებით, რომ ეს, ფაქტობრივად, იყო საქართველოს ნაკრები, რომელშიც თამაშობდნენ რეგიონების წარმომადგენლები: ალექსანდრე კილაძე, ვალერი ალთაბაევი, ანტონ კაზანჯიანი — ბათუმიდან; ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი — ქუთაისიდან; ამირან სხიერელი — რაჭიდან; ანზორ ლეჟავა — აბაშიდან და ა.შ. ეს კალათბურთელები მოვიდნენ რეგიონებიდან და „დინამოში" დაოსტატების წყალობით წამყვანი მოთამაშეები გახდნენ.

უფრო ადრეული წლები გავიხსენოთ — ეგრეთ წოდებული „ქუთაისური ტალღა". მაშინ ქუთაისის ბრწყინვალე გუნდი დიდი ოთარ ქორქიას მეთაურობით შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში. მოგვიანებით კი ამ გუნდის მოთამაშეები წარმატებით იცავდნენ 50-იანი წლების თბილისის „დინამოს" ღირსებას. ზემოთქმული გვიდასტურებს, რომ მაშინ მოხდა რეგიონისა და დედაქალაქის სკოლების შერწყმა, რის საფუძველზეც აღმოცენდა 60-იანი წლების თბილისის „დინამო". ეს იყო საუკეთესო სინთეზი, რომლის დარი ქართულ კალათბურთში აღარც მომხდარა.

ახლა ყველაფერი პირიქით ხდება. მთელი საკალათბურთო ცხოვრების ცენტრად დედაქალაქი გვევლინება და მხოლოდ ბოლო ორი წელიწადია, რაც რეგიონებში საკალათბურთო ცხოვრების გამოღვიძების ნიშნები შეიმჩნევა.

სწორედ ასეთ დროსაა მნიშვნელოვანი პირველი ლიგის არსებობაზე სერიოზული დაფიქრება. პირველმა ლიგამ უნდა შეასრულოს ორი ძირითადი ფუნქცია:

1. უმაღლეს ლიგაში კონკურენციის დამკვიდრება;

2. მთელ საქართველოში კალათბურთის აღორძინებისა და პოპულარიზაციისთვის მაქსიმალური მხარდაჭერა.

გთავაზობთ პირველი ლიგის გათამაშების ჩემეულ ფორმულას, რომელიც, ჩემი აზრით, უპასუხებს ზემოაღნიშნულ ორივე მოთხოვნას.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები იყოფა ორ ქვეჯგუფად: I - თბილისის გუნდები; II — გუნდები სხვა ქალაქებიდან. თბილისის ქვეჯგუფში თამაშები ჩატარდება რამდენიმე წრედ (რაოდენობა გადაწყდება წინადადებების განხილვისას). პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები მოხვდებიან ფინალურ ეტაპზე.

II ქვეჯგუფში თამაშები ჩატარდება ტურნირების სისტემით. ტურნირების რაოდენობა განისაზღვრება მონაწილე გუნდების რაოდენობის მიხედვით. სასურველია, ყველა მონაწილე გუნდის ქალაქში ჩატარდეს თითო ტურნირი მაინც. საბოლოოდ გამოვლინდება ორი საუკეთესო, რომლებიც გავლენ ფინალურ ეტაპზე. სატურნირო სისტემა იმდაა აუცილებელი, რომ გულშემატკივრებმა თამაშები საკუთარ ქალაქში, საკუთარი თვალით იხილონ.

ფინალიც ტურნირის სახით ჩატარდება. ჩასატარებელი მხოლოდ სამი ტურნირი იქნება. თბილისში ჩატარდება გაერთიანებული ტურნირი, სადაც თითოეული გუნდი ორ-ორჯერ შეხვდება ერთმანეთს (ფინალში ხომ ორი თბილისური გუნდი იქნება). დანარჩენი ორი ტურნირი კი — II ქვეჯგუფიდან ფინალში გასული გუნდების ქალაქებში გაიმართება. ფინალური ტურნირის შედეგების მიხედვით გამოვლენილი ორი უძლიერესი გუნდი მომავალ სეზონში გადავა უმაღლეს ლიგაში.

თუ გავიხსენებთ, რომ ადრე კადრების დინება ხდებოდა რეგიონებიდან დედაქალაქისკენ, ახლა ეს პროცესი საპირისპიროდ მიმდინარეობს. დღეს არსებული პირობების გამო დედაქალაქში ჭარბადაა ანუ დაუსაქმებელია ინტელექტუალური, შემოქმედებითი და ტექნიკური კადრები, რის გამოც ხდება მათი გადაქაჩვა რეგიონებში.

ასეთივე პროცესი მიმდინარეობს სპორტშიც. თბილისში ახლა თავმოყრილია ჭეშმარიტად მაღალი დონის სპორტსმენების დიდი რაოდენობა. შესაძლებელია, რომ რეგიონებში კალათბურთის აღორძინებამ მათი ნაწილის რეგიონალურ გუნდებში გადმოყვანის საშუალება მოგვცეს. ასეთი სინთეზი აამაღლებს არა მარტო მოთამაშეთა საშუალო დონეს, არამედ ჩვენი კალათბურთისთვის თვისებრივად ახალ შედეგებს მოიტანს. მოიტანს იმას, რომ ჩვენი ნაკრები გადაიქცევა სხვებისგან სრულიად განსხვავებული სტილის გუნდად. ისეთად, როგორც იყო 60-იანი წლების ლეგენდარული თბილისის „დინამო". ამ გუნდს ხომ ჰქონდა თამაშის განუმეორებელი სტილი, რომელიც უკვე დავკარგეთ, მაგრამ რომელიც უნდა დავიბრუნოთ ახალი სახით და არანაკლებ შთამბეჭდავი შედეგებით.

**ვალერი ალთაბაევი**
*საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი*

# ნიუ იორკში უკვე ტირიან

12 ოქტომბერი

**რეინჯერსი — სენტ ლუისი 2:4 (0:3 0:1 2:0)**

შაიბები: 0:1 მაკინისი 4'56 (1); 0:2 მაკინისი 11'49 (2); 0:3 მაკინისი 16'48 (3); 0:4 კურტნოლი 29'05 (1); 1:4 ლიჩი 43'58 (1); 2:4 კარპოვცევი 51'34 (1)

სენტ ლუისის ისტორიაში ბრეტ ჰალი ელ მაკინისმა შეცვალა. საოცრად შედეგიანმა ჰოკეისტმა პირველივე პერიოდში შეუტია მასპინძელთა კარს და გამოცდილი მაიკ რიხტერი ისე დააბნია, რომ ამან არათუ ახლო, შორი მანძილიდან დარტყმული შაიბაც გაუშვა. სულ რაღაც 12 წუთში მაკინისმა ჰეთ-თრიქი შეასრულა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. რეინჯერსის საქმე კი ისე ცუდად მიდის, ზედიზედ სამჯერ დამარცხებულ ნიუიორკელებს საკუთარმა ქომაგებმაც კი უსტვინეს. „მედისონ სკუერ გარდენს" მხოლოდ მაშინ ამოხდა სიხარულის ყიჟინა, როდესაც დიქტორმა გამოაცხადა, მატჩს ნიუიორკელი კეტბურთელი დევიდ უელსი ესწრებაო.



ნიუიორკელთა თავგზააბნეული მეკარე მაიკ რიხტერი სენტლუისელმა რუდი რიზონერმაც (15) შეაწუხა

**ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 4:2**
**0:1 1:1 3:0**

0:1 პერო 9'03 (2); 1:1 ზეზელი 34'48 (1); 1:2 პერო 36'19 (3); 2:2 სკაჩარდი 41'44 (1); 3:2 ზეზელი 50'48 (2); მოგილნი 59'18 (1)

ვანკუვერმა წლეულს ყველაზე გვიან დაიწყო ჩემპიონატი და პირველივე მატჩში ძნელად, გარკვეულწილად მსაჯ სტივენ უოლკომის დახმარებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. არბიტრმა სტუმრებს ორი გოლი არ ჩაუთვალა, რადგან დარტყმისას „მეფეთა" მოთამაშე მეკარის მოედანზე იმყოფებოდა (აღსანიშნავია, რომ ეს ორჯერვე სენდი მოგერი იყო). ამან, ბუნებრივია, ლოსანჯელესელთა მწვრთნელის ლერი რობინსონის რისხვა გამოიწვია.

უნდა ითქვას, რომ სტუმართა ფორვარდმა იანიკ პერომ ორივე გოლი უმცირესობაში გაიტანა, რაც ერთით ჩამორჩება კალგარელ ტეო ფლერის მიერ 1991 წლის 9 მარტს სენტ ლუისთან დამყარებულ რეკორდს. ვანკუვერელთაგან კი ტრავმის შემდეგ ახლახან დაბრუნებულ მესიეს ნაცვლად ლიდერობა ვეტერანმა პიტერ ზეზელმა (2+1) იკისრა.

**ბოსტონი — აილენდერსი 3:0**
**2:0 0:0 1:0**

1:0 ხრისტიჩი 14'00 (1); 2:0 ჰაინცე 15'18 (2); აქსელსონი 53'25 (1)

ბოსტონის მწვრთნელი პეტ ბერნსი არასოდეს აქებს თავის შეგირდებს, მაგრამ მეკარე ბაირონ დაფოს საუცხოო თამაშმა ისიც კი აღაფრთოვანა. მართლაც, ამ გამარჯვებაში მისი წვლილი უდიდესია: მასპინძლები მხოლოდ პირველი პერიოდის ორწუთიან მონაკვეთში გაისარჯნენ კარგად და 2:0 დაწინაურდნენ, მერე კი მეტოქის განუწყვეტელ შეტევებს იგერიებდნენ. დაფოს (28 მოგერიება) კარიერაში ეს მე-6 შათაუტი გახლავთ.

**კოლორადო — ბუფალო 0:3**
**0:1 0:1 0:1**

0:1 ვული 17'52 (1); 0:2 პეკა 23'29 (1); 0:3 ჟიტნიკი 46'05 (1)

ძალისმიერი ბრძოლით და შეხლა-შემოხლით აღსავსე მატჩი დომინიკ ჰაშეკის (32 მოგერიება) მორიგ ბენეფისად იქცა. ბოლო ორი წლის საუკეთესო მოთამაშემ კარიერაში 34-ე შათაუტი მიითვალა — უკანასკნელ წუთებზე რამდენჯერმე იხსნა თავისიანები, ხოლო ჯო საკიკის დარტყმული შაიბა სულაც აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ბუფალოელებთან ახლახან კონტრაქტგაფორმებულმა ალექსეი ჟიტნიკმა კი თავისი დაბრუნება გოლით აღნიშნა.

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 2 | 2 | 0 | 0 | 8:4 | 4 |
| ბოსტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 |
| მონრეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 7:1 | 2 |
| ტორონტო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 2 |
| ბუფალო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 2 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| პიტსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 2 |
| ნიუჯერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| აილენდერსი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |
| რეინჯერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:12 | 0 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| ვაშინგტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 2 |
| კაროლინა | 1 | 0 | 1 | 0 | 4:4 | 1 |
| ტამპა | 2 | 0 | 1 | 1 | 5:8 | 1 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 3 |
| ჩიკაგო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 2 |
| დეტროიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ნეშვილი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალგარი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:6 | 3 |
| ვანკუვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 |
| ედმონტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კოლორადო | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 2 |
| ლოს ანჯელესი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 2 |
| სან ხოსე | 2 | 0 | 1 | 1 | 6:8 | 1 |
| ფინიქსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ანაჰაიმი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

ბომბარდირები: ფლერი (კალგარი) 6 (3+3), მაკინისი (სენტ ლუისი) 5 (3+2), პერო (ლოს ანჯელესი) 4 (3+1), კოზლოვი (ფლორიდა) 4 (2+2), ლეკლერი (ფილადელფია) 4 (1+3), რექი (მონრეალი) და ტარჯონი (სენტ ლუისი) 4 (0+4)

სამველ ლარიბიანი

ჰოკეის „დიდების დარბაზს" კიდევ ორი წევრი შეემატა. ასეთი პატივი „კვებეკ ნორდიკსის" სლოვაკ მოთამაშე პეტერ შტიასნის და მიშელ გულეს ერგოთ. გეხსომებათ, რომ შტიასნი 70-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-ჩეხოსლოვაკიის უდიდესი დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო.

## შტიასნი ხომ გახსოვთ...

### პირველი სლოვაკი დიდების დარბაზში

შტიასნიმ თავისი კვალი ნჰლ-შიც დატოვა. 1980 წელს პეტერმა უმცროს ძმა ანტონთან ერთად არალეგალურად დატოვა სამშობლო და ოკეანის გაღმა გადაბარგდა. ნჰლ-ში პირველივე სეზონში შტიასნი საუკეთესო ახალბედად აღიარეს, ხოლო 109 (39+70) ქულით მან ლიგის რეკორდი დაამყარა დებიუტანტთათვის, რომლის გაუმჯობესება მხოლოდ 12 წლის შემდეგ შეძლო ტეემუ სელიანემ.

შტიასნიმ 15 სეზონი გაატარა ლიგაში, 450 გოლი გაიტანა, კარიერის დასრულების შემდეგ იგი სკაუტად მუშაობს სენტ ლუისში.

1994 წელს 39 წლის შტიასნი ლილეჰამერის ოლიმპიადის მესამე ბომბარდირი გახდა.

შტიასნი პირველი სლოვაკია, რომელიც „დიდების დარბაზის" წევრი გახდა. ხოლო მისი 1239 (450+789) ქულა ევროპელთა შორის მეორე შედეგია ფინელი იარი კურის შემდეგ.

მიშელ გულემაც 15 სეზონი გაატარა ლიგაში, ხოლო მისი 548 გოლი მეთერთმეტე შედეგია ნჰლ-ის ისტორიაში. გარდა ამისა გულე კანადის თასის ორგზის მფლობელი (1984, 87) და 1992 წლის სტენლის თასის ფინალისტია (ჩიკაგოს რიგებში). სახელოვანმა ფორვარდმა კარიერა 1994 წელს დაასრულა.

## ამ ახალგაზრდამ უკვე დიდ ფულს მიუკაკუნა



ვინსენ ლეკავალიე

წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა, 18 წლის ტამპელმა ფორვარდმა ვენსან ლეკავალიემ ლიგის ისტორიაში ახალბედათა შორის სარეკორდო კონტრაქტს მოაწერა ხელი. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური დეტალები უცნობია, ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაციის განცხადების თანახმად ამხელა გასამრჯელო ჯერ არც ერთ დებიუტანტს არ მიუღია. ამიტომაცაა, რომ წლეულს ნიჭიერი ჰოკეისტისგან ბევრს მოელიან. ამ ინტერესს ერთი ფაქტიც აორკეცებს — ბოლო წლების დრაფტების ვერცერთი პირველი ნომერი ვერ იქცა ნამდვილ ვარსკვლავად, მათ შორის შარშანდელი რჩეული ჯო ტორნტონიც (53 მატჩში 7 (3+4) ქულა). ჯერჯერობით კი ჭაბუკ ჰოკეისტს, რომელსაც გარეგნობითაც და სათამაშო სტილითაც ძალიან ამსგავსებენ მარიო ლემიეს, ამის არაფერი ეტყობა — საგამოფენო მატჩებში მან ჩინებულად იასპარეზა და 9 (4+5) ქულით ტამპას საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

## მალჰოტრა დიდი ბიჭია

მაშინ, როცა ყველგან ლეკავალიეზე ლაპარაკობენ, რეინჯერსის მესვეურებს წამითაც არ აეჭვებთ, რომ წლევანდელი სეზონის ნამდვილი აღმოჩენა დრაფტზე მე-7 ნომრით არჩეული 18 წლის ფრენკ მალჰოტრა იქნება. ამ ახალგაზრდა ჰოკეისტმა საგამოფენო მატჩებში ისეთი ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა, რომ გუნდის მწვრთნელმა ჯონ მაკლერმა აღტაცებით წამოიძახა: „ჩინებულია"! იგი სერიოზულად დაფიქრდა იმაზე, ახალბედა პირველივე დღიდან ხომ არ მიეწვია ძირითად შემადგენლობაში. ეს კი, ცხადია, სარისკო საქმეა, რადგან, მან რომელიმე გამოცდილი მოთამაშის ადგილი უნდა დაიკავოს. ეს პატივი კი მხოლოდ დრაფტის პირველ ან მეორე ნომრებს თუ ხვდება ხოლმე წილად. საბოლოოდ დიდმა შთაბეჭდილებამ მაინც თავისი გააკეთა და საჩემპიონატო დედლაინამდე სულ რაღაც ორიოდ საათით ადრე ერთობ გაბარიტული (190 სმ, 99 კგ) და ამასთანავე ძალიან დინამიური მალჰოტრა ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. საკონტრაქტო დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ ფორვარდს უეჭველად მაქსიმალური ხელფასი 975 ათასი დოლარი ექნება.

## აი, კაცი! ლიდსტრიომმა მილიონებს სამშობლოში ცხოვრება არჩია

დეტროიტის მცველ ნიკლას ლიდსტრიომს თითქოს ყველაფერი გააჩნია საიმისოდ, რომ ბედნიერ ადამიანად იგრძნოს თავი: ახალი მრავალმილიონიანი კონტრაქტის უახლოესი პერსპექტივა, ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი მცველის რეპუტაცია და თასის ორგზის მფლობელის წოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველივე ეს არ კმარა, რათა ვარსკვლავმა სამშობლოში დაბრუნება გადაიფიქროს. ეს ლიდსტრიომმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განაცხადა და თავისი გადაწყვეტილება ოჯახის ინტერესებით დაასაბუთა.

საქმე ის გახლავთ, რომ ნიკლასსა და მის მეუღლე ანიკას ძალიან აწუხებთ ბავშვების მომავალი. ცოლ-ქმარს სურს, მათი ორივე ვაჟიშვილი შვედეთში აღიზარდოს, მით უმეტეს, რომ უფროსი, 4 წლის კევინი მალე სკოლაში წავა.

სხვათა შორის, ლიდსტრიომმა ადრეც გამოთქვა შინ დაბრუნების სურვილი, მაგრამ მაშინ ეს განცხადება სერიოზულად არავინ აღიქვა. ახლა კი საქმე იქამდე მივიდა, რომ შვედი სეზონის დაწყებამდე აპირებდა ნჰლ-ის დატოვებას, მაგრამ თავის აგენტ დონ მიჰენთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ამ საკითხის გადაწყვეტა საგაისოდ გადადო. ლიდსტრიომს არც ის აშინებს, რომ 4-5 მილიონდოლარიანი კონტრაქტის ნაცვლად სამშობლოში ბევრი-ბევრი 250 ათასს შესთავაზებენ, მაგრამ მაგალითად თავის ცნობილ თანამემამულე ჰოკან ლოობს ასახელებს, რომელმაც კალგარიში 1989 წელს თასის მოგების შემდეგ 29 წლის ასაკში შვედეთს მიაშურა. ბოლოს შეგახსენებთ, რომ ლიდსტრიომი 28 წლისაა და შარშან ჩემპიონის ტიტულთან ერთად 59 (17+42) ქულით მცველთა შორის საუკეთესო ბომბარდირობაც მოიპოვა, რამაც უფლება მისცა, „ნორის ტროფისთვისაც" (საუკეთესო მცველის პრიზი) ებრძოლა.



ნიკლას ლიდსტრიომი

## ზანგმა ზანგს, შე მაიმუნოო

ეს ერთ-ერთ საგამოფენო მატჩზე მოხდა. როგორც ფლორიდის ოფიციალური განცხადება იუწყება, ტამპას ჰოკეისტებმა — სენდი მაკარტიმ და დარსი ტაკერმა რასისტული გამოთქმებით და უხამსი ჟესტებით შეურაცხყოფა მიაყენეს „პანტერების" ზანგ ფორვარდ პიტერ უორელს. ამში თითქოს ახალი არაფერია. ამგვარი საქციელისთვის შარშან ვაშინგტონის ორი მოთამაშე დაისაჯა — კრის საიმონი და კრეიგ ბერუბი. ამ უკანასკნელმა იმავე უორელს მაიმუნი უწოდა. გაოცებას ის იწვევს, რომ სენდი მაკარტი ნახევრად ზანგია (მამის მხრიდან) და ნახევრად ინდიელი. ასე რომ, ზანგმა ზანგი შეურაცხყო. თვით მაკარტიმ კატეგორიულად უარყო ბრალდება, ხოლო ტაკერმა დასძინა, საიმონის და ბერუბის დასჯის შემდეგ სულელი თუ მოიქცეოდა ამგვარადო. ტამპელთა გენერალურმა მენეჯერმა ფილ ესპოზიტომ თავის მხრივ ფლორიდელები დაადანაშაულა, გააზვიადესო და თან დაამატა, ეს ცნობილი ფანდია და ჩემპიონატის სასტარტო მატჩის წინ „ელვების" მწყობრიდან გამოყვანას ისახავს მიზნადო. ბევრი ჰოკეისტის აზრითაც, კი ეს ძველი ტაქტიკაა და მოწინააღმდეგენი მას ხშირად მიმართავენ.

ასეა თუ ისე, ნჰლ-ის ხელმძღვანელებს არ ეხუმრებათ. მათ ეს ინციდენტი უმალვე განიხილეს და ფაქტების უკმარისობის გამო ტამპას ჰოკეისტებს ბრალდება მოეხსნათ. თუმც ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ჩემპიონატის პირველ მატჩში ფლორიდის „პოლიციელებმა" პოლ ლოსმა და ედ ჟოვანოვსკიმ შური იძიეს — მაკარტი და ტაკერი კარგად მიბეგვეს. სხვათა შორის, ამ გუნდებს წლეულს კიდევ 5-ჯერ მოუწევთ შეხვედრა. ასე რომ, ფლორიდულ დერბის წლეულს, ალბათ, ინტრიგა არ მოაკლდება. ჯერჯერობით კი საგამოფენო და საჩემპიონატო შეხვედრაც ფლორიდამ მოიგო — (3:2 და 4:1).

## ჰეჩერს გაფიცვა არ სჭირდება

ბუფალოსა და მონრეალის მესვეურები მხოლოდ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთიორი დღით ადრე მოეგნენ გონს და სასწრაფოდ შეუდგნენ მათთან უბრად მყოფ თავისუფალ აგენტებთან მოლაპარაკებას. „ხმლებმა" ერთბაშად ორი წამყვანი მოთამაშე — მიროსლავ შატანი და ალექსეი ჟიტნიკი შეირიგეს, კანადელებმა კი გუნდში ვლადიმერ მალახოვი დააბრუნეს. ბუფალოელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჟიტნიკის შენარჩუნება გახლდათ, რასაც კლუბის მწვრთნელის ლინდი რაფის სიტყვებიც ადასტურებს, უმისოდ სეზონს ვერ დავიწყებდითო. ორწლიანი კონტრაქტის თანხაც სოლიდურია — წელიწადში 2,5 მილიონი დოლარი და ბონუსები. ჟიტნიკი თავისი ხელფასის ოდენობით გუნდში მხოლოდ დომინიკ ჰაშეკს ჩამორჩება. რაც შეეხება მალახოვს, მონრეალის გენერალური მენეჯერის რეჟან ულის თქმით, ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მცველი ორი წლის განმავლობაში 5,275 მილიონს მიიღებს.

დალასელ დერიან ჰეჩერს კი 4-წლიანი ხელშეკრულების გასაფორმებლად არანაირი გაფიცვა არ დასჭირვებია. „ვარსკვლავთა" ერთ-ერთმა ლიდერმა 18,6 მილიონი დოლარით დაიმშვენა ხელი.

ვასწავლი იტალიურს
3-4 თვეში ტელ: 32-08-74

მძლეოსნობა

ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ (EAA) დაასახელა წლის საუკეთესო ევროპელი მძლეოსნები.

# ევროპის რჩეულნი: ედვარდსი და არონი


ჯონათან ედვარდსი



კრისტინ არონი

ჟურნალისტთა, ოფიციალურ პირთა და ტურნირების ორგანიზატორთა გამოკითხვის შედეგად ეს პატივი ვაჟებში წილად ხვდა ბრიტანელ სამხტომელ ჯონათან ედვარდსს, ვინც ბუდაპეშტში, ევროპის ჩემპიონატზე 17,99 მეტრზე გადახტა. ქალებში საუკეთესოდ შეირაცხა მომხიბლავი ფრანგი სპრინტერი კრისტიან არონი. მისი დაფასების მიზეზიც ბუდაპეშტში ბრწყინვალე გამოსვლა იყო, სადაც ფრანგმა ორ ოქროს გამოჰკრა ხელი 100 მეტრზე რბენასა და 4100 მეტრზე ამანთრბენში. გამოკითხვაში ფრანგ სპრინტერს კონკურენციას უწევდნენ ირლანდიელი სონია ოსალივანი, რომელმაც ასევე ორი ოქრო მოიხვეჭა 5000 და 10000 მეტრზე და ვეტერანი გერმანელი სიგრძეზე მხტომელი ჰაიკე დრექსლერი. ვაჟებში კი მეორე ადგილზე გავიდა ბრიტანელი თარჯმორბენალი კოლინ ჯექსონი, მესამეც ბრიტანელი იყო — შუბის მტყორცნელი სტივ ბაკლი. რჩეულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება EAA-ს კონგრესზე, 31 ოქტომბერს ესპანეთის ქალაქ გრანადაში.

კრივი

# ვინ იქნება ის ერთი?

როგორც ეტყობა, ევანდერ ჰოლიფილდი და ლენოქს ლუისი, ბოლოს და ბოლოს, მაინც შეხვდებიან ერთმანეთს და მსოფლიოსაც ერთი, ნამდვილი მძიმეწონოსანი ჩემპიონი ეყოლება.



ლენოქს ლუისი


ევანდერ ჰოლიფილდი

ეს შეთანხმება კრივის სამყაროს ორი შეურიგებელი მოწინააღმდეგის — ამერიკელი დონ კინგისა და ლუისის მენეჯერის, ფრენკ მელონის გარიგების შედეგია. ამათ რომ ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, საიდუმლო არავისთვისაა (კინგი ინგლისელს „სულელ პიგმეადაც" მოიხსენიებდა ხოლმე), მაგრამ როდესაც საქმე დიდ ფულს ეხება, ძველ შუღლს ვინ იხსენებს: თავოფოფა, ღიმილად დაღვრილი დონი ორშაბათს ლონდონში ჩაბრძანდა და ფოტორეპორტიორების თვალწინ მელონის გადაეხვია, რამდენიმე საათის შემდეგ კი საქვეყნოდაც განაცხადა, მსოფლიოს კრივის ასოციაციისა (WBA) და საერთაშორისო კრივის ფედერაციის (IBF) ჩემპიონი ჰოლიფილდი მსოფლიოს კრივის საბჭოს (WBC) ჯილას, ლუისს შეერკინებაო.

ჰოლიფილდს არაერთხელ განუცხადებია, 2000 წლამდე, როდესაც დიდი სპორტიდან წავალ, ტიტულები უნდა გავაერთიანოო. თავის მხრივ, 33 წლის ლუისიც იგივეს ესწრაფვის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მოპოვების დღიდან, თუმცა აქ ფინანსური და ტაქტიკური დაბრკოლებებისა და მენეჯერთა ხრიკების გამო ამათი შეხვედრა აქამდე არ ხერხდებოდა.

„ევანდერს სურს ამ მატჩის ჩატარება და მას ჩვენც ვუჭერთ მხარს. აქ ლუისზეა საუბარი, უცნობ ჩემპიონზე, რომელსაც მალე ყველა გაიცნობს" — განაცხადა კინგმა, რომელმაც ინგლისელს „მსოფლიოს ყველაზე საჭირო კაცი" უწოდა.

„მსოფლიოს სურს ამ ბრძოლის ნახვა. ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია, ამას ხელი შეუშალოს, თავად მოკრივეთა უარია, თუ მათ რაიმე პირობა არ დააკმაყოფილებთ" — გააფრთხილა ყველა მელონიმ. მან მატჩის სავარაუდო თარიღად მომავალი წლის თებერვალი ან მარტი დაასახელა, სავარაუდო ადგილად — ლას ვეგასი.

მიუხედავად იმისა, რომ კინგიცა და მისი ბრიტანელი კოლეგაც შეხვედრის მოწყობაში თავიანთ უდიდეს დამსახურებაზე ამახვილებენ ყურადღებას, შეთანხმება კომერციული ინტერესებით უფროა ნაკარნახევი.

საქმე ის არის, რომ კინგი მეორე ბრიტანელ პრომოუტერთან, ფრენკ უორენთან სასამართლო ბრძოლაშია ჩაბმული, ფლორიდაში მისი ლიცენზია გაუქმებულია და თანაც მაიკ ტაისონი 100 მილიონ დოლარს ედავება. თავის მხრივ, მელონისაც ესმის, რომ დრო მიდის, მისი ნიჭიერი შეგირდი ამერიკაში პოპულარობის მოპოვებას ვერაფრით ახერხებს, ამისთვის კი დიდ ჩემპიონთან გამართულ ბრძოლაზე უკეთესი რა უნდა იყოს.

ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ თუ ლუისისა და ჰოლიფილდის შეხვედრა მართლაც შედგა, იგი 1987 წლის შემდეგ (როდესაც ტიტულები ტაისონმა გააერთიანა) მსოფლიოს პირველ, უცილობელ ჩემპიონს გამოავლენს. ამასობაში კი მინი-კრიზისში ჩაფლულ კრივს იქნებ „უძლებმა შვილმა" — რკინის მაიკმაც შეაშველოს ხელი.

## ბოლო-ბოლო, გიჟია თუ ჭკვიანი?

მაიკ ტაისონისთვის ნევადის შტატის საკრივო ლიცენზიის დაბრუნების საკითხის განხილვა მომავალი ორშაბათისთვის დაინიშნა, მას შემდეგ, რაც მძიმე წონაში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონის ფსიქიატრიული შემოწმების შედეგი ბოლო ვადაზე რამდენიმე წუთით ადრე მიიტანეს ადგილზე.

შეგახსენებთ, რომ ტაისონს ლიცენზია ევანდერ ჰოლიფილდის ყურებისადმი გამოჩენილი არაჯანსაღი ინტერესის გამო ჩამოართვეს. რაღა გასაკვირია, თუ კომისიამ ლიცენზიის დაბრუნების პირველი განხილვისას გასულ თვეში შერეკილი მაიკის ფსიქიატრიული გამოკვლევა მოითხოვა, რისთვისაც ბოლო ვადად 12 ოქტომბრის საღამოს 5 საათი იყო დათქმული. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ მასაჩუსეტსის საავადმყოფოს მიერ მომზადებული დასკვნა კომისიას ვადამდე ზუსტად ორი წუთით ადრეღა ჩაბარდა.

ტაისონის ადვოკატებმა თურმე ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ გამოკვლევის შინაარსი საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარიყო, მაგრამ დაბალი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მისი გამომზეურების შესახებ ნევადის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა. არადა, ადვოკატ ჯიმ ჯიმერსონის თქმით, ზოგიერთი დასკვნა, საკმაოდ უსიამოვნო ყოფილა.

მიუხედავად ამისა, ჯიმერსონი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი: „ხუთივე კითხვას, რომლებიც კომისიამ ტაისონის საბრძოლველად მზადყოფნის შესახებ დასვა, დადებითი პასუხი გაეცა. გამოკვლევაში უფრო პოზიტიური ასპექტები სჭარბობს. ეს მოწმობს, რომ შარშანდელი ინციდენტის მსგავსი რამ რინგზე აღარ განმეორდება."

თავად კომისიის წევრები, თავმჯდომარე ელიას განემი და ჯეიმს ნეივი ჯიმერსონის ოპტიმიზმს არ იზიარებენ: დადებითი შედეგი ლიცენზიის ავტომატურ დაბრუნებას სულაც არ ნიშნავსო.

განემი ყველაფერთან ერთად ჟურნალ „პლეიბოიში" გამოქვეყნებული ტაისონის ინტერვიუთიც ფრიად უკმაყოფილო ყოფილა. „რკინის მაიკს" მასში საკუთარი თავი „კაცთმოძულე პიროვნებად" შეუფასებია — ყოველთვის ვცდილობ, თავი შევიკავო, მაგრამ იცოდეთ, რომ ერთ დღეს ავფეთქდებიო. თანაც უთქვამს, ამ ბოლო დროს ძალიან, ძალიან გაბრაზებული ვარო.

თუ 19 ოქტომბერს ტაისონს ლიცენზიას მაინც დაუბრუნებენ, უკვე ნოემბერში მისი მორიგი შეხვედრის მოწმენიც შეიძლება გავხდეთ. როგორც ამბობენ, იგი ლას ვეგასის „MGM" გრან ოტელსა" და კაზინოში გაიმართება, რაკიღა განხილვის დროს ამ სასტუმროს პატრონი ტაისონის უკან მჯდომი შეუნიშნავთ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „MGM" სწორედ ის სასტუმროა, სადაც ტაისონმა ჰოლიფილდს ყურზე უკბინა. მას აქეთ კი იქ არც ერთი მატჩი არ გამართულა.

ბახა არჯევანიძე

ჭადრაკი

# მშვიდობით, ელისტა!

## კაცებმა ნამდვილად იყოჩაღეს, ქალების კი იმედი ვიქონიოთ

მოგეხსენებათ, საჭადრაკო ოლიმპიადისთვის არავითარი ლიცენზიებისა და შერჩევის სისტემა არ მოქმედებს (ამაზა ლაპარაკი ჯერ მხოლოდ დაიწყო) და ყველა ქვეყანა, რომელსაც თუნდაც პირველთანრიგოსნის რანგის რამდენიმე მოჭადრაკე ჰყავს, ოლიმპიადაზე თავისი ნაკრებით გამოდის. ცხადია, გასაგები ხდება ჭადრაკის გრანდების სწრაფვა ცხვირის აბზეკისკენ. მათ ოლიმპიადაზე არავინ უხდის იმის მცირე ნაწილსაც, ნებისმიერი, თუნდაც საკმაოდ დაბალი კატეგორიის კომერციულ ტურნირში რომ მიიღებენ. მაშ რაღაზე აიტკიონ აუტკივარი თავი? რაც დრო გადის, საჭადრაკო ოლიმპიადები სულ უფრო მეტ რჩეულს ისაკლისებენ. ბოლო ოლიმპიადაზე ვერ ვიხილეთ კასპაროვი, კარპოვი, ანანდი, კრამნიკი და პოლგარები. მიუხედავად ამისა, ალბათ არასწორი იქნება ვილაპარაკოთ საჭადრაკო ოლიმპიადის გაუქმებაზე ან თუნდაც შესარჩევი სისტემის შემოღებაზე, რადგან, ერთი რომ, ოლიმპიადა შვეიცარული სისტემით ტარდება ანუ ყოველ ტურში ერთმანეთს ქულათა დაახლოებით თანაბარი მარაგის მქონე ნაკრებები ხვდებიან და ბრძოლის დაძაბულობის მაქსიმუმი ასე თუ ისე მიღწეულია; მეორეც, ფიდეს ერთ-ერთი ამოცანა ხომ მსოფლიოში ჭადრაკის პოპულარიზაციაა, ოლიმპიადა კი პირდაპირ მისწრებაა ამ საქმისთვის. ლიცენზიების შემოღებით დოლარების გვარიანი რაოდენობა კი დაიზოგება, მაგრამ დაიზოგება არა რომელიმე საჭადრაკო ვარსკვლავის, არამედ იმ ბანგლადეშელისა და ნამიბიელის ხარჯზე, რომლისთვისაც ოლიმპიადა იქნებ საერთაშორისო დონეზე თამაშის ერთადერთი საშუალება იყოს.

ელისტის 33-ე საჭადრაკო ოლიმპიადა კი უკვე ისტორიას ჩაბარდა და მალე ალბათ დროის მტვერიც წაეყრება. მან წინა ოლიმპიადების მსგავსად ჩაიარა, თუ გახსნის ბრწყინვალე ცერემონიალსა და ინტერნეტში პირდაპირ ჩართვას არ ჩავთვლით. ეს უკანასკნელი დაგვიანებით, მაგრამ მაინც განხორციელდა. რაიმე დიდი მოულოდნელობა და მით უმეტეს სენსაცია არ მომხდარა.

მამაკაცთა შორის რუსებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ უძლეველი საბჭოთა საჭადრაკო მანქანის მემკვიდრეები სწორედ ისინი არიან და არა სხვა ვინმე და არათუ უძლიერესების, არამედ მათი ახალი თაობის დამმარცხებელიც ძნელი მოსაძებნია. 20-22 წლის ყმაწვილებმა პიოტრ სვიდლერმა, ალიოშა მოროზევიჩმა და ვადიმ ზვიაგინცევმა ევგენი ბარეევთან კვარტეტში სტარტზე კი წაიფორხილეს, მაგრამ მერე აიწყვიტეს და დიდსა თუ პატარას კუდით ქვა ასროლინეს. მეორე ადგილზე გავიდა ამერიკელთა დიდად ინტერნაციონალური ნაკრები, რომელშიც, მგონი, მკვიდრი ამერიკელები არც შედიოდნენ. ისრაელისა და უკრაინის ნაკრებების III-IV ადგილები ლოგიკურია, რადგან მათ ძლიერი მოჭადრაკეები ჰყავთ. საკმარისია უკრაინელთა ვასილი ივანჩუკი დავასახელოთ.

აი, ამგვარ ვითარებაში საქართველოს ნაკრების მიერ გერმანიასა და ჩინეთთან ერთად V-VII ადგილების გაყოფა მეტად ღირებულად გვეჩვენება. გაინტერესებთ, ვის გაუსწრეს ჩვენებმა? უპირველესად ინგლისელებს, რომელთაც წარდგენა არ სჭირდებათ: მაიკლ ადამსის, ნაიჯელ შორტისა და ჯონათან სპილმენის სახელი ყველას სმენია. ქართველებმა ჩამოიტოვეს მრისხანე ჰოლანდიელებიც და არც იან ტიმანის, ლუკ ვან ველისა და ჯუპ პიკეტის სახელები უნდა ესმოდეს მკითხველს პირველად. აღარაფერს ვამბობთ რუსეთი II, საფრანგეთისა და სომხეთის ნაკრებებზე. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ერევანში ჩვენს ვაჟებს მხოლოდ ერთი მცირე ბრინჯაო ერგოთ, ელისტაში კი 1 მცირევე ვერცხლით მეტი, პესიმისტური დასკვნის უფლება ნამდვილად არ გვექნება. აშკარაა, რომ საქართველოში ვაჟთა ჭადრაკი პროგრესს განიცდის და ჩვენები ახერხებენ მსოფლიო ელიტაში ადგილის შენარჩუნებას.

ქალებს რაც შეეხებათ, მათ, ცხადია, ვერ მიაღწიეს იმ შედეგს, რასაც ველოდით. XI ტურში ქართველებმა 2:1 დაამარცხეს რუმინეთის ნაკრები, ხოლო ჩინეთ — რუსეთი I-ის შეხვედრა ზავით დასრულდა — 1,5:1,5. სხვაობა ჩინელებსა და ქართველებს შორის 1,5 ქულამდე კი შემცირდა, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი, რისი გაკეთებაც ჩვენმა ქალებმა მოახერხეს. XII ტურმა ყველაფერს წერტილი დაუსვა: ქართველებმა უკრაინელებთან წინა ტურის შედეგი გაიმეორეს, ჩინელებმა კი უნგრელები 3:0 გაანადგურეს და ბოლო ტური ფორმალობად აქციეს. იუგოსლავიელებთან ქართველების შეხვედრამ და 2:1 გამარჯვებამ ისღა შეცვალა, რომ ვერცხლიც გამოგვაცალა ხელიდან და რუსეთი I გუნდს არგუნა.

ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქალთა ნაკრები პირველად ვერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, ყოველთვის არ გაგვიმართლებს. იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატის ახალი ციკლი ქართველი ქალებისთვის უფრო წარმატებული იქნება და მეტ სიხარულს მოგვიტანს.

დავით გულუა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე: ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე: სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება: კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, დავით კოჯზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება: გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება: ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
კორექტორები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29